F 171
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

## 8

# С Б О Р Н И К
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ა გ ვ ი ს ტ ო

თბილისი 1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X-75 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7,25,

შეკვ. № 1050 უე—06509 ტირაჟი 5.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ⴕ-4055

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 14 აპრილის ბრძანება № 303

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ 1974 წლის მანძილზე განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტების, რესპუბლიკის საისტორიო საზოგადოების წარმომადგენლების, მეცნიერ-ისტორიკოსების, იუსტიციის სამინისტროს მუშაკების, პრაქტიკოს-მასწავლებლების მიერ ფართო მასშტაბით ჩატარებულმა შემოწმებამ აამაღლა საკითხის შემოწმების ხარისხი, უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახადა მასწავლებლებისადმი მათი დახმარება; განათლების სამინისტრომ გააანალიზა აგრეთვე 1974 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დამამთავრებელი და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ამაღლდა გაკვეთილების იდეურ-თეორიული დონე, დაიხვეწა გაკვეთილების სტრუქტურა და გაუმჯობესდა სწავლების მეთოდები, გააქტიურდა მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობანი, ამაღლდა გაკვეთილებზე საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი, გაიზარდა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ხვედრითი წონა. ამასთან, იგი უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახდა; განმტკიცდა ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის და საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის კავშირი სხვა საგნებთან, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას-

ბიბლიოთეკა

თან. ბევრი მასწავლებელი მონდომებით ცდილობს დაგეგმოს თავისი მუშაობა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიყენოს დამხმარე ლიტერატურა საპროგრამო მასალის გასამდიდრებლად; მასწავლებელთა დიდი ნაწილი სისტემატურად იყენებს თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალასა და ტექნიკურ საშუალებებს სწავლების პროცესში, იუმჯობესებს ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარ-ჩვევებსა და მოსწავლეებშიაც დაბეჯითებით ნერგავს მას. ბევრი მასწავლებლის მუშაობაში დიდი ხანია დამკვიდრდა მოსწავლეთა მეშვეობით ზოგიერთი სახის თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალის დამზადებისა და მისი მიზნობრივად გამოყენების პრაქტიკა, ამასთან, ისინი ამ საქმეში გეგმიურად და შეთანხმებულად იყენებენ ხაზვა-ხატვითი ხელოვნებისა და შრომითი სწავლების მასწავლებელთა და საგნობრივი წრეების ხელმძღვანელთა დახმარებას.

სკოლებში საგრძნობლად გაიზარდა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტების რიცხვი, ამაღლდა მათი როლი სწავლების პროცესში. ბევრ სკოლაში შექმნილია მხარეთმცოდნეობის მუზეუმები და კუთხეები. მხარეთმცოდნეობის მდიდარი მუზეუმები შექმნეს საჩხერის რაიონის ქორეთის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. გოგატიშვილმა, მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ხოხლენკომ, ვანის რაიონის სოფ. სალხინოს საშუალო სკოლის მასწავლებელმა ბ. ლორთქიფანიძემ, თელავის საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ცაკაშვილმა, გორის რაიონის ატენის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ო. ჩუბინიძემ, თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. გაბუნიამ. მხარეთმცოდნეობის კუთხეები შექმნილია თბილისის 1-ელ, 38-ე, 130-ე, 132-ე, 154-ე და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლებში.

ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობას წარმატებით ასწავლიან და კარგ შედეგებს აღწევენ მასწავლებლები: მ. კობახიძე, ნ. ცხომელიძე (ქ. თბილისის № 1 ექსპერიმენტული სკოლა), კ. თოფურია (თბილისის მეორე ექსპერიმენტული სკოლა), ზ. ხუციშვილი, ე. გურგენიძე (თბილისის 126-ე სკოლა), ლ. კუტუბიძე (თბილისის 134-ე სკოლა), თ. კანანოვა, ვ. კუჩუაშვილი, ნ. სვანიშვილი (თბილისის 35-ე სკოლა), ა. კვილაძე, ო. დემეტრაშვილი (მე-8 და მე-6 სკოლები), რ. ჯაში (132-ე სკოლა), გ. კორძაძე და რ. მეძმარიაშვილი (მე-7 და მე-11 სკოლები), კ. ვასილოვი, ნ. არუთინოვა (მე-16, 148-ე სკოლები), მ. გაბუნია, ნ. თოდუა (ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი),

ნ. ენუქიძე (150-ე სკოლა), ნ. ქავთარაძე (123-ე საშ. სკოლა), დ. შალამბერიძე (მე-100 სკოლა), კ. სიმონიშვილი (126-ე სკოლა), ლ. გაფრინდაშვილი, ზ. ყორყოლიანი, გ. სახუნდაძე (თბილისის 1-ლი, 23-ე, 51-ე, 54-ე სკოლები), ლ. ცხადაია (117-ე სკოლა), ნ. არტემოვი (32-ე სკოლა), ნ. ქავთარაძე (123-ე სკოლა), მ. ხუბულავა (ზუგდიდის 1-ლი სკოლა), მ. რაფავა (სოხუმის მე-11 სკოლა), ლ. შიმანოვსკაია (სოხუმის მე-2 სკოლა), ბ. როზოვა (სოხუმის მე-12 სკოლა); ნ. გვარამია (სოხუმის მე-13 სკოლა), უ. სურგულაძე (ჩაქვის სკოლა), ქ. ჩიქოვანი (ჩხოროწყუს რაიონი, მუხურის სკოლა), დ. კოპაძე, ლ. ლამბაშიძე (კასპის 1-ლი სკოლა), ა. ქასოშვილი (კასპის მე-3 სკოლა), ი. მეგრელიშვილი (მეტეხის საშ. სკოლა), მ. ბერუაშვილი (ქარელის მე-2 საშ. სკოლა), ყ. კიკვიძე (აგარის საშ. სკოლა), რ. მამისთვალოვი (ქ. გორის 1-ლი), მ. ყუყუნაძე (ვანის 1-ლი სკოლა), ტ. მაისურაძე (გურჯაანის რაიონის, სოფ. შრომის სკოლა), ა. მჭედლიშვილი (კარდანახის საშ. სკოლა), ნ. კოპალიანი გურჯაანის საშ. სკოლა), შ. ლომთათიძე, ნ. თურაზაშვილი, ა. ენუქიძე, გ. კაშია (დაბა ვანის ტაბიძის სახელობის, შუაგორისა და ქვედაგორის საშუალო სკოლები), ე. ჭანტურია (საგარეჯოს მე-2 სკოლა), მ. კოჭლაშვილი (გორის რაიონის სოფ. ზერტის სკოლა), ბ. ხინთიბაძე, ლ. ოკუჯავა, ლ. გიორგაძე (მახარაძის მე-2 და ვაკიჯვრის საშ. სკოლები), დ. შამათავა (ოჩამჩირის 1-ლი სკოლა), თ. ლანჩავა (ქ. ქუთაისის 31-ე სკოლა), თ. კვარაცხელია (ქ. ფოთის მე-11 სკოლა), ი. აქუბარდია (გალის რაიონის ჭუბურხინჯის სკოლა), თ. დოჭვირი, ნ. დოჭვირი, გ. ხომერიკი, ვ. ასათიანი, ი. შეროზია (ქ. ბათუმის სკოლები), ა. ბესელია, ლ. ახაჭაძე, ა. რეხვიაშვილი, ვ. ჯაფარიძე (რუსთავის მე-15, მე-10, მე-14 სკოლები) და ბევრი სხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის სწავლებაში ჯერ კიდევ დიდია ნაკლოვანებები. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს თავისი იდეურთეორიული და მეთოდური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, არ ცდილობს მხარი აუბას სიახლეს სწავლებაში, მიჰყვება რა სწავლებაში ერთხელ და სამუდამოდ გატკეპნილ გზას. შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენს თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებისადმი. ზოგიერთი მასწავლებელი ისეთ უპასუხისმგებლობამდე მიდის, რომ რუკის გარეშე შედის ისტორიის გაკვეთილზე.

სუსტად მუშაობენ ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების მასწავლებლები: გ. არუნაშვილი (საგარეჯოს რაიონის მანავის 1-ლი საშ. სკოლა), თ. ლაფერაშვილი (საგარეჯოს მე-2 სკოლა), ე. ხორაშვილი, ა. დვალაძე (კასპის რაიონის ნიგოზის სკოლა), შ. ბოჭორიძე (კასპის რაიონის ახალქალაქის სკოლა), ი. იმედაძე (კასპის მე-2 სკოლა), ო. უროტაძე (აგარის სკოლა), დ. კვარაცხელია, ა. წულაია (სოხუმის რაიონის აჭადარის სკოლა), ზ. ვინოგრადოვა, გ. არდილობა, ვ. ჯანჯღავა (სოხუმის რაიონის ეწერის საშ. სკოლა), ლ. ლეკიშვილი, ვ. გიგაია (ქ. გორის მე-4 სკოლა), ლ. გალუსტოვა, ნ. ლაშქარაშვილი (გორის მე-13 სკოლა), რ. რუხაძე, ს. გოზალიშვილი (ახალციხის რაიონის ვალეს 1-ლი სკოლა), გ. ხაჩიძე (სურამის მე-2 სკოლა), ლ. ტაბიძე (ვანის ტაბიძის სახ. სკოლა), ნ. ჯმუხაძე (გუდაუთის რაიონის ახალი სოფლის სკოლა), ნ. მიქელაშვილი, ნ. განუგრავა, შ. მახარაძე (ბათუმის 26-ე სკოლა), მ. სიხარულიძე, ქ. ჩხარტიშვილი, ზ. იმნაიშვილი, გ. მეძმარიაშვილი (ბათუმის მე-17, მე-16, მე-13, 25-ე სკოლები), ლ. სარიშვილი (მახარაძის რაიონის შემოქმედის სკოლა) და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც ისტორიის მასწავლებლად საშუალო სკოლაში მუშაობენ სხვა სპეციალობის უმაღლესი განათლების მქონე პირები: ფსიქოლოგები, გეოგრაფები, იურისტები, ფილოლოგები და სხვ. ზოგან გვხვდება დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირებიც კი.

დაბალ დონეზე ასწავლიან ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობას არასპეციალისტები: ლ. ოსეფაშვილი, ლ. სახვაძე (ქ. თბილისის 114-ე სკოლა), ა. ვარძუკაშვილი, ვ. სოსელია (თბილისის 119-ე სკოლა), ბ. მარტაშვილი (მე-15 სკოლა), ვ. ცხოვრებაშვილი (160-ე სკოლა), გ. მორგოშია (თბილისის 133-ე სკოლა), ნ. სვანაძე (თბილისის 113-ე სკოლა), ნ. ჯახუა (თბილისის მე-6 სკოლა), ქ. ტუღუში (თბილისის მე-60 სკოლა), ე. გურგენიძე (თბილისის 102-ე სკოლა), პ. თუმანიშვილი (თბილისის 67-ე სკოლა), მ. მეძმარიაშვილი (ბათუმის 25-ე სკოლა), ე. გვარაშვილი (ბათუმის მე-10 სკოლა), ნ. ბერძენიშვილი (ბათუმის მე-15 სკოლა), ფ. კანანი (ბათუმის მე-5 სკოლა), თ. დანელაშვილი (გურჯაანის რაიონის შრომის სკოლა), ვ. პაპუტაშვილი (არაშენდის სკოლა), თ. კაკაშვილი (ჩუმლაყის სკოლა).

დასახელებული მასწავლებლები, მათ შორის არასპეციალისტები, გაკვეთილებს დაბალ იდეურ-თეორიულ და მეთოდურ დონეზე ატა-

რებენ. იმ კლასებში, რომლებსაც ისინი ასწავლიან, დაბალია მოსწავლეთა მომზადება: მოსწავლეებს უჭირთ ისტორიული მასალის თანმიმდევრულად გადმოცემა, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზება, შედარება, განზოგადება და დასკვნების დასაბუთება, არ შესწევთ უნარი, თვალი გაადევნონ ისტორიული მოვლენების განვითარებას მათ ურთიერთკავშირში, უძნელდებათ ისტორიული და პოლიტიკური მასალის ზეპირად და წერილობით ჩამოყალიბება. თანატოლთა წინაშე პოლიტინფორმაციებით, რეფერატებითა და მოხსენებებით გამოსვლა, მათი ზეპირი პასუხები დამამთავრებელ კლასებში პრიმიტიული და ზერელეა; დაბალი თეორიული მომზადება გამოამჟღავნა ბევრმა მოსწავლემ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ისტორიაში.

განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებებია მეოთხე კლასში ისტორიის სწავლებაში. ამ კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი დაჟინებით მოითხოვს თვალსაჩინოების სხვადასხვა საშუალებების, სურათების, ისტორიულ პირთა პორტრეტების, დამხმარე ლიტერატურის, ილუსტრაციების, აპლიკაციების, ქრონოლოგიური ბარათებისა და სალაროების, ტაბულების, შრომის იარაღების, ეროთმოძღვრული ძეგლებისა და ქალაქების მაკეტების სისტემატურ გამოყენებას; განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა IV კლასებში საკლასო დიაფილმებისა და დიაპოზიტივების გამოყენება, საპროექციო აპარატით სურათების დემონსტრირება. გარდა ამისა, დიდად სასარგებლოა ექსკურსიების, დილებისა და შეხვედრების მოწყობა. ზემოთ ჩამოთვლილი თვალსაჩინოების ბევრი სახე მასწავლებელს თვითონ შეუძლია დაამზადოს მოსწავლეთა მეშვეობით; მათი დამზადების ტექნიკა უაღრესად მარტივია და არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული, ოღონდ საჭიროა მასწავლებლის მონდომება და თანმიმდევრული მუშაობა, მოსწავლეთა უნარ-ჩვევების გონივრული გამოყენება, ხაზვის, შრომითი სწავლებისა და სხვა მასწავლებლებთან მუდმივი საქმიანი კონტაქტი და შეთანხმებული მუშაობა; სამწუხაროდ, მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იყენებს ამ დიდ შესაძლებლობებს, ზოგჯერ შეგნებულად არიდებს მათ თავს.

IV კლასებში სსრ კავშირის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში შეისწავლება საქართველოს ისტორიის საკითხები. ამ კლასებში საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლისას მასწავლებლები გარკვეულ სიძნელეებს აწყდებიან იმის გამო, რომ უკანასკნელ წლებში ამ კლასის საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო არ გა-

მოცემულა. მასწავლებელთა ერთი ნაწილი საერთოდ არ ასწავლიან საქართველოს ისტორიის საკითხებს ამ კლასში.

გარკვეული ნაკლოვანებები გამომჟღავნდა V—VI კლასებში ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებაში. აღნიშნულ კლასებში ისტორიის სწავლებისას სათანადო ყურადღება არ ექცევა უმნიშვნელოვანეს ცნებათა გააზრებასა და შეთვისებას. მხედველობიდან რჩებათ, რომ მოსწავლეები ძირითადად ამ კლასებში ეცნობიან და ეუფლებიან პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციებისათვის დამახასიათებელ უმთავრეს ნიშნებსა და ცნებებს, რომელთა საფუძვლიანი ცოდნა წარმოადგენს უფროს კლასებში ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების წარმატებით სწავლების საწინდარს.

საშუალო სკოლის ისტორიული განათლების საერთო სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის სასკოლო კურსს. ამ საგნებს განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება მოზარდი თაობის პატრიოტული და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეებმა სუსტად იციან საკითხები სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიიდან. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ კიევის გარშემო აღმოსავლეთის სლავების გაერთიანების წანამძღვრებისა და რუსეთის ფეოდალური დაქუცმაცებულობის მიზეზების შესახებ, ცალმხრივად აშუქებენ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის მიზეზებს: მიუთითებენ მხოლოდ ერთ მხარეზე—რომ ქვეყნის გაერთიანება ნაკარნახევი იყო მონღოლ-თათართა უღლისაგან განთავისუფლების ინტერესებით, მხედველობიდან რჩებათ მთავარი—რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენდა მეურნეობის შემდგომი განვითარება, ქალაქების ზრდა და რუსეთის სამთავროებს შორის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირის განმტკიცება; მოსწავლეებმა ზერელედ იციან რუსეთის ერთიანი ბაზრის წარმოშობის არსი და მნიშვნელობა. შეგნებულად ვერ ერკვევიან ცნებებში ფეოდალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ, ცუდად იციან ისტორიული რუკები და ძირითადი ქრონოლოგიური თარიღები. უაღრესად სქემატურია მოსწავლეთა ცოდნა გლეხთა აჯანყებების თავისებურებებისა და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ბევრი მასწავლებელი სათანადოდ ვერ იყენებს IV, V და VI კლასებში მოსწავლეთა მიერ ისტო-

რიაში მიღებულ ცოდნას სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ანალოგიური თემის: ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობის, ქალაქების ზრდის, კულტურის, ხელოვნების განვითარებისა და სხვ. შესწავლისას. ანალოგიური სახელწოდების თემები, ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის კონკრეტულ მაგალითებზე, მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ V—VI კლასებში. ამ საკითხების ზოგადი კანონზომიერებების სათანადოდ მომარჯვება უაღრესად ამაღლებს სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის შესაბამისი თემების ათვისების ხარისხს, ზრდის მოსწავლეთა აქტივობას. მოსწავლეებმა ზერელედ იციან საქართველოს ისტორიიდან კულტურის, ხელოვნების საკითხები.

ზოგიერთმა მასწავლებელმა არასწორად გაიგო სინქრონიზმის არსი VIII, IX და X კლასებში და გაერთიანებულად ატარებს სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის გაკვეთილებს.

მასწავლებლები სათანადოდ ვერ იყენებენ გაკვეთილებზე სახელმძღვანელოების მეთოდურ აპარატს: დოკუმენტებს, მოსწავლეთათვის გათვალისწინებულ კითხვებსა და დავალებებს, ილუსტრაციებს. შესაფერისი ყურადღება არ ექცევა სახელმძღვანელოს ტექსტებზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების განმტკიცებას და ა. შ.

საზღვარგარეთის ქვეყნების ახალი ისტორიის სწავლებისას მასწავლებლების ერთი ნაწილი მოსწავლეებს ვერ აძლევს მთლიან წარმოდგენას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე, როგორც განუწყვეტელ, ერთიან კანონზომიერ პროცესზე, ვერ მიჰყავთ მოსწავლეები კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატისა და კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული როლის, კაპიტალიზმის გარდაუვალი დაღუპვის, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის არსის გაგებამდე.

საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორიის კურსის სწავლებისას მოსწავლეებს დამაჯერებლად ვერ უხსნიან თანამედროვე ეპოქის ძირითად შინაარსს, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ვერ უჩვენებენ თუ როგორ ხდება ორი სისტემის შეჯიბრების მსვლელობაში სოციალიზმის მიერ ახალი პოზიციების მოპოვება. თუ, როგორ ადასტურებს თავის განუსაზღვრელ უპირატესობას ეკონომიკის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროში, თუ როგორ განუხრელად იზრდება სოციალიზმის ძალები, მისი საერთაშორისო გავლენა, ხოლო, მეორეს მხრივ, ვერ უჩვენებენ იმპერიალიზმის მზარდ შესუსტებას, მისი საერთო კრიზისის გაღრმავებას.

ბევრ სკოლაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასწავლო ექსკურსიების მოწყობის საქმეს. ხშირად სკოლებს შემუშავებული არ აქვთ ექსკურსიების ჩატარების გეგმა, არ არის წინასწარ შერჩეული შესასწავლი ობიექტი; ამიტომ, ზოგჯერ, ექსკურსია უბრალო გასეირნების ხასიათს ატარებს და ნაკლები სარგებლობა მოაქვს მოსწავლეთათვის.

ბევრ სკოლაში სუსტადაა დაყენებული მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა. იშვიათად ეწყობა ღია გაკვეთილები, სათანადოდ არ წარმოებს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება. ნაკლებად აქტუალურია მეთოდგაერთიანების სხდომებზე წაკითხული თემები, მათი უმეტესი ნაწილი ზოგადი და სქემატურია.

ზოგიერთი სკოლის დირექცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს ისტორიის საგნობრივი წრეების მუშაობის გაუმჯობესებას; წრეებში მოსწავლეთა გაერთიანებისას მხედველობაში არ ღებულობს მოსწავლეთა ინტერესსა და მიდრეკილებებს ამა თუ საგნისადმი, მათი მომზადების დონეს, რითაც საკმაო ზიანს აყენებს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ინტერესებს.

საკმაო ნაკლი გამოვლინდა საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში. მათ-გან მთავარი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებლები ამ საგნის სწავლებისას სათანადოდ ვერ იყენებენ მოსწავლეთა მიერ სხვა საგნებში: ისტორიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და ა. შ. მიღებულ ცოდნას. ამ საკითხს კი საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ საგნის სწავლება განსაკუთრებით უჭირთ იმ მასწავლებლებს, რომლებიც X კლასში მხოლოდ საზოგადოებათმცოდნეობას ასწავლიან. ასეთი მასწავლებლები ვერ ახდენენ ფართო მანევრირებას ისტორიულ მასალაში და ამის გამო გაკვეთილებს უაღრესად მშრალად და მოსაწყენად ატარებენ.

მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლება და აღზრდა. განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის სკოლებში ამ საქმის გასაუმჯობესებლად მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა; გამოიცა საბჭოთა კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის პროგრამა, სახელმძღვანელო და მეთოდური რეკომენდაციები; მიუხედავად ამისა, ბევრ სკოლაში მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმეს მაინც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. სკოლები სათანადოდ ვერ იყენებენ განათლების სამინისტროს მიერ 1973 წელს დაგზავნილ

მეთოდურ რეკომენდაციებს მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის შესახებ.,

სათანადო სიმაღლეზე არ დგას აგრეთვე კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სწავლება. ამ საგნის იურისტ-მასწავლებლებს აკლიათ პედაგოგიური დახელოვნება, რის გამოც უჭირთ გაკვეთილების ორგანიზებულად წარმართვა და სასწავლო მასალის მოსწავლეებამდე დაყვანა.

ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის ზოგიერთი მასწავლებელი ურიგდება მოსწავლეთა მომზადების დაბალ დონეს და, თავისი მუშაობის ნაკლოვანებათა მიჩქმალვის მიზნით, ლიბერალურად, დაუმსახურებლად მაღალი ნიშნებით აფასებს მოსწავლეთა ცოდნას.

ისტორიაში, საზოგადოებათმცოდნეობასა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის სწავლებაში ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი იმითაც არის შეპირობებული, რომ სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელები დღემდე არასაკმაო დახმარებას, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევენ ამ საგნების მასწავლებლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის მასწავლებლებმა:

ა) სისტემატურად იმუშაონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიური ცოდნის დონის ასამაღლებლად, უზრუნველყონ სასწავლო-საალმზრდელო პროცესის შემდგომი სრულყოფა, აამაღლონ გაკვეთილის იდეურ-თეორიული დონე, გააუმჯობესონ სწავლების მეთოდები, გააქტიურონ მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობანი, უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ძირითადად გაკვეთილზე ათვისება;

ბ) გააფართოონ და გააუმჯობესონ ამ საგნის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამოიჩინონ ინიციატივა და დაინტერესება კაბინეტების, სამხარეთმცოდნეო მუზეუმებისა და კუთხეების მოსაწყობად და გასაფართოებლად, ზოგიერთი სახის თვალსაჩინოების დასამზადებლად გამოიყენონ მოსწავლეები, საგნობრივი წრეების ხელმძღვანელთა დახმარება, აგრეთვე ხაზვის, სახვითი ხელოვნებისა და შრომითი პოლიტექნიკური დარგის მასწავლებელთა დახმარება; გააქტიურონ კაბინეტის როლი სასწავლო პროცესში,

მიაღწიონ ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოების მაქსიმალურად გამოყენებას;

გ) გაკვეთილების ეფექტურობის ამაღლების მიზნით უფრო ფართოდ, მოხერხებულად გამოიყენონ დამხმარე ლიტერატურა, სახელმძღვანელოების მეთოდური აპარატი — დოკუმენტები, კითხვები; აღზარდონ მოსწავლეებში ისტორიული და მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარული, გაუღვივონ მათ ინტერესი სახელმძღვანელო დოკუმენტების გაანალიზებისადმი;

დ) საპროგრამო მასალის გასამდიდრებლად ფართოდ გამოიყენონ მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომები, სკკპ ყრილობებისა და პლენუმების, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მასალები და დოკუმენტები;

ე) გააქტიურონ მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობანი, გამოუმუშაონ მათ ისტორიული მასალის თანმიმდევრულად გადმოცემისა და ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზების, განზოგადებისა და დასაბუთების უნარი. შეაჩვიონ ისინი თანატოლების წინაშე პოლიტინფორმაციებით, რეფერატებითა და მოხსენებებით გამოსვლას, დისკუსიებში მონაწილეობის მიღებას;

ვ) მკვეთრად გააუმჯობესონ IV კლასში საქართველოს ისტორიის საკითხების სწავლება. ამ მიზნით შეგნებულად გამოიყენონ უფროსი კლასების საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო და შესაფერისი დამხმარე ლიტერატურა. განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ ამ საგნებში თვალსაჩინოების გამოყენების საჭიროებას, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და ალბომების ფერადი ილუსტრაციები;

ზ) გააუმჯობესონ ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის სწავლება. ამ საგნების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ძირითადი ცნებების მტკიცედ ათვისებას, რომელსაც ეფუძნება ზედა კლასებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების ამოცანები.

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ VII—X კლასებში სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის კურსის სწავლების გაუმჯობესების ამოცანებს. უზრუნველყონ ამ კლასებში საქართველოს ისტორიის გაკვეთილების დამოუკიდებლად ჩატარება, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს ისტორიის საკითხები მჭიდროდ დაუკავშირონ სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიის საკითხებს;

ი) უზრუნველყონ ისტორიის საგნობრივი წრეების მუშაობის ხარისხის მკვეთრად ამაღლება. წრეებში მოსწავლეთა გაერთიანებისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა მომზადება, ინტერესი და მიდრეკილება ამ საგნისადმი, რათა ხელი შეუწყონ მათ მუდმივი სპეციალობის მეცნიერულად განსაზღვრაში;

კ) მკვეთრად გააუმჯობესონ საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება. განამტკიცონ და უფრო მრავალფეროვანი გახადონ ამ საგნის კავშირი ისტორიასთან, ფიზიკასთან, ქიმიასთან, ბიოლოგიასა და სხვა საგნებთან. ფართოდ გამოიყენონ ამ საგნებში მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნა ძირითადი მსოფლმხედველობითი საკითხების გასაშუქებლად;

ლ) საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის მასწავლებლებმა სრულყონ ამ საგნის სწავლების მეთოდური გზები და საშუალებანი. გააძლიერონ და უფრო ეფექტური გახადონ მისი აღმზრდელობითი ფუნქცია. ფართოდ დაუკავშირონ სასწავლო პროცესი იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ამ ხაზით კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. ამ მიზნით მჭიდრო კავშირი დაამყარონ ცალკეული საგნების მასწავლებლებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, სკოლის ხელმძღვანელობასთან, მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ განათლების სამინისტროს მიერ დაგზავნილი მეთოდური რეკომენდაციები.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის მასწავლებლების მუშაობისადმი, ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მათ მუშაობაში. პერიოდულად შეისწავლონ მათი მუშაობა და გააანალიზონ და განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება. გაატარონ საჭირო ზომები ამ საგნების სწავლებაში ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის დასაძლევად;

ბ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ საგნების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის დონის ასამაღლებლად, უფრო ეფექტური გახადონ იგი. მოწინავე პედაგოგთა მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით პერიოდულად ჩაატარონ ღია გაკვეთილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში;

გ) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ მასწავლებელთა თაოსნობასა და ინიციატივას ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტების, სამხარეთმცოდნეო მუზეუმებისა და კუთხეების მოწყობის საქმეში; კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ მათ ამ მიზნით ცალკეული საგნების მასწავლებლებთან და კლასის ხელმძღვანელებთან საჭირო კონტაქტის დასამყარებლად. იზრუნონ ტექნიკური საშუალებებითა და საჭირო ლიტერატურით კაბინეტების შესავსებად;

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ კლასგარეშე კითხვა; ამ მიზნით, ამ საგნების მასწავლებლებთან ერთად, პასუხისმგებლობა დააკისრონ სასკოლო ბიბლიოთეკების გამგეებსაც, შეავსონ საჭირო საინტერესო ლიტერატურით ბიბლიოთეკები;

ე) მკაცრი კონტროლი დააწესონ კლასის ხელმძღვანელებისა და დაწყებითი და ცალკეული საგნების მასწავლებლების მუშაობაზე, რათა ისინი სწავლების პროცესში და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისას ფართოდ იყენებდნენ განათლების სამინისტროს მიერ დაგზავნილ მეთოდურ რეკომენდაციებს მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის შესახებ.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლებისა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებიდან გაათავისუფლონ ყველა, ვისაც არა აქვს სათანადო ცენზი და არ შესწევს უნარი, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და მეცნიერულ დონეზე ჩაატაროს გაკვეთილები. გაკვეთილების განაწილებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ რეალური მონაცემებით — ცენზით, მუშაობის გამოცდილებით, უნარით, საერთო პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული მომზადების დონით; სადაც ამის საშუალება არის, მოახდინონ მასწავლებელთა სპეციალიზაცია კლასების ან საგნების მიხედვით. არ დაუშვან, რომ მე-10 კლასებში ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობას სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლიდეს;

გ) მტკიცე ხელმძღვანელობა, დახმარება და ზედამხედველობა განახორციელონ ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაზე; პერიოდულად შეისწავლონ მათი სწავლების მდგომარეობა და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი, ერთი მხრივ, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და, მეორეს მხრივ, შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

დ) გაატარონ ღონისძიებანი ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში ფაკულტატიური მეცადინეობისა და გაღრმავებული სწავლების გაფართოებისათვის; სპეციალურად შეარჩიონ ამ მიზნით სკოლები, კლასები, მოსწავლეთა კონტინგენტი, მაღალკვალიფიციური მასწავლებელთა კადრები და ამგვარი სკოლებისა და კლასების მუშაობა წარმართონ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე; უზრუნველყონ ასეთი სკოლები თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და სხვა აუცილებელი მასალებით.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როგავამ) უზრუნველყონ საქართველოს ისტორიის IV კლასის დამხმარე სახელმძღვანელოს მასობრივი ტირაჟით გამოცემა.

5. ისტორიის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ განიხილოს და 1975 წლის დამთავრებამდე განათლების სამინისტროს კოლეგიას წარმოუდგინოს წინადადებები საქართველოს ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების (VII—VIII—IX—X კლასებისათვის ცალ-ცალკე) მომზადების შესახებ.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა), მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ლ. მნათობიშვილმა), პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. საყვარელიძე):

ა) 1975 წლის 1-ელ სექტემბრამდე შეიმუშაონ საქართველოს ისტორიაში სასწავლო დიაფილმებისა და დიაპოზიტივების გამოსაცემი თემატიკა, უზრუნველყონ სასწავლო რუკების გამოცემა 1976—1977 სასწავლო წლისათვის;

ბ) ყოველწლიურად მოამზადონ ისტორიის მასწავლებელთა დასახმარებლად მეთოდური ხასიათის ბროშურები 4—5 სასტამბო ფორმის მოცულობით, პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმთან შეთანხმებით. მოაწყონ აღნიშნული მეთოდური მასალების განხილვა განათლების სამინისტროსთან არსებული ისტორიისა და საზოგადო-

ზათმცოდნეობის მეთოდური საბჭოს სხდომებზე და ამ უკანასკნელის რეკომენდაციით მისი გამოცემა.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ), შესაძლებლობის ფარგლებში, გამოყოს ასიგნებანი ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტების შესაქმნელად და გასამდიდრებლად.

8. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად, გადაამუშაოს ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმები და პროგრამები და სისტემატურად იზრუნოს მათი გადამზადების სრულყოფისათვის.

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1975—1976 სასწავლო წლიდან ყველა სახის სასკოლო დოკუმენტაციაში საქართველოს ისტორიას დაეთმობა ცალკე გრაფა.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1975—76 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-8 კლასებში შემოღებულია საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების კურსის სწავლება.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) და მეთოდიკის განყოფილებამ (ლ. მნათობიშვილმა) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 3 აპრილის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 23 მაისის ბრძანება № 414

### სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 28 სექტემბრის № 498 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

4055

გავეცანი რა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 28 სექტემბრის № 498 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ ბრძანების შესასრულებლად განათლების ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 ივლისის № 418 დადგენილების—„სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ" შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 28 სექტემბრის № 498 ბრძანებით შედგენილ იქნა ავტონომიური რესპუბლიკების, ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ზოგიერთი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროს კლასებში ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლების ან მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლების შემოღების ექვსწლიანი გეგმა.

ამ გეგმის საფუძველზე 1974—1975 სასწავლო წლამდე სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება შემოღებულია 260 საშუალო სკოლის უფროს კლასებში.

1975—1976 სასწავლო წლისათვის ასეთი სკოლების რიცხვი გაიზრდება, რითაც შესრულდება დადგენილებით გათვალისწინებული საკონტროლო დავალება.



ბიბლიოთეკა

დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შერჩეულია საშუალო სკოლები, სადაც მშრომელთა დეპუტატების მახარაძის, ზუგდიდის, მცხეთის, საგარეჯოს რაიონების საბჭოს აღმასკომის დადგენილებით შემოღებულია ტრაქტორებზე, კომბაინებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის, აგრეთვე აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების სწავლება და ისინი მიმაგრებული არიან ადგილობრივ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებზე, რომელთაც დავალებული აქვთ საშეფო დახმარება გაუწიონ აღნიშნულ სკოლებს.

ამ სკოლებში მოწყობილია შესაბამისი სასწავლო კაბინეტები, შერჩეულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მასწავლებელთა კადრები, მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების ინსტრუქტორები—ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მასწავლებლები, რომელთა დიდმა ნაწილმა გაიარა გადასამზადებელი კურსები.

ტრაქტორის პრაქტიკული ტარების სწავლებისათვის თითქმის ყველა სკოლას აქვს ტრაქტორი—ცენტრალიზებული თანხებით მიღებული ან სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისაგან უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე გადაცემული. ამასთან, სკოლებს დროულად დაეგზავნა სასწავლო პროგრამები, ინსტრუქციები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესისა და მოწმობების გაცემის შესახებ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ტრაქტორის, კომბაინის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლები.

ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები, განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დადგენილების შესრულების საქმეს და შეფი ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში (IX—X) ტრაქტორების მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობისა და მოძრაობის წესების სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

შემოწმებული რაიონების სკოლების ერთ ნაწილში, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გატარებულ სისტემატურ

ლონისძიებათა და შეფი ორგანიზაციების დახმარების შედეგად შექმნილია აუცილებელი სასწავლო-ტექნიკური ბაზა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად. გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. სავაძე, მასწავლებლები ი. დათუნაშვილი, ი. ჯავახიშვილი) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სწავლების კაბინეტებისათვის გამოყოფილია 50 $მ^2$ ფართობის ნათელი სათავსო, რომელიც შევსებულია საჭირო დგამ-ავეჯით. შეფი ორგანიზაციის—ვაზისუბნის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე რ. მღებრიშვილი) დახმარებითა და უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობით აქ მოწყობილია მოქმედი სტენდები ტრაქტორის ძირითადი კვანძებით, მექანიზმებით, პლაკატებითა და სხვა თვალსაჩინო მასალებით. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ საკუთარი ინიციატივით სკოლას ბალანსიდან ბალანსზე გადასცა დტ-20 მარკის თვლიანი ტრაქტორი და ყოველმხრივ დახმარებას უწევს სკოლას მექანიზატორთა კადრების მომზადების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ასევე, დამაკმაყოფილებელი მუშაობაა ჩატარებული ამ მხრივ სიღნაღის რაიონის მაღაროს (დირექტორი გ. მიჩაშვილი, მასწავლებლები გ. ქადაგიშვილი, ტ. მათეშვილი), ბოდბის (დირექტორი ვ. ხუციშვილი, მასწავლებლები გ. ლალანიძე, კ. კოჭლამაზაშვილი), მახარაძის რაიონის ნაგომარის (დირექტორი ა. კილაძე, მასწავლებელი ნ. ლეკვეიშვილი), ზუგდიდის რაიონის რუხის (დირექტორი ე. ნაჭყებია, მასწავლებელი ზ. ჯიქია) და სხვა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

შემოწმებული რაიონების რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სადაც უფროს კლასებში (IX—X) შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება, მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ შეფი ორგანიზაციები მე-3 კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის მოსამზადებლად საჭირო სასწავლო-მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განმტკიცების საქმეში. გურჯაანის რაიონის ველისციხის, ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. მამისაშვილი) ველისციხის საშუალო სკოლას აუშენა სასწავლო შენობის ერთი კორპუსი, ორგანყოფილებიანი ტრაქტორის სადგომი გარაჟი და გათვალისწინებული აქვს მოედნის მოწყობა ტრაქტორის ინდივიდუალური ტარების სწავლებისათვის; მახარაძის რაიონის ნაგომარის, კოლმეურნეობა „საქართველოს" სამანქანო-სატრაქტორო პარკი (უფროსი ნ. ლეკვეიშვილი) ნაგომარის საშუალო სკოლას ამარაგებს ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, საცხი მასალით;

იგი დაეხმარა სკოლას სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადებისათვის სასწავლო კაბინეტის მოწყობაში, ტრაქტორის კვანძებით, ნაწილებით დაკომპლექტებაში. IX—X კლასების მოსწავლეები პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობას ტრაქტორის კვანძების მონტაჟსა და დემონტაჟზე გადიან სატრაქტორო პარკის საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოში, რომელიც სკოლიდან 0,5 კმ მანძილითაა დაშორებული; ზუგდიდის რაიონის რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“ (თავმჯდომარე შ. გაბედავა) რუხის საშუალო სკოლას 1973 წელს აუშენა სამგანყოფილებიანი ტრაქტორების სადგომი, კაპიტალური გარაჟი და სკოლის მოთხოვნის შესაბამისად სისტემატურად უგზავნის დტ-75 ტიპის ტრაქტორს მოსწავლეთა მიერ ტრაქტორის პრაქტიკული ტარების შესასწავლად.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულმოდგინედ ემზადება ყოველგვარი მუშაობისათვის, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, სწავლებას უკავშირებს მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას და მიზნობრივად ატარებს საწარმოო ხასიათის ექსკურსიებს. გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი გ. ქონენაშვილი, მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იცოდნენ დავალებად მიცემული მასალა—„დიზელის ძრავას კვების სისტემა“ და ამომწურავი პასუხები გასცეს მასწავლებლის მიერ განვლილი საპროგრამო მასალიდან დასმულ ფრონტალურ კითხვებზე. მანვე, მოსწავლეთათვის გასაგები და დამაჯერებელი ენით მოახდინა ახალი მასალის („მაღალი წნევის საწვავის ტუმბოსა და ფრქვევანას აგებულება და მუშაობა“) გადაცემა. ახსნის პროცესში მასწავლებელმა სრულყოფილად გამოიყენა ტუმბო, ფრქვევანა და მოხერხებულად მოიხმარა ეპიდიასკოპი ამ მექანიზმების ნახაზებისა და სქემების საჩვენებლად, რითაც მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნა მათი მოქმედების პრინციპზე. ასევე, დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ტრაქტორის თეორიის მასწავლებლები—მ. ღოღანიძე (სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლა) და მ. სალუქვაძე (მახარაძის რაიონის ლიხაურის საშუალო სკოლა); ინსტრუქტორები—ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მასწავლებლები ნ. ეხვაია (ზუგდიდის რაიონის ინგირის საშუალო სკოლა), ნ. გუნავა (ზუგდიდის რაიონის რუხის საშუალო სკოლა).

რიგ შემოწმებულ სკოლებში, სადაც უფროს კლასებში (IX—X) შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება და ამ საგნის სწავლება მაღალ დონეზეა დაყენებული, კურს-

დამთავრებული მოსწავლეები საშუალო განათლების ატესტატთან ერთად ღებულობენ III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის კვალიფიკაციას, რომელთა ნაწილი ადგილობრივ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში თავისი სურვილით რჩება სამუშაოდ.

1973 და 1974 წლებში ზუგდიდის რაიონის ინგირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან III კლასის ტრაქტორისტ-მემანქანის კვალიფიკაცია მიიღო 29 მოსწავლემ, რომელთაგან სპეციალობის მიხედვით საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს—14, ამავე რაიონის რუხის საშუალო სკოლის 25 მოსწავლიდან—8 და სხვ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის შემოწმებული რაიონებისა და სკოლების ერთ ნაწილში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 23 ივლისის № 418 დადგენილებისა — „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 28 სექტემბრის № 498 ბრძანების განუხრელად შესრულების მიმდინარეობის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ გურჯაანის, სიღნაღისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებებს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების სხდომებზე არ განუხილავთ საკითხი დადგენილების მე-3 დანართის შესაბამისად წლების მიხედვით სოფლის სკოლებში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემოღების, ამ სკოლებზე შეფი ორგანიზაციების მიმაგრებისა და დამტკიცების შესახებ, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ამ საქმის სათანადოდ დაყენებაზე.

ზოგიერთ სკოლაში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სასწავლო კაბინეტებისათვის არ არის გამოყოფილი საჭირო ფართობის სათავსოები, მოუწყობელია საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო და ტრაქტორის სადგომი გარაჟი ტექნიკური მომსახურების პუნქტით, არ არის მიღებული სასწავლო ტრაქტორები. შერჩეული არაა ადგილი და ზოგან ტექნიკურად მოუწყობელია მოედანი მოსწავლეთა მიერ ტრაქტორის პრაქტიკული ტარებისათვის.

1973—1974 სასწავლო წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწავლებიან 60 სკოლიდან ტრაქტორი მიღებული არა აქვს 22-ს, 1974—75 სასწავლო წელს 80-დან 74 სკოლას და 1975 წლისათვის, ნაცვლად 80-ისა, გეგმით გამოყოფილია 65 ტრაქტორი.

ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ნაროზაული, მასწავლებელი ა. ვარდოშვილი) მექანიზაციის სასწავლო კაბინეტი, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო, მცირე რაოდენობის ტრაქტორის ნაწილებითა და პლაკატებით, ყოველგვარი წესრიგის გარეშე მოთავსებულია ყოფილი სასკოლო შენობის ერთ, მცირე ფართობის ოთახში. ტრაქტორი, რომელსაც დამტვრევის შემდეგ აღდგენილი აქვს კაბინა, მინებისა და სხვა ზოგიერთი ნაწილის გარეშე, მოთავსებულია ფარდულში ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაუცავად მაშინ, როდესაც სკოლაში 4 ინსტრუქტორი—ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მასწავლებელი მუშაობს. გურჯაანის რაიონის მელაანის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ნათიძე, მასწავლებელი ა. ტივიშვილი) მექანიზაციის სასწავლო კაბინეტი მოუწყობელია, სასწავლო ტრაქტორი მოთავსებულია ფარდულში, სადაც უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა შეუძლებელია. სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ჭაბაშვილი, მასწავლებელი ჯ. ცაბუტაშვილი) მოუწყობელია სასწავლო კაბინეტი, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო და არა ტრაქტორის სადგომი გარაჟი ტექნიკური მომსახურების პუნქტით. ასევე, შექმნილი არაა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მცხეთის რაიონის მუხრანის პირველი (დირექტორი ა. ბურდული, მასწავლებელი ს. დალაქიშვილი), ქსოვრისის (დირექტორი ა. გოგია, მასწავლებელი ა. ცქიტიშვილი) და სხვა საშუალო სკოლებში.

ზოგიერთ შემოწმებულ სოფლის სკოლას, სადაც შემოღებულია ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლების სწავლება, სასწავლო კაბინეტების მოწყობის საქმეში სათანადო დახმარებას არ უწევენ შეფი ორგანიზაციები. ასე, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ინგირის პირველი საშუალო სკოლის შეფია ინგირის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა, აბასთუმნის საშუალო სკოლისა — აბასთუმნის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობა. მათ სკოლებისათვის ჯერჯერობით არავითარი დახმარება არ გაუწევიათ მექანიზაციის კაბინეტის აღჭურვისა და ტრაქტორის სადგომი გარაჟის აშენება-მოწყობის საქმეში.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია სკოლების მომარაგება ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით, აკუმულატორებით, ძრავებისა და აგრეგატების მოქმედი სტენდებით, პლაკატებით, საწვავი, საზეთი და სხვა

საჭირო მასალებით. შემოწმებული სკოლების ერთი ნაწილი სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მოსამზადებელი სასწავლო კაბინეტები შევსებული არ არის საჭირო დგამ-ავეჯით, მოწყობილობით, დამხმარე ხელსაწყოებით, ტრაქტორის ნაწილებით, არ არის დამონტაჟებული ძრავებისა და აგრეგატების მოქმედი სტენდებით.

ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლებისათვის ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლებისა და ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მასწავლებელთა კადრების შერჩევის საქმე. ამ საგნების მასწავლებლებად, ძირითადად, ინიშნებიან სატრაქტორო მეურნეობათა მუშაკები, რომლებსაც არა აქვთ პედაგოგიური და სათანადო ტექნიკური განათლება, რის შედეგადაც მათ უმრავლესობას უძნელდება მეთოდურად გამართული გაკვეთილების ჩატარება. სიღნაღის რაიონის შემოწმებულ 4 საშუალო სკოლაში მუშაობს 8 მასწავლებელი, რომელთაგან 6 საშუალო ტექნიკური განათლებითაა, საგარეჯოს რაიონის 4 საშუალო სკოლის 6 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება მხოლოდ ერთს აქვს და სხვ.

ზუგდიდის რაიონის ინგირის პირველი საშუალო სკოლის სასოფლო-სამეურნეო მანქანების თეორიისა და ტრაქტორის პრაქტიკული ტარების ინსტრუქტორ-მასწავლებლად მუშაობს სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის დაუსწრებელი სექტორის V კურსის სტუდენტი დ. ესებუა.

გურჯაანის რაიონის შორმის საშუალო სკოლაში ინსტრუქტორად —ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მასწავლებლად მუშაობს გ. ქონენაშვილი, რომელსაც ტრაქტორის მართვის უფლება არა აქვს. ამავე რაიონის 4, მახარაძის რაიონის 2 და მცხეთის რაიონის 2 ინსტრუქტორი მე-3 კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეა, რაც დაუშვებელია.

რიგი შემოწმებული სკოლების ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების თეორიის, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარების ინსტრუქტორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, ხერხებს, არ სარგებლობს საჭირო დამხმარე ლიტერატურით, სუსტად ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, დაბალ დონეზე ატარებს თეორიულ გაკვეთილებს და პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოებს,

გურჯაანის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ნ. ზაქაშვილი, იგივე სამხედრო ხელმძღვანელი, საშუალო სპეციალური განათლებით) არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა დავალებად მიცემული „უკანა ხიდი“, წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორი ხორციელდება ტრაქტორის მობრუნება, ვერ გახსნეს უკანა ხიდის დანიშნულება, თვით მასწავლებელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხებზე და გაუგებრად, გაუაზროთავად სვამდა ფრონტალურ კითხვებს კლასის წინაშე. მან ცოტა დროში, მოსწავლეთათვის გაუგებრად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მოახდინა ახალი მასალის—„ტრაქტორის სავალი ნაწილების“ გადაცემა; ასევე, ზერელედ და გაუგებრად მოახდინა იგივე საკითხის პრაქტიკულად გაცნობა დტ-75 ტიპის ტრაქტორზე, ხოლო კომბაინისა—მე-10 კლასში. ასევე სუსტად მუშაობს ამავე რაიონის ველაანის საშუალო სკოლის ტრაქტორების თეორიის მასწავლებელი ა. ლიკოშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის ზოგადტექნიკური ფაკულტეტი. სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მასწავლებელი გ. სეთრახოვი, ზუგდიდის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლის X კლასის ტრაქტორების თეორიის მასწავლებელი ლ. აოქაძია და სხვ. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების მასწავლებლები გაკვეთილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. მცხეთის რაიონის დიღმის საშუალო სკოლაში მასწავლებლებმა მ. ჯავახიშვილმა და ვ. თათარაშვილმა IX და X კლასებში, მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისას, საკვების სხვადასხვა სახეებისა და მოზარდეულის გამოზრდის საკითხებზე თვალსაჩინო საშუალებანი არ გამოიყენეს. ყველა შემოწმებულ სკოლაში იშვიათად ხდება სასწავლო კინოფილმების, დიაფილმებისა და დიაპოზიტივების გამოყენება.

შემოწმებული სკოლების დიდ ნაწილში მოუგვარებელია ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სწავლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს შორის ურთიერთკავშირი, ბევრგან კიდევ ამ საგნების სწავლება არ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საფუძვლების შესწავლასთან, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან. ახმეტის რაიონის ქისტაუ-

რის საშუალო სკოლის ტრაქტორების თეორიის მასწავლებელმა ი. საკაშვილმა, რომელსაც საშუალო ტექნიკური განათლება აქვს, IX კლასში მოსწავლეებს გააცნო „თვითმავალი მანქანის ძრავების კვების სისტემა". მან პლაკატზე აჩვენა საწვავის ავზი, დაბალი წნევის მილგაყვანილობა, დაბალი წნევის ტუმბო, წმინდად გამწმენდი ფილტრი, მაღალი წნევის ტუმბო და სხვა ნაწილები, მაგრამ მოსწავლეებს არ მოაგონა, რას ეწოდება წნევის ძალა, წნევა, რა იწვევს წნევას, სიმკვრივე, ტემპერატურა, სათბობის თბოუნარიანობა და სხვა საკითხები ფიზიკიდან, რაც მოსწავლეებს ნათელ წარმოდგენას მისცემდა ამ სისტემის მოქმედების პრინციპზე.

ზოგიერთ სკოლაში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას საგრძნობლად უშლის ხელს ის გარემოება, რომ საათები დაქუცმაცებულია და ზოგჯერ გამოყენებულია ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვის შესავსებად. საგნის სწავლება ენდობა არასპეციალისტებს. მაგალითად, გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. გურგენაშვილი) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აგროტექნიკის საფუძვლების 7 საათი და IV—VII კლასებში სასოფლო-სამეურნეო შრომის საათები ბიოლოგიის 3 მასწავლებელზეა განაწილებული. ასევე, ვაზისუბნის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ბასიძე) შრომით სწავლებას ბიოლოგი ატარებს, მაშინ როდესაც სკოლაში ორი აგრონომი მუშაობს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამ მხრივ ამავე რაიონის მელაანის (დირექტორი გ. ხათიძე), ზუგდიდის რაიონის ინგირის პირველ (დირექტორი ნ. ესვაუა) და ოჩეიის (დირექტორი ლ. ქირია) საშუალო სკოლებში.

ზოგიერთ შემოწმებულ სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ადგილი აქვს კურსდამთავრებულ მოსწავლეთაგან საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების წესების დარღვევას. გურჯაანის რაიონის შროშისა და ველისციხის საშუალო სკოლებში 1973—1974 სასწავლო წელს საკვალიფიკაციო გამოცდაზე არ დაუშვეს ის მოსწავლეები, რომელთაც 17 წელი არ ჰქონდათ შესრულებული, რის შედეგადაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოწმობა 132 მოსწავლიდან მიიღო მხოლოდ 60-მა, დანარჩენმა მოსწავლეებმა დაჰკარგეს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს საკვალიფიკაციო კომისიაში გამოცდების ჩაბარების უფლება. მცხეთის რაიონის დიღმის საშუალო სკოლაში

1974 წელს 77 კურსდამთავრებული მოსწავლიდან 11-მა მიიღო ტრაქტორისტ-მემანქანის კვალიფიკაცია, მათგან სპეციალობით მხოლოდ 2 მუშაობს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთ სკოლაში არა აქვთ შრომითი სწავლების პროგრამა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მოსამზადებლად და სარგებლობენ შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების პროგრამებით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება. ზოგ სკოლებში დარღვეულია სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების გავლის თანმიმდევრობა და ზოგჯერ თემებზე განკუთვნილი საათების რაოდენობაც კი.

ასე, მაგალითად, მცხეთის რაიონის დიღმის საშუალო სკოლაში „მეცხოველეობის საფუძვლებს" X კლასში 2 საათი ეთმობა კვირაში ერთი საათის ნაცვლად, ხოლო „მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას"—2 საათი, 3 საათის ნაცვლად და სხვ.

გურჯაანის რაიონის ველისციხის, მელაანის, შრომის, არაშენდის, ვაზისუბნის, ზუგდიდის რაიონის რუხის, ინგირის პირველ და ადასაქენის საშუალო სკოლების IX—X კლასების მოსწავლეებს გავლილი არა აქვთ ღრმა სამედიცინო შემოწმება.

ზოგიერთი რაიონის სკოლებში არ ტარდება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ტრაქტორებზე, კომბაინებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ინდივიდუალური სწავლებისათვის IX—X კლასებში გამოყოფილი (გეგმის ზევით) 20 საათი. ასე მაგალითად, გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს ვ. ზღაპარაძეს გასულ წელს IX კლასებში არ ჩაუტარებია ტრაქტორის მართვის ინდივიდუალური სწავლება 525 საათი და ასევე აგრძელებს მუშაობას მიმდინარე სასწავლო წელსაც.

შემოწმებულ რაიონებში სათანადოდ არ მუშაობს შრომის მასწავლებელთა სექციები, რაიონულ მეთოდურ კაბინეტებთან ცალკე არ არის შექმნილი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების, ავტოსაქმისა და ინსტრუქტორ-მასწავლებელთა სექცია, რომლებიც მათ კვალიფიკაციურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას გაუწევდა.

სკოლებში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმეში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული, რომ სკოლების ერთ ნაწილში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, ხელმძღვანელობა და იშვიათად

წარმოებს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება-განზოგადება. სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ უწევენ მასწავლებელთა მუშაობას. ისინი იშვიათად ესწრებიან შრომის გაკვეთილებზე, კმაყოფილდებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების მსვლელობის უბრალო აღწერით, არ ახდენენ მოსმენილი გაკვეთილების გაანალიზებას, ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებლის მუშაობის შინაარსს, არ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს საგნის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის. ასე მაგალითად, საგარეჯოს რაიონის პატარა ჩაილურის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ფხალაძეს, კაკაბეთისა და პატარძეულის საშუალო სკოლების დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. გულადაშვილს და გ. თანდაშვილს შემოწმების დღისათვის (1975 წლის 10 თებერვლისათვის) არც ერთი გაკვეთილი არ ჰქონდათ მოსმენილი. ასევე, გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. ხუციშვილს სასწავლო წლის პირველ ნახევარში შრომით სწავლებაში მოსმენილი აქვს მხოლოდ 3 გაკვეთილი.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში (IX—X) სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 23 ივლისის № 418 დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 28 სექტემბრის № 498 შესაბამისი ბრძანების შესრულების მიმდინარეობის საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისადმი, სისტემატურად და საფუძვლიანად შეისწავლონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების მდგომარეობა ზოგადსაგანმანა-

ლებლო სკოლებში და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი სწავლების გასაუმჯობესებლად; ფართოდ დანერგონ სკოლებში მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისათვის კაბინეტების მოწყობა-შევსებისა და სასწავლო მუშაობაში მათი სისტემატურად გამოყენების საქმეს;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები 1975—1976 სასწავლო წლიდან მეთოდურ კაბინეტებთან ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტოსაქმის მასწავლებელთა ცალკე სექციის შექმნის შესახებ; ამ სექციის ხელმძღვანელად შეარჩიონ სათანადო ცენზისა და გამოცდილების მუშაკი და დააკისრონ მას პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწავლებაზე;

გ) რაიონის ერთ-ერთ სოფლის სკოლაში სანიმუშოდ მოაწყონ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების კაბინეტი, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნო ტრაქტორის კვანძების მონტაჟისა და დემონტაჟისათვის და გახადონ იგი მთელი რაიონის ამ საგნების მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების ცენტრად;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საინსპექტორო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და მეცხოველეობის საფუძვლების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული თემების შესწავლის თანმიმდევრობას, შესწავლისათვის განკუთვნილი საათების რაციონალურად გამოყენებას, სასწავლო მოწყობილობის გამართულობასა და სწავლებაში მისი გამოყენების საკითხებს;

ე) ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების თეორიის მასწავლებლებად დანიშნონ უმაღლესი ან, უკიდურეს შემთხვევაში, საშუალო სპეციალური განათლების, სათანადო სტაჟისა და ამ დარგში მუშაობის გამოცდილების მქონე მუშაკები, ინსტრუქტორებად—ტრაქტორის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პრაქტიკული ტარების მასწავლებლებად პირველი ან მეორე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეები;

ვ) ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისათვის მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით განახორციელონ სკოლების მტკიცე კავშირი „საქსოფლტექნიკის" განყოფილებებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მძლავრი მეურნეობა;

ზ) მტკიცე კონტროლი დააწესონ გამოსაშვებ კლასებში მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე და მოწმობების გაცემაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც შეისწავლეს ტრაქტორის, კომბაინის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება და აგრეთვე აგროტექნიკის საფუძვლები და მეცხოველეობა;

თ) სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების საქმიანობა და ისეთები, რომლებიც ვერ ახერხებენ არსებითად გარდაქმნან საგნის სწავლება, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლონ სამუშაოდან.

ი) მეტი მოთხოვნილება წაუყენონ საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს სკოლების საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოების, სასწავლო კაბინეტების, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და სასწავლო-საცდელი მეურნეობების შექმნის საქმეში.

2. იმ საშუალო სკოლების დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში, სადაც შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების სწავლების კაბინეტისათვის, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოსა და ტრაქტორის სადგომი გარაჟის ტექნიკური მომსახურების პუნქტისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით; ფართოდ ჩააბან ამ საქმიანობაში ადგილობრივ დისლოცირებული სამხედრო ნაწილები, სატრაქტორო მეურნეობები; უზრუნველყონ მათგან ტრაქტორის სწავლებისათვის საჭირო ძრავების, აგრეგატების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაწილების, ცალკე კვანძების, მოქმედი მოდელების აპარატურისა და პლაკატების მიღება;

ბ) სისტემატურად დაესწრონ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების თეორიის, ტრაქტორისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პრაქტიკული ტარების მასწავლებელთა გაკვეთილებს, მოახდინონ მათი

ღრმა ანალიზი, მიუთითონ მასწავლებლებს შემჩნეულ ნაკლოვანებებზე და მოწინავე მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილება განაზოგადონ მეთოდურ თათბირებზე;

გ) იზრუნონ საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოს შექმნაზე მოსწავლეთა მიერ ტრაქტორისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პრაქტიკული ტარების შესასწავლად მოედნისათვის ადგილის შერჩევასა და მოწყობაზე;

დ) რეგულარულად შეამოწმონ IX—X კლასებში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებას. სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების, საწარმოო პრაქტიკისა და საწარმოო ხასიათის ექსკურსიების ჩატარების საქმეს;

ე) გაატარონ სამედიცინო კომისიაზე იმ სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, სადაც შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება.

3. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების თეორიის მასწავლებლებმა და ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პრაქტიკული ტარების ინსტრუქტორ-მასწავლებლებმა:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასწავლო კაბინეტები, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოები, ტრაქტორის სადგომი გარაჟები, ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მოედნები, იზრუნონ მათი გეგმიანად შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან კაბინეტების, სამონტაჟო სახელოსნოების მოვლისა და ხელსაწყოების შენახვის უსაფრთხოების წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითნაკეთი სტენდების, მოქმედი მოდელების, სქემებისა და ნახაზების დამზადების საქმეს;

ბ) სისტემატურად იზრუნონ პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის; საფუძვლიანად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება და ფართო ადგილი დაუთმონ სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებას;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული

ზოგადსაგანმანათლებლო და შრომითი სწავლების (IV—VIII) საგნებთან, რისთვისაც სათანადო კავშირი იქონიონ ამ საგნების მასწავლებლებთან;

დ) უზრუნველყონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვა სასწავლო კაბინეტებში, საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოებისა და ტრაქტორის სადგომ გარაჟში ტექნიკური მომსახურეობის პუნქტით.

4. ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოუწყობლობის მოუვლელობისა და ამ საგნების სწავლებაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობის გამო სკოლის დირექტორებს: ნ. ნაროზაულს (აბაშის რაიონის მარნის საშუალო სკოლა), გ. ნათიძეს (გურჯაანის რაიონის მელაანის საშუალო სკოლა) და გ. ჭაბაშვილს (სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური;

ტრაქტორისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწავლებისათვის კაბინეტების მოუწყობლობის, საგნების სწავლებაში არსებული ნაკლოვანებებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო, მასწავლებლებს: ა. ტივიშვილს (გურჯაანის რაიონის მელაანის საშუალო სკოლა), ჯ. ცაბუტაშვილს (სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლა) და ხ. ზაქაშვილს (გურჯაანის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური;

სასწავლო პროგრამებით IX კლასებში ტრაქტორის მართვის ინდივიდუალური ტარებისათვის თითოეულ მოსწავლეზე გათვალისწინებული 15 საათის (სულ 525 საათის) რაოდენობით ჩაუტარებლობისათვის ინსტრუქტორს—ტრაქტორის პრაქტიკული ტარების მასწავლებელს ვ. ზღაპაოძეს (გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო სკოლა) გამოეცხადოს საყვედური.

5. საგნის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო მასწავლებლებს: ს. დოლაქიშვილს (მცხეთის რაიონის მუხრანის 1-ლი საშუალო სკოლა), ა. ცქიტიშვილს (მცხეთის რაიონის ქსოვრისის საშუალო სკოლა), გ. სეითაროვს (სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლა) და ლ. არქანიას (ზუგდიდის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლა) მიეთითოთ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს-

თან შეთანხმებით, მოამზადოს გამოსაცემად მეთოდური ლიტერატურა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ფართოდ განაზოგადოს ამ საგნების მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) უზრუნველყოს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების მასწავლებელთა გადამზადება 1975 წლისათვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. კურსებზე ლექტორებად მოწვეულ იქნენ კვალიფიციური და სათანადო გამოცდილების მქონე მუშაკები;

ბ) ყოველი სასწავლო წლის აგვისტოსა და იანვარში მოაწყოს ქალაქებისა და რაიონების მეთოდური კაბინეტების ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტოსაქმის მასწავლებელთა სექციის ხელმძღვანელთა ერთკვირიანი სემინარი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილი ცვლილებების გასაცნობად.

8. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაია) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში (IX—X) სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების მიმდინარეობისა და ამ საგნების მასწავლებელთა მეთოდური დახმარებისათვის.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1975 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს საჭირო თანხები:

ა) 90 ცალი ტრაქტორის შესაძენად იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, რომლებშიც 1975—1976 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება;

ბ) მოწმობების დასამზადებლად სოფლის საშუალო სკოლების იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებმაც შეისწავლეს ტრაქტორების, კომბაინის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარება, აგრეთვე აგროტექნიკის საფუძვლები და მეცხოველეობა.

10. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კპილაშვილი):

ა) თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიისა და მისი ფილიალების საშუალებით უზრუნველყოს ტრაქტორებით, ტრაქტორის სწავლებისათვის საჭირო კაბინეტით, მოქმედი მოდელებით, პლაკატებით, კინოფილმებით, დიაფილმებით, დიაპოზიტივებითა და სხვა თვალსაჩინო მასალებით სოფლის ის სკოლები, სადაც უფროს კლასებში (IX—X) შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება;

ბ) მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს იმ სოფლის სკოლების საწვავით, საზეთი და სხვა საჭირო მასალებით მომარაგება, სადაც შემოღებულია მექანიზატორთა კადრების მომზადება.

11. განათლების სამინისტროს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილი) უზრუნველყოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX — X კლასებისათვის ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისათვის სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის გამოცემა.

12. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სადაც შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადება და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

13. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 15 მაისის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ 1975 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 416

### 1971—74 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1975 წლის 4 მარტის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით

აღვნიშნავ, რომ სკკპ 24-ე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება.

ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი და ბავშვთა კონტინგენტი, მტკიცდება მათი მატერიალური ბაზა.

თუ 1971 წლის პირველი იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 1415 სკოლამდელი დაწესებულება 104762 ბავშვით, 1975 წლის ამავე პერიოდისათვის მათი რიცხვი 159 ერთეულით გაიზარდა და მიაღწია 1574-ს 124753 ბავშვით, მ. შ. ტიპური პროექტით, განათლების სისტემის ხაზით, აშენდა 47 სკოლამდელი დაწესებულება 8290 ბავშვ-ადგილზე.

ანომალური ბავშვებისათვის გახსნილია რესპუბლიკური ორი ბაგა-ბაღი, სადაც ბავშვებს, სწავლა-აღზრდასთან ერთად, უტარდებათ სათანადო მკურნალობა.

გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელი კადრის შემადგენლობა. ამ დაწესებულებათა გამგეების 50%-ს უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს (1574 გამგიდან უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს 769-ს). გორისა და თერჯოლის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა ყველა აღმზრდელს უმაღლესი პედაგოგიური ან საშუალო სპეციალური პედაგოგიური განათლება

აქვს, ხოლო გურჯაანის რაიონში 1971—74 წლებში შეუფერებელი განათლების ცენზის მქონე არცერთი აღმზრდელი არ დანიშნულა.

სკოლამდელი აღზრდის სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე კადრის მომზადების მიზნით ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში გახსნილია ფაკულტეტი „სკოლამდელი ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“, რომლის პირველი გამოშვება გასულ სასწავლო წელს იყო.

სკოლამდელი აღზრდის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ეწყობა დახელოვნების კურსები. 1971—74 წლებში აღნიშნული კურსები გაიარა 2 ათასამდე მუშაკმა, ხოლო ადგილებზე სემინარები ჩაუტარდა 2684 მსმენელს.

სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ აღზრდის პროგრამის ყველა განაყოფში 70 ქალაქისა და რაიონის 6384 სკოლამდელ მუშაკს ჩაუტარდა სემინარები.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას ხელი შეუწყო აგრეთვე განათლების სამინისტროს მიერ სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე ზონალური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა (5) და სემინარების ჩატარებამ, რომელზედაც წაკითხულ იქნა როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული ხასიათის მოხსენებები.

სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორ-მეთოდისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე დადებითი გავლენა იქონია სსრკ განათლების სამინისტროს მიერ ქ. თბილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ჩატარებულმა სემინარმა.

პრაქტიკაში დაინერგა საუკეთესო მუშაკთა გამოცდილების გაზიარება არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 1971—1974 წლებში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური, შრომითი, ესთეტიკური აღზრდისა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე წარდგენილ იქნა 37 თემა. მ. შ. 21 თემამ დაიმსახურა მოწონება და სათანადო ჯილდოები. ორმა—ოქროს მედალი, ხუთმა—ვერცხლის, თერთმეტმა—ბრინჯაოს, სამმა—საპატიო დიპლომი და ფულადი პრემიები.

კოლეგიაზე მოსმენილ იქნა ქობულეთის განათლების განყოფილების გამგის ამხ. რ. ჯინჭარაძის მუშაობის გამოცდილება სოფლის ბაღებზე დახმარებისა და ხელმძღვანელობის შესახებ, ქ. ზუგდიდის მეთოდკაბინეტის გამგის ამხ. მ. ფირცხალავას, ვარკეთილის ბაგა-ბაღის გამგის ამხ. ლ. ყურაშვილის მუშაობის შესახებ და სხვ.

სკოლამდელ მუშაკთა დასახმარებლად გამოიცა ცამეტი დასახელების მეთოდური ლიტერატურა და 12 დასახელების თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა, რუსულ სკოლამდელ დაწესებულებებს დიდ დახმარებას უწევს სსრკ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული მეთოდური ლიტერატურის კომპლექსი „აღმზრდელის ბიბლიოთეკის" სახელწოდებით.

მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ყურადღება მიექცა სკოლამდელ დაწესებულებათა კეთილმოწყობას, შენობათა ესთეტიკურ გაფორმებას, მეთოდური კაბინეტების თვალსაჩინო მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, ამავე დროს მოხერხებულადაა გამოყენებული პედაგოგების მიერ დამზადებული თვითნაკეთი სათამაშოები.

სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა უზრუნველყოფილია რბილი და მაგარი ინვენტარით, სამაცივრო დანადგარებით, შექმნილია პირობები პედაგოგიური და ტექნიკური მუშაკების ნორმალური მუშაობისათვის.

ამასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის დარგში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი:

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჩაბმის პროცენტი დაბალია (22 ), წლიდან წლამდე არ არ სრულდება სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმები. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სკოლამდელი დაწესებულებები უნდა აშენებულიყო 15440 ბავშვ—ადგილზე, ფაქტიურად აშენდა 12140 ადგილზე მოსახლეობას დააკლდა 33000 ბავშვ—ადგილი. აქედან განათლების სამინისტროს ხაზით არ აშენებულა 3250 ბავშვ—ადგილი (უნდა აშენებულიყო 11540 ბავშვ-ადგილზე, აშენდა 8290 ბავშვ-ადგილზე). 1974 წლისათვის მშენებლობის გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა 82%-ით, მ. შ. განათლების სისტემის—78,5%-ით, უფრო ცუდი მდგომარეობაა სოფლად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1973 წელს 1275 ბავშვ-ადგილზე უნდა აეშენებინა სკოლამდელი დაწესებულებები, ააშენა 425 ადგილზე, 1974 წელს, ნაცვლად 1146 ბავშვ—ადგილისა, ააშენა 440 ბავშვ—ადგილზე, მაშინ როდესაც რესპუბლიკის ბევრი რაიონის სოფლის მცხოვრებნი კატეგორიულად აყენებენ საკითხს სკოლამდელ დაწესებულებათა გახსნის აუცილებლობაზე.

საფრთხეშია 1975 წლის სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმის შესრულებაც. მ/წლის პირველი აპრილისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 14%-ით, ხოლო პირველი კვარტალის გეგმა—47%-ით.

ბაგა-ბაღის მშენებლობა ჯერ კიდევ არ განუახლებიათ ხაშურის რაიონში, მშენებლობა კი პირველ კვარტალში უნდა დამთავრებულიყო. დმანისისა და აბაშის რაიონებში ბაგა-ბაღების მშენებლობა ჩაშლამდეა მისული. ტერიტორიაზე, რომელიც გამოყოფილი იყო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის, სხვა ობიექტებია აშენებული. მშენებლობა ქ. თბილისშიაც არ დაწყებულა, მაშინ როდესაც 55 ათასი სკოლამდელი ასაკის ბავშვი ამ დაწესებულებათა გარეთაა დარჩენილი, ხოლო 1974 წელს ამავე ქალაქში 3756 მოქალაქეს ეთქვა უარი ბავშვების საბავშვო ბაღებში ჩარიცხვაზე.

მძიმე ადგომარეობაა აგრეთვე ქ. რუსთავში, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩარიცხვისათვის რიგში დგას 1000 მოქალაქე. 1972—74 წლებში მხოლოდ ორი ბაგა-ბაღი აშენდა. ისეთმა სამრეწველო ობიექტებმა, როგორიცაა ქიმიური, მეტალურგიული ქარხნები, შეწყვიტეს სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა.

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის უკმარისობის გამო რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში საალმზრდელო ჯგუფები გადატვირთულია ბავშვებით. მათი რიცხვი ზოგან 40—50-ს ჭარბობს, რაც აძნელებს არა მარტო ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალურ წარმართვას და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, არამედ ხელს უშლის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის შრომის ესთეტიკისა და სხვა პირობების დაცვას.

ამას ისიც ემატება, რომ რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ნახევარზე მეტი (1574-დან 838 ერთ-ორჯგუფიანი) ერთ-ორჯგუფიანია, სადაც მეტად რთულდება ბავშვებთან მუშაობა და აღზრდის პროგრამის განხორციელება.

1971—74 წლებში განათლების სამინისტროს ხაზით მცირეკომპლექტიან სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი, ნაცვლად შემცირებისა, 64 ერთეულით გაიზარდა (1971 წელს იყო 368, 1975 წლის პირველი იანვრისათვის—432).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სკოლამდელ დაწესებულებებში არა თუ კლებულობს შეუფერებელი ცენზის მქონე კადრების დანიშვნა, არამედ მატულობს კიდეც. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა აღმზრდელთა შემადგენლობაში.

1975 წლის პირველი იანვრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რესპუბლიკის 9841 აღმზრდელიდან 2042-ს, ე. ი. თითქმის ყოველ მეოთხეს შეუფერებელი განათლება აქვს (საშუალო ზოგადი და საშუალო სპეციალური, არაპედაგოგიური), რაც შეადგენს საერთო რაოდენობის 21%-ს, ხოლო განათლების სისტემაში მომუშავე 7104 აღმზრდელიდან—1302-ს, ე. ი. 18%-ს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შეუფერებელი კადრის დანიშვნა 1975 წლის პირველი იანვრისათვის 1971 წელთან შედარებით 28 ერთეულით გაიზარდა, ქ. ზუგდიდში—42-ით, ზუგდიდის რაიონში—15-ით, მახარაძეში—13-ით, ცხაკაიაში—12-ით, კასპში—9-ით, ჭიათურაში—8-ით, მაშინ როდესაც სპეციალური განათლების მქონე კადრი რიგში დგას და წლობით ელოდება სამუშაოს.

არასაკმაო რაოდენობით წარმოებს სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებისა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებდეს 2 ათასი მუშაკი, ფაქტიურად დახელოვნების კურსებს ყოველწლიურად გადის მხოლოდ 350—370, რითაც ირღვევა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დადგენილი ვადები.

ზოგიერთ განათლების განყოფილებასა და სკოლამდელ დაწესებულებაში არ წარმოებს აღრიცხვა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ (სად, რა, როდის და რა სახის კვალიფიკაცია გაიარა).

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სკოლამდელ დაწესებულებათა ინვენტარ-მოწყობილობის უზრუნველყოფის მხრივ. სკოლამდელ დაწესებულებებს ძალზე უჭირთ დღევანდელი მოთხოვნილებითა და ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით ინვენტარის შეძენა, რის გამოც ბავშვთა უმრავლესობას ხერხემლიდან გადახრა ე. წ. „სქოლიოზი" აქვს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებშიაც 20—30 წლის წინათ შეტანილი ავეჯი გამოსულია მწყობრიდან.

სკოლამდელ დაწესებულებათა ნორმალურად მუშაობასა და ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას ხელს უშლის სასწავლო ნივთებით

(ფერადი ქაღალდი, ფანქრები, ფუნჯები, საღებავები, სახატავი რვეულები და სხვ.) უქონლობა.

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 4 აპრილის დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

მიიღონ ყველა ზომა სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი დონის ასამაღლებლად, ამ მიზნით:

ა) ფართოდ შეისწავლონ და განაზოგადონ სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივებისა და ცალკეული აღმზრდელების დადებითი გამოცდილება;

ბ) აღკვეთონ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებად და აღმზრდელებად იმ პირთა დანიშვნა, რომელთაც არ აქვთ სათანადო ცენზი და გამოცდილება;

გ) უზრუნველყონ ყოველ ხუთ წელიწადში სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებისა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, აწარმოონ მათი აღრიცხვა დადგენილი ფორმის მიხედვით.

იმ გამგეებსა და აღმზრდელებს, რომლებსაც არ აქვთ სათანადო ცენზი, მაგრამ პერსპექტიულნი არიან, დაუსწრებელი სწავლების გზით აუმაღლონ კვალიფიკაცია, ხოლო არაპერსპექტიულნი არსებული წესის დაცვით გაათავისუფლონ სამუშაოდან;

დ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობაზე, სისტემატურად განიხილონ მშენებლობის მიმდინარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ დროულად დასამთავრებლად;

ე) იზრუნონ მცირეკომპლექტიან სკოლამდელ დაწესებულებათა სათანადო პირობების შესაქმნელად. იმ შემთხვევაში თუ სკოლამდელი დაწესებულების მატერიალური ბაზა ვერ პასუხობს მოთხოვნას, გაატარონ სათანადო ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

2. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) მ/წელს მაქსიმალურად გაზარდოს

სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო მეათე ხუთწლედში ყოველწლიურად გადაამზადოს ათასი მუშაკი.

არ დაუშვას კურსებზე შეუფერებელი ცენზისა და საპენსიო ასაკის მქონე პირები.

3. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე):

ა) 1975 წლისათვის გაითვალისწინოს სემინარების ჩატარება რესპუბლიკის 10 ქალაქსა და რაიონში;

ბ) სკოლამდელ მუშაკთა თვითგანათლების ასამაღლებლად შეიმუშაოს თემატიკა და წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

გ) უზრუნველყოს კადრების აღრიცხვის პირადი ბარათების დაბეჭდვა და მისი რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში დაგზავნა.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) სკოლამდელი აღზრდის განყოფილებასთან (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) ერთად სისტემატური კონტროლი დააწესოს სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობაზე და მიიღოს ყველა ზომა მათი მშენებლობის დროზე დასამთავრებლად.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს გამოუყოს სათანადო ასიგნებანი სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხოლო მეთოდურ კაბინეტს—სემინარების ჩასატარებლად.

6. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) მიიღოს ქმედითი ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა სათანადო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველსაყოფად.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დაავალოს სამრეწველო წარმოებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავიანთი სახსრებით ყოველწლიურად გაზარდონ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტს განათლების სამინისტროს გამოუყოს სასწავლო ნივთების სათანადო ფონდი სკოლამდელი დაწესებულებებისათვის.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაქსიმალურად გაზარდოს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი სოფლად როგორც ახალი მშენებლობის, ასევე სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებათა მუდმივმოქმედად გადაკეთების ბაზაზე.

10. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა შეამოწმოს 1975 წლის მეოთხე კვარტალში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის1975 წლის 24 აპრილის სხდომის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 2 ივნისის ბრძანება № 05—13—41/4

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს**

იმის გამო, რომ რესპუბლიკის ბევრ ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფაკულტატიური მეცადინეობა ტარდება დებულების უხეში დარღვევით, რის გამოც იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს და მეტწილად მასწავლებელთა კვირეული დატვირთვის ხელოვნურ გაზრდას ემსახურება, გავალებთ ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათები გამოიყენოთ შემდეგნაირად:

VII კლასში ორი ფაკულტატიური საათიდან თითო საათი შესაბამისად დაუთმოთ გეოგრაფიისა და რუსული ენის შესწავლას;

VIII კლასში დარჩენილი ერთი საათი—ქართული ლიტერატურის სწავლებას;

IX კლასში სამი ფაკულტატიური საათიდან თითო საათი შესაბამისად—ქართული ენის, რუსული ენისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებას.

ამასთან, აღვნიშნავ, რომ თუ სკოლაში არის პირობები ფაკულტატიური მეცადინეობის ჩასატარებლად ერთ ან რამდენიმე საგანში, შემოღებულ იქნეს იგი დებულების მტკიცე დაცვით, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა დააკისროთ სკოლის დირექტორსა და განათლების განყოფილების გამგეს.

ფაკულტატიური საათების ზემოაღნიშნული განაწილება სავალდებულოა აგრეთვე გაღრმავებული სწავლების სკოლების იმ კლასებისათვის, სადაც მოცემული საგანი გაღრმავებულად არ ისწავლება.

რეკომენდებულ საგნებში მეცადინეობა ჩატარდება გაკვეთილების დაწყებამდე ან უშუალოდ მათ შემდეგ (VI ან VII გაკვეთილი) და აისახება სპეციალურ ცხრილში. მეცადინეობა ამ საგნებში იწარ-

მოებს ძირითადი სასწავლო პროგრამით, განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული კალენდარული გეგმის მიხედვით, რომელიც მოეგზავნებათ ცალკე.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ ა/წ 20 ივნისამდე განათლების სამინისტროს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველოში წარმოადგინოთ ცნობები იმ სკოლებისა და კლასების შესახებ, სადაც გადაწყვეტილი გაქვთ ამა თუ იმ საგნის გაღრმავებული ან ფაკულტატიური სწავლების შემოღება.

**შენიშვნა:** ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათებიდან VII კლასში გეოგრაფიის სწავლებისათვის ერთი საათისა და IX კლასში ქართული ენის სწავლებისათვის ერთი საათის დათმობა სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 5 ივნისის ბრძანება № 448

### სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ გარდაბნის რაიონში

როგორც სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

მიუხედავად ამისა, მთელ ამ საქმიანობაში აღნიშნული რაიონის განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აქვთ მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ქერიციშვილმა):

ა) მკვეთრად გააძლიეროს მუშაობა სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესასრულებლად. ამ მიზნით დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და სწავლა-აღზრდის პროცესის დონის შემდგომ ამაღლებლად;

ბ) მეტი ყურადღება დაუთმოს სასკოლო საქმიანობის რაციონალურად დაგეგმვის საკითხებზე მუშაობას. მიიღოს ზომები სკოლებისადმი დახმარების, ხელმძღვანელობისა და შესრულების კონტროლის

გასაუმჯობესებლად. ღრმა ანალიზი გაუკეთოს სკოლების ფრონტალური და თემატური შემოწმების მასალებს და უზრუნველყოს, ერთი მხრივ, სკოლების მოწინავე მუშაკთა გამოცდილებისა განზოგადება და, მეორე მხრივ, შემჩნეული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა;

გ) ყოველდღიურად იზრუნოს სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების საქმიანი კვალიფიკაციის შემდგომი სრულყოფისათვის; ამ მიზნით უზრუნველყოს დახელოვნების კურსების, მეთოდგაერთიანებებისა და მეთოდური სექციების მუშაობაში, ღია გაკვეთილების ჩატარებაში მათი აქტიური მონაწილეობა, საკუთარი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული მომზადების დონის ამაღლება;

დ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით ყველა სკოლის, სკოლების ეზოებსა და შემოგარენში მწვანე ნარგავების გაშენებისა და მოვლის უზრუნველსაყოფად. აამაღლოს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ავანგარდული როლი სწავლა-აღზრდასა და შრომაში. მიიღოს ზომები გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში ბავშვთა ნორმალური გართობის, დასვენებისა და მეცადინეობის პირობების შესაქმნელად. გონივრულად გამოიყენონ მთელი ეს მუშაობა მოსწავლეთა გონებრივი, ფიზიკური, შრომითი, პატრიოტული და ესთეტიკური აღზრდისათვის;

ე) მოსწავლეებში შრომითი, სწორი პროფესიული ორიენტაციის აღზრდისა და პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით, პერიოდულად შეისწავლოს სკოლებში ამ საქმის მდგომარეობა და გაუკეთოს მათ თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერების დონის შესაფერისი ანალიზი, რომლის საფუძველზეც წარმართოს შემდგომი მუშაობა. მოაწყოს სასკოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოფენა და სკოლების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივებისათვის მათი საფუძვლიანი გაცნობა;

ვ) გადამჭრელი ზომები მიიღოს განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტისა და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ მიზნით აუცილებელი პოლიტიკური, მხატვრული, პედაგოგიურ-მეთოდური და საცნობარო ლიტერატურით მათი სისტემატურად შესავსებად; აამაღლონ მათი როლი როგორც მოსწავლეთა ხალ-

გაზრდობის, ისე პედაგოგიური კადრების მომზადების დონის ამაღლებაში;

ზ) სპეციალურად შეისწავლოს რაიონის სკოლებში მშობლებთან პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა, დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მათ შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის გასაძლიერებლად; მიაღწიოს სკოლის მუშაობით, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებით მათ უფრო მეტ დაინტერესებას;

თ) სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილონ განათლებისა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

2. გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა გადაჭრით გააძლიერონ მუშაობა სახალხო განათლების დარგში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. განუხრელად და მტკიცედ შეასრულონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესახებ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრძანებები და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა პედაგოგიურ კოლექტივებთან, მოსწავლეთა მშობლებთან და თავიანთი მიკრორაიონების ფართო საზოგადოებრიობასთან. ამ მიზნით აამაღლონ სკოლებისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის დონე.

3. გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებმა გააძლიერონ ზრუნვა თავიანთი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული მომზადების დონის ასამაღლებლად; გულმოდგინედ, ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებისადმი წაყენებულ სადღეისო მოთხოვნათა შესაფერისად, ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის და მკვეთრად აამაღლონ მისი როლი მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სწავლების, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების საქმეში.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მომხმარებელთა საზოგადოების ცენტრალურ კავშირს, დაავალოს შესაბამის ქვემდებარებულ ორგანოებს, დაეხმარონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს გახანგრძ-

ლივებული დღისა და სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთათვის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაში.

5. ეთხოვოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, დაავალოს მის ქვემდებარე სათანადო ორგანიზაციებს, მათთვის ოპერატიულად შესაძლებელი დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სარეისო ავტობუსებით სკოლიდან სახლამდე და სახლიდან სკოლამდე მოსწავლეთა გადაყვანის საქმეში.

6. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე შინასასკოლო კონტროლის არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო გარდაბნის რაიონის მარტყოფის და ახალი სამგორის საშუალო სკოლების დირექტორებს ფ. ილურიძეს და თ. აფციაურს გამოეცხადოთ საყვედური.

7. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო, მარტყოფის რვაწლიანი და ახალი სამგორის საშუალო სკოლების რუსული და უცხოური ენების მასწავლებლებს შ. მღვდელაძესა და ჟ. ძაძუკაშვილს, სართიჭალის მეორე და მარტყოფის საშუალო სკოლების ქიმიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებს ვ. ნახუცრიშვილსა და სტეფანიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

8. გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. გ. ქვრივიშვილმა):

ა) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე წარმოადგინოს წინადადება ხელმძღვანელი კადრებით მარტყოფის საშუალო სკოლის განმტკიცების შესახებ;

ბ) სათანადო წესის დაცვით ჩამოართვას გერმანული ენის საათები შინდისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს მ. ფირცხალავას, სპეციალობით ფილოსოფოსს, და გამოიყენოს იგი სხვა, შესაფერის სამუშაოზე;

გ) ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს განათლების სამინისტროს სკოლების სამართველოს ბრიგადის მოხსენებით ცნობაში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე იმ მუშაკებს, რომლებიც ამ ბრძანებით არ არიან დასჯილნი;

დ) მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრუ-

ლებლად და ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანე-
ბათა სალიკვიდაციოდ გაწეული მუშაობის შესახებ.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და სა-
ხალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. ამხ. რ. კანდელაკმა, ზ. როგა-
ვამ) განახორციელონ კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდი-
ნარეობაზე.

მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

**სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ გარდაბნის რაიონში**

მიმდინარე, 1975 წლის 5-დან 16 მარტამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილის ს. დვალის (ხელმძღვანელი), სამმართველოს სასკოლო ინსპექტორების ნ. ახვლედიანის, დ. მახარაძის, თ. მელქაძის, გ. მიქაელიანის, თ. ხურცილავას, სამინისტროს სტატისტიკის განყოფილების უფროსის ი. უგულავას, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ჯ. დადიანის, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისა და პოლიტექნიკური სწავლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტების მეთოდისტების ა. აბაშიძისა და ს. დვალიშვილის, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტის გ. შაფაქიძის, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორის მოადგილის ალ. რამაზაშვილისა და ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორის ა. ასათიანის შემადგენლობით შეისწავლა სასახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა გარდაბნის რაიონში.

* *
*

რადგანაც ბრიგადის წინაშე ასეთი ამოცანა იდგა, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სწორედ საყოველთაო-საშუალო განათ-

ლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელებისა და სწავლა-აღზრდის ხარისხის დონის ამაღლების მდგომარეობის საკითხებს. შესწავლილ იქნა, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს კპ ცკ [illegible] პლენუმის გადაწყვეტილებანი კონტროლისა და შესრულების შემოწმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფის დარგში.

## სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზა

ზოგადი სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დადგენილებებისა და ბრძანების შესასრულებლად გარდაბნის რაიონში გაწეულია გარკვეული მუშაობა.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები — მარტყოფში 1040 მოსწავლისათვის, კუმისში—450, საცხენისში—192, წავკისში—45 მოსწავლისათვის და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი საცხენისში. მიმდინარე წლის 1-ლი მაისისათვის დამთავრდება მარტყოფის საშუალო სკოლის სააქტო დარბაზის, სპორტული კომპლექსისა და კვების ბლოკის მშენებლობა.

მიმდინარეობს ახალი სასკოლო ობიექტების მშენებლობა და 1975—1976 სასწავლო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სასკოლო შენობები—დიდ ლილოში 640 მოსწავლისათვის, ახალსოფელში 522 მოსწავლისათვის და კოჯორში (მეორე საბავშვო სახლი) 140 აღსაზრდელისათვის. ახლო მომავალში ახალი სასკოლო შენობები აიგება გარდაბანში, ნორიოში, კრკეთსა და გამარჯვებაში.

სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზით სკოლების დასახმარებლად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ რაიონის საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებანი; ასე მაგალითად, ტაბახმელის ბიოკომბინატმა საშუალო სკოლას გადასცა სამსართულიანი შენობა. გარდა ამისა, კომბინატის სახსრებით უკვე დაიწყო ახალი სასკოლო ნაგებობის მშენებლობა 640 მოსწავლისათვის. ახალი ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობამ საკუთარი სახსრებით დაიწყო რუისპოლოს საშუალო სკოლისათვის ახალი შენობის აგება 540 მოსწავლისათვის. ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობას განზრახული

აქვს საშუალო სკოლისათვის სასკოლო ოთახების მიშენება, რაც უზრუნველყოფს ერთცვლიან მეცადინეობაზე მის გადაყვანას.

ყოველწლიურად ივსება სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიები სწავლების თანამედროვე სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინო მასალებით, ტექნიკური საშუალებებით, სასკოლო ბიბლიოთეკები კი—პოლიტიკური, მხატვრული, პედაგოგიურ-მეთოდური და სხვა ხასიათის ლიტერატურით.

მაგრამ, ზემოაღნიშნულის მიუხედავად სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში გარდაბნის რაიონში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგი სკოლა და საბავშვო დაწესებულება მოთავსებულია უვარგის შენობაში და არა აქვს ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობები. ასეთი მდგომარეობაა ქესალოს, ჯანდარის, სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, კარათაკლისის საშუალო, თაზაკენდის, ახალი ულიანოვკის, შინდისის, კალინინოს, კრწანისის, გარდაბნის რვაწლიან, ნაზარლოს, ქვსალოს, ბირლიკის დაწყებით და სხვა სკოლებში.

მოსწავლეთა კონტინგენტის მკვეთრად გაზრდის გამო სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას აქტაკლიის, ყარაჯალარის, გარდაბნის აზერბაიჯანული, გამარჯვების, ვარკეთილის საშუალო და მთელი რიგი სხვა სკოლების შენობები.

სასკოლო შენობათა ფართის უქონლობის გამო რაიონის სკოლებში პირველ ცვლაში მეცადინეობს 14.251 მოსწავლე, მეორე ცვლაში კი—7.696.

სართიჭალის მერვე და თელეთის საშუალო სკოლებში (დირექტორები გ. ციცქიშვილი და ე. ბადრიძე) დღემდე არაა დამთავრებული კაბინეტ-ლაბორატორიების წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები. ბნელ, შეუფერებელ შენობაშია ქვემო თელეთის დაწყებითი სკოლა.

რაიონის სკოლები არადამაკმაყოფილებლად არიან აღჭურვილნი ლაბორატორიების სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინო მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით.

განათლების განყოფილების ფილმოტეკა (გამგე ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი) მოთავსებულია 20 კვმ ფართის მქონე ოთახში, რომელსაც ორი ფანჯარა აქვს. საჭიროებისას ვერ ხერხდება ფანჯრების დაბნელება, ამიტომ არ არის ახლად მოტანილი ფილმების გასინჯვის შესაძლებლობა.

ფილმოტეკა ღარიბია ფილმებით: სულ აქვს 301 დასა... ფილმი, რომელთა შორის ძალზე მცირეა ხუთ (სულ 3)... (სულ 5) ეგზემპლარიანი ფილმები. ფილმოტეკაში არის სხვადასხვა სახის კინოაპარატები, („შკოლნიკი“, „უკრაინა“, სასკოლო ფილმოსკოპი, დიაპროექტორი „ლეტი“, მაგნიტოფონი, ტელევიზორი და სხვ.) და სხვა ტექნიკური საშუალებანი, სულ 794 ერთეული, რომელთა გარკვეულ ნაწილს ესაჭიროება მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება; ასე რომ, ტექნიკური საშუალებებისა და საჭირო თვალსაჩინო მასალების სიმცირის გამო, ფილმოტეკა არასაკმაო მომსახურებას უწევს რაიონის სკოლებს.

შრომითი სწავლებისათვის სკოლები უზრუნველყოფილი არ არის სახელოსნოებით. თვით მარტყოფის საშუალო სკოლას (დირექტორი ფ. ილურიძე), რომელიც ახლად აგებულ ტიპურ სასკოლო შენობაშია მოთავსებული, ხელგარჯილობის სწავლებისათვის გამოყოფილი აქვს ერთი პატარა ოთახი, რომელშიც მხოლოდ 8—10 მოსწავლეს შეუძლია მუშაობა, ამ სკოლის ზოგიერთი შესაბამისი კლასის გამოყოფა კი 18—20 მოსწავლის სამუშაო ადგილს მოითხოვს. ამასთან, არა აქვთ საჭირო, აუცილებელი მოწყობილობაც. ჭრა-კერვის შესასწავლად აქ მხოლოდ ერთი საკერავი მანქანა აქვთ. შრომითი სწავლებისათვის აუცილებელი პირობები არ არის შექმნილი აგრეთვე სართიჭალის მეორე, ახალი სამგორის, თელეთის საშუალო და შინდისის რვაწლიან სკოლებში (დირექტორები გ. ციცქიშვილი, თ. აფციაური, ე. ბადრიძე, ნ. ცინცაძე).

არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება რაიონში სასწავლოსაცდელი მიწის ნაკვეთებით სკოლების უზრუნველსაყოფად. საკმარისია ითქვას, რომ მარტყოფის, სამგორის, ახალი სოფლის, დიდი ლილოს, ვარკეთილის, კრწანისის, საავადის, ქვემო კაპანახჩისა და ჯანდარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სრულიად არა აქვთ სასკოლო მიწის ნაკვეთები.

### საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელებისა და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობის შესახებ

გარდაბნის რაიონში გარკვეული ღონისძიებანი ტარდება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელ-

ლების და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად. გასული წლის იანვარსა და თებერვალში ეს საკითხი შეისწავლა განათლების განყოფილებამ და განსახილველად შეიტანა იგი რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე; მიმდინარე წლის 25 იანვარს იგივე საკითხი მოისმინა რაიონის განათლების სახალხო განათლების საბჭოს სხდომამაც.

ჩატარებული მუშაობის რეალური შედეგი ის გახლავთ, რომ გასული წლის 1-ლი სექტემბრიდან დეკემბრის ბოლომდე სკოლებს დაუბრუნდა წინა წლებში განთესილი 63 მოსწავლე.

გადაჭარბებით არის შესრულებული სწავლებაში ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა: მიმდინარე წელს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლებაში უნდა იყოს ჩაბმული 20.629 მოსწავლე, ფაქტიურად სწავლობს 20.949, ე. ი. კონტინგენტის გეგმა 101,5%-ით არის შესრულებული.

მაგრამ, ამასთან, ზემოხსენებული უმნიშვნელოვანესი სასკოლო საქმიანობის განხორციელებაში გარდაბნის რაიონში შეინიშნება მთელი რიგი ჩრდილოვანი მხარეებიც.

ზოგი სკოლა გულისხმიერად არ ეკიდება სტატისტიკური ანგარიშების შეკრებას; ასე მაგალითად, არასწორად, შეცდომით ჰქონდა შევსებული ფორმა ოშ-1 ახალი სამგორის საშუალო სკოლას. მასში ზუსტად არ იყო ნაჩვენები 1973—1974 სასწავლო წელს სკოლიდან მოსწავლეთა გადასვლის მაჩვენებლები: ამ ფორმის მიხედვით, I—III კლასებიდან გასული იყო 1 მოსწავლე, ფაქტიურად კი—3; IV—VIII კლასებიდან აღრიცხული იყო 2 მოსწავლის გასვლა, ფაქტიურად კი გავიდა—6.

არასწორად იყო შევსებული იგივე, ოშ-1 ფორმა სართიჭალის მეორე საშუალო სკოლაშიც: I—III კლასებიდან გასული 3 მოსწავლის ნაცვლად ნაჩვენებია ერთი, IV—VIII კლასებიდან გასული 7 მოსწავლის ნაცვლად კი—8. ამავე სკოლაში არასწორად იყო აგრეთვე ნაჩვენები საგაზაფხულო გამოცდების შედეგები და მოსწავლეთა ასაკობრივი მდგომარეობა.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელების საქმეში. მოგვაქვს მხოლოდ ზოგი მონაცემი:

| №№ რიგ. | სკოლის დასახელება | 1966—67 სასწ. წლის 1-ელ კლ. ჩარიცხა | 1973-1974 სასწ. წლის დაამთავრა 8 კლასი | 8 კლას-დამთავრე-ბულთა % | სად არის დანარჩენი კონტინგენტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალი სამგორის საშ. სკოლა | 47 | 30 | 63,9 | 6 მოსწავლე ამჟამად VIII კლასშია, 2—VII-ში, სხვა სკოლებში გადავიდა—6, პროფტექნიკურ სასწავლებელში—2, გავიდა სკოლიდან ავადმყოფობის გამო—1. |
| 2 | ვარკეთილის საშუალო სკოლა | 35 | 24 | 68,5 | VIII კლასში სწავლობს—2, სხვა დღის სკოლაში გადავიდა —7, ცნობები არაა 2-ზე |
| 3 | მარტყოფის საშუალო სკოლა | 107 | 81 | 75,6 | VIII კლასში სწავლობს—20, VII-ში —3, VI-ში—1, 2-ზე ცნობები არ არის |
| 4 | თელეთის საშუალო სკოლა | 22 | 17 | 77,3 | სწავლობს VIII კლ.—1, VII-ში—1, სხვა სკოლებში—3. |

პირველ კლასში 1967—1968 სასწავლო წელს მიღებული კონტინგენტიდან ამჟამად VIII კლასში სწავლობს:

1. ახალი სამგორის საშ. სკოლაში—70,4%;
2. მარტყოფის საშ. სკოლაში—84%;
3. თელეთის საშ. სკოლაში—85%;
4. ვარკეთილის საშ. სკოლაში—85,3%;
5. სართიჭალის მეორე საშ. სკოლაში—87,5% და ა. შ.

გარდაბნის რაიონის ზოგი სკოლიდან ადგილი აქვს რვაკლასდაუმთავრებელ მოსწავლეთა გადასვლას საღამოს სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში რაისაბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების გარეშე; ასე მაგალითად, ახალი სამგორის საშ. სკოლის VII კლასიდან პროფტექნიკურ სასწავლებელში გადავიდა 2 მოსწავლე, მარტყოფის საშუალო სკოლის V კლასიდან პროფტექნიკურ სასწავლებელში გადავიდა 1 მოსწავლე, VI—VII კლასებიდან კი—საღამოს სკოლებში—3 მოსწავლე; მარტყოფის რვაწლიანი სკოლის VII კლასიდან 1 მოსწავლე გადავიდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, 2 კი—საღამოს სკოლაში და სხვ.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი რვაკლასდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის საქმეშიც. აქ ასეთი სურათი გვაქვს: რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რვა კლასი გასულ, 1974 წელს დაამთავრა 1751-მა მოსწავლემ. მათგან IX კლასში აგრძელებს სწავლას—1289, ანუ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 73,5%; სხვადასხვა სპეციალურ საშუალო სასწავლებელში სწავლობს —57, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში—339, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 33 (მათ შორის საბჭოთა მეურნეობაში—21), სხვადასხვა დანიშნულების კურსებზე სწავლობს—20 მოსწავლე, არსად არ მუშაობს და არც სწავლობს—10, სამი კურსდამთავრებულის მდგომარეობა კი საერთოდ გაურკვეველია.

როგორც აქედან ჩანს, 66 რვაკლასდამთავრებული საშუალო განათლებას არ იღებს არც ზოგადსაგანმანათლებლო და არც სხვა რომელიმე სახის სპეციალურ საშუალო სასწავლებელში,

ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი სურათია ზოგ სკოლაში; ასე, მაგალითად, 1974 წელს თელეთის საშ. სკოლის 8 კლასი დაამთავრა 47-მა მოსწავლემ, მათგან IX კლასში აგრძელებს სწავლას—31, ანუ

62,5%. სხვადასხვა სახის საშ. სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს —6, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—7, საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს 1, ორი მოსწავლის მდგომარეობა კი საერთოდ გაურკვეველია.

საინტერესოა იმ ახალგაზრდობის საკითხი, რომელთაც დაამთავრეს რაიონის საშუალო სკოლები. გასულ წელს მეათე კლასი დაამთავრა 1121-მა ქალიშვილმა და ვაჟმა. მათგან უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყო 122 კურსდამთავრებული, საშ. სპეციალურ სასწავლებლებში —110, პროფტექნიკურ სასწავლებლებში—167, სხვადასხვა დანიშნულების კურსებზე—81, სახალხო მეურნეობაშია დასაქმებული—198, სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებშია 204, არ მუშაობს და არც სწავლობს—94 კურსდამთავრებული; 101-ის მდგომარეობა საერთოდ გაურკვეველია.

ახალგაზრდობის მიერ მომავალი ცხოვრების გზის არჩევაზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, ბუნებრივია, მაშინვე მათი პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის ანალიზი დგება დღის წესრიგში.

როგორ მუშაობენ ამ მხრივ შესწავლილი სკოლები? ამ კითხვაზე საინტერესო პასუხს იძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გასულ წელს გამოცემული ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „ახალი სასოფლო რაიონის სოციალური პრობლემები (სამგორის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლა)“. მეცნიერ-სოციოლოგები ამ თვალსაზრისით გარდაბნის რაიონის ორ სოფელს— ახალ სამგორსა და გამარჯვებას იღებენ საკვლევ ობიექტად, მათი დასკვნით, ამ სკოლების მოსწავლეებმა არ იციან, რომელი საგანი უყვართ და რატომ, კონკრეტულად ვერ აყალიბებენ თავიანთ აზრებს, სწორი წარმოდგენა არა აქვთ არსებულ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე, სრულყოფილად არ ესმით საშუალო განათლების სოციალური როლი და სხვ.

ამ რაიონების სკოლების პედაგოგიური კოლექტივები უფრო უნდა დაინტერესდნენ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საკითხებით, ეს მათი პირველხარისხოვანი ამოცანაა — თვალყური ადევნონ ამ საგანზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურას, მასში განვითარებულ შეხედულებებს, რეკომენდაციებს და, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, წარმართონ ეს საქმიანობა.

## ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის შესწავლის შედეგების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, მიმდინარე სასწავლო წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელია: იგი მეცხრე ხუთწლედის ორი უკანასკნელი წლის—გარკვეულ ვადებს მოიცავს. ამჟამად, როცა სახალხო განათლების დარგში ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის—სწავლებისა და აღზრდის დონის შემდგომი ამაღლების ამოცანის შესრულების მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივად ისახება კითხვები: რა ამოცანები უნდა შეგვესრულებინა, რა შევასრულეთ, რა გვრჩება შეუსრულებელი და, მაშასადამე, რა უნდა გავაკეთოთ განსახორციელებლად მომავალში.

ბუნებრივია, ამ ჭრილში გვინდა განვიხილოთ გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებიც.

### დაწყებითი კლასების მუშაობა

გარდაბნის რაიონის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა იცის სათანადო საგნები, მათი სწავლების მეთოდები, ხერხები და გარკვეულ წარმატებასაც აღწევს მუშაობაში.

დამაკმაყოფილებლად ფლობს კლასკომპლექტებთან მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს ლასფურის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ვ. ბუდაღოვა (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი). იგი რაციონალურად ანაწილებს დროს გაკვეთილზე, მთელი დატვირთვით მუშაობს ორივე კლასთან. ვიდრე მასწავლებელი 1-ლი კლასის მოსწავლეებთან ლექსის გამომეტყველებით კითხვაზე ვარჯიშობს, II კლასის მოსწავლეები დაფაზე დამოუკიდებლად ხსნიან საშინაო დავალებად მიცემულ მაგალითებს და აზუსტებენ პასუხებს.

მასწავლებელმა 1-ელ კლასში ქართული ენის გაკვეთილზე მოხერხებულად და შინაარსიანად წარმართა საუბარი აღმზრდელობით საკითხებზე. მოსწავლეთა პასუხებიც მოფიქრებული და ლოგიკური იყო. II კლასში სრულყოფილად ახსნა ახალი მასალა „წილადები". ახსნის პროცესში მთელი კლასი აქტიურად ჩააბა მუშაობაში, რის შედეგადაც დასკვნები თვით მოსწავლეებმა გამოიტანეს. II კლასს კარგად აქვს გამომუშავებული გაზომვის პრაქტიკული ჩვევები, გაკვეთილის პროცესში გაზომეს და გამოიანგარიშეს რვეულის

და საკლასო ჟურნალის პერიმეტრი. კლასმა პროგრამული მასალის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინა.

მეთოდური დახელოვნება აკლია მარტყოფის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს მ. გაიხარაშვილს (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. ამჟამად სწავლობს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე). იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამოცანის ანალიზსა და მისი ამოხსნის დასაბუთებას. არ ავარჯიშებს მოსწავლეებს გეომეტრიულ მასალაზე. მან სამი მარტივი განტოლების ამოხსნას 30 წუთი მოანდომა. ამასთან, განტოლების ამოხსნისას მოსწავლეები ვერ ასახელებენ უცნობი კომპონენტის გამოანგარიშების წესს, მათ არც მრავალნიშნა რიცხვების გაყოფა იციან ერთნიშნაზე. საერთოდ, დაბალია კლასის მომზადების დონე, რაც ჩვენ მიერ ჩატარებულმა საკონტროლო წერამაც დაადასტურა. III კლასში 30 მოსწავლიდან ნიშანი „2" დაიმსახურა 22-მა.

ერთფეროვანი გაკვეთილი ჩაატარა II კლასში ქვემო თელეთის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ჟ. დორეულმა (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი). იგი სრულებით ვერ ითვალისწინებს მათემატიკის სახელმძღვანელოს აგების ახალ პრინციპებს; ამის შედეგია ის, რომ ძველი გაკვეთილი მხოლოდ მთელიდან ნაწილის პოვნაზე ვარჯიშში დაუთმო.

სართიჭალის საშ. სკოლის 1-ლი კლასის მასწავლებელი ც. [illegible]ოსავა (სწავლობს ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე) შეეცადა წარმოედგინა მრავალფეროვანი გაკვეთილი, მან ავარჯიშა მოსწავლეები ამოცანების შედგენასა და ამოხსნაზე, რიცხვების ათობით შედგენილობაზე, გეომეტრიულ მასალაზე, განტოლებების ამოხსნაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის ცოდნის დაბალი დონე გამოავლინეს; მათ არ იციან კუთხეების გამოცნობა, უტოლობათა ნიშნები, უცნობი კომპონენტის პოვნის წესი და სხვა.

ახალი პროგრამის შინაარსში ვერ ერკვევა მარტყოფის საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ნ. შპეტიაშვილი (დამთავრებული აქვს პედსასწავლებელი). იგი ნაკლებად მუშაობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისათვის, ხშირად ერევა მოსწავლეთა პასუხებში, არ აძლევს მათ მოფიქრების საშუალებას.

მოსწავლეთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად ერკვევა განტოლების შედგენის ამოცანების ამოხსნაში. მასწავლებელი მხოლოდ დაფასთან გამოძახებულ მოსწავლესთან მუშაობს, სხვა მოსწავლეები კი ამ დროს უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული. გაკვეთილზე იგი მარტივი მაგალითების ამოხსნით შემოიფარგლა, არ ჩაუტარებია ზეპირი ანგარიში, გეომეტრიულ მასალაზე ვარჯიში.

მარტყოფის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა მ. მაჭავარიანმა (დამთავრებული აქვს პუშკინის სახ. ინსტიტუტი, დაწყებითი ფაკულტეტი) ახალი მასალის ახსნისას (კ. დევდარიანის „დედა") ჯერ მოთხრობის შინაარსი უამბო კლასს, შემდეგ ტექსტი წაუკითხა და ტექსტზე მუშაობა ამით დაამთავრა, არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა სალექსიკონო მუშაობა, არ აუხსნია ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა „მყოფთა", „ხანგამოშვებით", „რიტმულად", „მუდარით", „დედის არსებაში" და სხვ. ამგვარად, „დამუშავებული" ტექსტის ირგვლივ მასწავლებელი სვამს რამდენიმე კითხვას, რომლის პასუხსაც ზეპირად თხოვს კლასს. გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშის დროს III კლასის მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს; არ იციან წინადადებების მთავარი წევრების გამოცნობა, ვერ ასახელებენ მეტყველების ნაწილებს. თვით მასწავლებელს ერევა ერთმანეთში მეტყველების ნაწილები და წინადადების წევრები.

ამავე სკოლის მასწავლებელი ნ. როსტომაშვილი (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი, სტაჟი 33 წელი) ვერ ითვალისწინებს მოსამზადებელი კლასის თავისებურებებს და, 35 წუთის ნაცვლად 45-წუთიან გაკვეთილებს ატარებს. ამასთან, მასწავლებელმა 30 წუთის განმავლობაში მოსწავლეები ერთფეროვნად და მოსაწყენად მხოლოდ ტექსტის მექანიკური კითხვით დაასაქმა, რამაც ისინი მოადუნა. იგი არც დიდაქტიკურ თამაშობებს იყენებს გაკვეთილზე. ამის შედეგია ის, რომ მოსწავლეები ვერ ასხვავებენ ასოს ბგერისაგან, ასოს მარცვლისაგან, უჭირთ სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის გამოცნობაც.

ნაკლოვანებებით ხასიათდება ქვემო თელეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელ ნ. ზუკაკიშვილის (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტი, დაწყებითი განათლების ფაკულტეტი) მუშაობა. იგი I—III კლასს ასწავლის, დახელოვნების კურსები მას 24 წლის წინ აქვს გავლილი, ამიტომაც არის, რომ არ იცნობს ახალი პროგრამის შინაარსს. მასწავლებელი ნ. ზუკაკიშვილი ნაკლებ ყურად-

ღებას აქცევს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მსჯელობის უნარის განვითარებას, არ მოითხოვს მათგან დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემას. თვით მასწავლებელი ვერ ერკვევა ნაწარმოების დედააზრში, არ იყენებს ტექსტს აღმზრდელობითი საუბრისათვის, არასწორად ანაწილებს დროს გაკვეთილზე. I-ელ კლასში აუხსნელი და გაუცნობიერებელი მასალა მისცა კლასს დასასწავლად, III კლასში კი ჯერ ახალი მასალის შინაარსი უამბო, შემდეგ რამდენიმე კითხვა დასვა და ამით დაამთავრა მასალის „ახსნა“. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებელ მ. ჯერენაშვილის მუშაობაც (დამთავრებული აქვს პედსასწავლებელი).

შეწავლილი სკოლების დაწყებით კლასებში თითქმის ყველგან უგულვებელყოფილია მოსწავლეთა შეფასება. მოსმენილ გაკვეთილებზე არცერთი მოსწავლე არ შეფასებულა. სართიჭალის საშუალო სკოლის 1-ელ კლასში კი (მასწ. ც. იოსავა) სამი მეოთხედის მანძილზე ჟურნალში მიმდინარე შეფასება არც ერთ მოსწავლეს არ აქვს შეტანილი. ყოველივე ეს სკოლის დირექციისათვის შემოწმების დღემდე არ ყოფილა ცნობილი.

საკლასო და საკონტროლო წერის რვეულების შემოწმებამ ცხადყო, რომ ძალზე დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დაწყებით კლასებში არა აქვთ საჭირო დახაზულობის დაფები. გარდა ამისა, მოსწავლეთა ნამუშევრები უყურადღებოდ არის გასწორებული. თითქმის არ ტარდება დაშვებულ შეცდომებზე ვარჯიში,

მასწავლებელ ნ. ზუკაკიშვილს მოსწავლე ს. დ.-ს ნაწერში 12 არსებითი ხასიათის შეცდომა ვერ შეუნიშნავს, ხოლო მოსწავლე ს. ლ.-ს ნამუშევარი, სადაც გაპარულია შეცდომები, მასწავლებელს „5“-ზე აქვს შეფასებული (მოგვაქვს უცვლელად): „ქუმ დაიყურყუმელავა და მერიელი წყალს მისცა და მიაძახა: ძმაო არც მე მინდა, მაგრამ ჩვენი გვარი თუ გესლიან ხორცს არ გაიბანო გასივდება და მოკვდებაო“.

სართიჭალის 1-ლი სკოლის მასწავლებელი ვ. დვალიშვილი არაობიექტურად აფასებს მოსწავლეებს. მას საკონტროლო წერის რვეულებში მოსწავლეებისათვის მაღალი, დაუმსახურებელი ნიშნები აქვს დაწერილი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მეთოდკაბინეტი. იგი არავითარ მეთოდურ დახმარებას არ უწევს დაწყებითი კლასების მასწავ-

ლებლებს. მეთოდკაბინეტს არა ჰყავს დაწყებითი კლასების სპეციალისტი, არც არავის აქვს მინდობილი ეს საქმე.

სამუშაო გეგმა ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი, მაგრამ მასში შეტანილია თითო-ოროლა ზოგადი საკითხი. ასე მაგალითად: „წერა-კითხვის სწავლება მოსამზადებელ და I კლასში“, „გრამატიკის ელემენტარული საკითხების სწავლება დაწყებით კლასებში“ და სხვა. თემების უმრავლესობა არ არის დამუშავებული. იანვრის, თებერვლის და მარტის თვეში არცერთი სხდომა არ ჩაუტარებიათ. მეთოდკაბინეტში დაწყებითი კლასების პროგრამაც არ გააჩნიათ.

## ქართული ენა და ლიტერატურა

გარდაბნის რაიონის შესწავლილ ზოგსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული დადებითი მუშაობა ტარდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ასამაღლებლად. ამ მხრივ გამოირჩევა მასწავლებელთა ერთი ნაწილის საქმიანობა.

მარტყოფის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ა. მესხის (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტი) გაკვეთილებზე დასწრებამ დაადასტურა, რომ იგი საჭირო ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებას. მოსწავლეებმა ზეპირად იცოდნენ ა. წერეთლის „გამზრდელის“ მრავალი სტროფი და გააანალიზეს პოემა. ცნობილია, რომ ნაწარმოების გეგმის მოსაზრებულად შედგენისას მოსწავლეები კარგად ერკვევიან მისი თითოეული ნაწილის ურთიერთკავშირში. ტექსტზე მუშაობის ეს სახე უვითარებს ლოგიკური აზროვნების უნარს. მასწავლებელმა საუბრის მეთოდის გამოყენებით მეცხრეკლასელ მოსწავლეებს შეადგენინა „გამზრდელის“ გეგმა: 1. „ფაცხა მთის მწვერვალზე. 2. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. 3. ძიძიშვილი სტუმრად ბათუსთან. 4. საფარ-ბეგის სტუმრობის მიზანი. 5. საფარ-ბეგის გულმრუდობა. 6. ბათუს სულგრძელობა. 6. ჰაჯი-უსუბის მოქმედება. მოსწავლეებმა გაკვეთილზე გააანალიზეს რამდენიმე სტროფი, რომლებიც აფორიზმებს წარმოადგენენ. გაკვეთილი საინტერესო იმის გამოც იყო, რომ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი სვამდა კითხვებს, რომლებსაც პასუხობდა მეორე ჯგუფი და პირიქითაც. ნაწარმოების ამა თუ იმ ადგილის ანალიზის მეოხებით ერთმა მოსწავლემ

კლას მოახსენა დასკვნა, ხოლო მისი დამადასტურებელი სტრიქონები წაიკითხეს ამხანაგებმა

მოსწავლეებმა სწორად დაახასიათეს პოემის ორი მოქმედი პირი: ბათუ და საფარ-ბეგი. კოლექტიური მსჯელობის მეოხებით მათ შესახებ დასკვნები ასე დაიხვეწა: პოეტმა ბათუს სახით დახატა პატიოსანი, გონიერი ღარიბი გლეხის ტიპი და გვიჩვენა, რომ ქართველი ხალხის საუკეთესო ტრადიციების თავდადებით დამცველნი, მაღალი მორალური თვისებების მატარებლები ძირითადად მშრომელებია. ბათუს დახატვით აკაკიმ შთაგვაგონა, რომ პატიოსან მშრომელებში ყველაფერი მშვენიერი იყო: ფიქრიც, საქმეც, ქცევაც.

სათანადო სტრიქონების გამოყენებით მოსწავლეებმა საფარ-ბეგი დაახასიათეს, როგორც ფუქსავატი, ვერაგი, ქართველი ხალხის ძვირფასი ჩვეულებების უარმყოფი, ყოველმხრივ ამორალური პიროვნება.

დროის გარკვეული მონაკვეთი დაეთმო ლიტერატურული ტერმინების (ეპითეტი, შედარება) დამადასტურებელი ადგილების განხილვას და პოემის ენობრივ ანალიზს. გაკვეთილებზე განმარტეს რამდენიმე ენობრივი მოვლენა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან შეპირისპირებით. პოემის ენაზე დაკვირვებამ და მისი ენობრივი თავისებურებების ახსნამ განაპირობა ტექსტის ღრმად გაგება, რაც ნაწარმოების შეგნებულად აღქმის ერთ-ერთი ძირითადი და მტკიცე საწინდარი იყო.

ა. მესხის გაკვეთილებზე დასწრებამ და მის მიერ წინათ ჩატარებული გაკვეთილების გეგმების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მას „გამზრდელის" სწავლებისას გამოუყენებია სხვადასხვა მეთოდი და ხერხი, მუშაობის საინტერესო ფორმები: 1. ლექცია. 2. საუბარი. 3. გეგმის შედგენა. 4. ნაწარმოების მთლიანად თუ მისი რომელიმე თავის ვრცელი თუ მოკლე შინაარსის დაწერა. 5. ციტატების ამოწერა და ა. შ.

აი, მაგალითად, შესავალი საუბრის ჩატარების გეგმა: 1. „გამზრდელის" დაწერისა და დაბეჭდვის ისტორია. 2. აღზრდისა და განათლების საკითხებზე მოწინავე ქართველი მოღვაწეების შეხედულება XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. 3. აკაკი საუკეთესო ხალხურ ზნე-ჩვეულებათა დაცვის აუცილებლობის შესახებ, 4. დასკვნა.

ამ გეგმის შესაბამისად, შესავალი საუბრის ჩატარებით პედაგოგმა მოამზადა სათანადო პირობები, რომ მოსწავლეებს შეგნებულად შეეთვისებინათ ა. წერეთლის პოემა.

საინტერესო მასალის და აქტიური მეთოდებისა და ხერხების, მუშაობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით „გამზრდელის“ სწავლება გახდა ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ერთ [illegible] საიმედო საშუალება. პოემის შევნებულად შესწავლის საფუძველზე პედაგოგმა მოსწავლეებს შეუქმნა უარყოფითი აზრი ძველ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაზე, რომლის ერთ-ერთი მანკიერება ისიც იყო, რომ ადამიანებს სულიერად ამახინჯებდა.

მოსწავლეები დარწმუნდნენ, რომ ა. წერეთელმა დიდაქტიკური თემა მოხერხებულად გამოიყენა უსამართლო წყობილების მიერ გამეფებული ბოროტების და მისი მოსპობის აუცილებლობის სიმბოლურად გამოსახატავად.

ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლის მეოხებით მოსწავლეებმა გაკვეთილზე გააკეთეს დასკვნები: 1. აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამშობლოს ნათელი მომავლისათვის. 2. დიდია აღმზრდელის როლი. 3. ზნეობრივი სისპეტაკე, მორალური სიწმინდე ძირითადად დამახასიათებელია მშრომელი ხალხისათვის. 4. საფარ-ბეგი, რომელიც გაბატონებული კლასის ტიპობრივი წარმომადგენელია, ამორალური ადამიანია, ხალხის საუკეთესო ტრადიციების დამგმობია. 5. „გამზრდელში“ აკაკი სიმბოლურად მოითხოვს, რომ მოისპოს უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, ყოველგვარი ბოროტების წყარო.

საგნისა და მისი სწავლების მეთოდიკის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა თელეთის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თინა ჩიქოვანმა. VI$_a$ კლასის მოსწავლეებს წინა მასალად ჰქონდათ „სათავისო ქცევა“. საშინაო დავალებათა რვეულების შემოწმებამ ცხადყო შინ მოსწავლეთა მუყაითი და აკურატული მუშაობა. შესწავლილი წესის მტკიცედ დამახსოვრების მიზნით მასწავლებელმა მოსწავლეები ავარჯიშა გარეგნულად ერთნაირ ფორმებზე, რათა მათ გაერკვიათ, თუ რომელია მათ შორის სათავისო ქცევის ფორმა და რომელი არა: გიორგიმ ამხანაგის მისამართი უბის წიგნაკში ჩაიწერა, „ვეფხისტყაოსანი“ მე-12 საუკუნეში დაიწერა. ყურადღება გაამახვილეს ზმნისწინებზედაც. ეს იმის გამო, რომ სათავისო ქცევის ფორმას ზმნისწინი თუ დაერთვის და სუბიექტად II ან III პირია, ხოლო ობიექტად III, თავს მოიყრის ორი ი, მიითვისე, მიიბარა და ა. შ.

მასწავლებელმა თ. ჩიქოვანმა მოსწავლეებს გაკვეთილზევე შეასწავლა ახალი მასალა – „სასხვისო ქცევა“.

იგი სწორად მოიქცა მაშინაც, როცა მოსწავლეებს გასამეორებლად მისცა მოქმედებითი გვარიც, პირდაპირი და [illegible] ექტიც. ეს იმიტომ, რომ მათი ცოდნა მტკიცე საწინდარია სასხვისო ქცევის შეგნებულად შესასწავლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგი საილუსტრაციო სტრიქონებს მოსწავლეებს ძირითადად არჩევინებს ქართულ ლიტერატურაში შესწავლილი მხატვრული ნაწარმოებებიდან.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ლილი ყიფშიძე, მარიამ ლაგრაძე (ახალი სამგორის საშ. სკოლა), აგრაფინა მესხი, მარიამ კახურაშვილი, თ. გუგუნაშვილი (მარტყოფის საშუალო სკოლა), სალომე ყველაშვილი, გიული სახლთხუციშვილი, გულნაზ ჯანიაშვილი (მარტყოფის რვაწლიანი სკოლა) და სხვ.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამ მასწავლებელთა მუშაობაში შეინიშნება ჩრდილოვანი მხარეებიც: ისინი სისტემატურად არ ასწორებენ საშინაო და საკლასო წერითი დავალებების რვეულებს, სასკოლო ლექციის ჩატარებისას იშვიათად აბამენ მოსწავლეებს მუშაობაში, ვერ აღწევენ მოსწავლეებში შემეცნებითი უნარის განვითარებას, ეპიზოდურად მუშაობენ ლიტერატურის თეორიის საპროგრამო საკითხებზე და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, ნაკლოვანებანი, რომლებიც მეტნაკლებად შეინიშნება ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა მასწავლებლის მუშაობაში, ასე გვესახება:

1. ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას მასწავლებლები არ სვამენ ლაკონიურ კითხვებს. ისინი მოსწავლეებს მიმართავენ ერთი კითხვის რამდენიმე ვარიანტით, რაც მომაბეზრებელიცაა და დროის ბიუჯეტის გაუმართლებელი ხარჯვაცაა.

2. შესწავლილი გრამატიკული წესების ცოდნის განსამტკიცებლად მასწავლებლები გეგმაზომიერად არ იყენებენ მხატვრული ნაწარმოების ტექსტებს.

3. ჯერჯერობით სათანადო დონეზე არ დგას მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. მათი უმრავლესობის ნამუშევრები შეფასებულია „სამზე“ და „ორზე“. ზოგჯერ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში განხილულია ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც არ ეხება მოცემულ თემას (მარტყოფის საშ. სკოლა). ზოგი „ოთხოსანი“ მოსწავლის წერით ნამუშევარში დაშვებულია 5—6 შეცდომა, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც მასწავლებელს შეუნიშნავად დაუტოვებია (მარტყოფის რვაწლიანი სკოლა).

4. ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების დამუშავებისას არ იყენებენ მოსწავლეთა მიერ სსრ კავშირის ისტორიაში შესწავლილ თემებს.

5. მასწავლებლები არასაკმაო ყურადღებას უთმობენ XIX საუკუნის კლასიკოსთა ნაწარმოებების ენობრივ თავისებურებებს, რომელთა განხილვა აუცილებელია მათი შემოქმედების სრულყოფილად და შეგნებულად შესასწავლად (სართიჭალის მეორე საშ. სკოლა).

6. ეპიზოდურ ხასიათს ატარებს სალექსიკონო მუშაობა. ამის გამო აშკარად შეიმჩნევა ლექსიკური სიღარიბე მოსწავლეთა როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში.

7. მოსწავლეთა გააქტიურების მიზნით თითქმის არ ეძლევათ დიფერენცირებული დავალებანი.

8. მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების მიზნით სკოლებში არასაკმაო მუშაობა ტარდება: ეპიზოდურად ტარდება ღია გაკვეთილები, იშვიათად ხდება გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და ა. შ.

9. მოსწავლეთა ლიტერატურული განათლების დონის ასამაღლებლად საჭირო ყურადღება არ ექცევა სკოლების ბიბლიოთეკების მუშაობის გაძლიერებას, ლიტერატურული საღამოების, დისპუტებისა და სხვ. ჩატარებას.

10. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლებში ერთიანი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად: მოსწავლეთა მეტყველებაში ვხვდებით დიალექტიზმებს, არასწორად აგებულ წინადადებებს, სხვადასხვა შინაარსის წინადადებების არასწორად წარმოთქმის შემთხვევებს... სასკოლო კედლის გაზეთებში, ბიულეტენებში, სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტებში ვხვდებით ენობრივ შეცდომებს და სხვ.

11. რაიონის შესწავლილ სკოლებში განხილული არ არის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 2 ივლისის ბრძანება № 517.

ეს მდგომარეობა ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კონტროლისა და შესრულების შემოწმების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

აღნიშნული საგნების სწავლებაში გამოვლენილ და სხვა მსგავს ნაკლოვანებებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც სახალხო განათლების განყოფილებამ და მისმა მეთოდურმა კაბინეტმა, ასევე სკოლების ხელმძღვანელებმა, პირველ რიგში. თვით ამ საგნის მასწავლებლებმა.

## რუსული ენა და ლიტერატურა

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ასამაღლებლად. ჩვენ მიერ შესწავლილ ზოგ სკოლაში ამ საგანს კვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან; ასე, მაგალითად, ლ. გაბელაია და ჩირკინოვა (თელეთის საშ. სკოლა), ბანეთიშვილი, ბასილაშვილი, ლელინი (მარტყოფის საშ. სკოლა) და სხვ.

მიუხედავად ამისა, ეს საგანი რაიონში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება. საქმე ის არის, რომ შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა არასაკმაოდ ფლობს რუსულ ენას. ბევრ მასწავლებელს, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, არა აქვს შესაფერისი ცენზი.

ახალი სამგორის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. დრიაევა (დაუსწრებლად სწავლობს ქ. ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის V კურსზე) ცუდად ფლობს რუსულ ენას, წინადადებების წარმოთქმისა და სიტყვებზე მახვილების დასმისას უშვებს ბევრ შეცდომას; ასე მაგალითად: მის განცხადებაში, რომელიც პირად საქმეშია შენახული, ვკითხულობთ: „окончила нольный курс 1966 году". გაკვეთილზე მოსწავლეებს აძლევს ასეთ კითხვებს: Из письма Ванка жукова ты можешь привести пример? Как летала меа?

$IV_ბ$ და $VI_გ$ კლასებში აღნიშნულმა მასწავლებელმა გაურკვევლად ჩაატარა გაკვეთილი. ვერ განახორციელა კავშირი კითხვასა და გრამატიკულ მასალას შორის, არ ჩაუტარებია ხუთწუთიანი საუბარი, მეტისმეტად დიდი დრო დაუთმო გამოკითხვას და არადამაკმაყოფილებლად ახსნა ახალი მასალა. მიუხედავად იმისა, რომ მასალა ამის საშუალებას იძლეოდა, გაკვეთილზე ყურადღება არ მიექცა აღმზრდელობითი ხასიათის მომენტებს.

მასწავლებელი ვ. დრიაევა არადამაკმაყოფილებლად ემზადება გაკვეთილის თვის, არ ასწორებს საშინაო დავალებათა და საკლასო

სამუშაოთა რვეულებს; მოსწავლეებს არა აქვთ სალექსიკონო რვეულები. საკონტროლო წერის რვეულები სავსეა შეცდომებით. მასწავლებელი არ ასრულებს განათლების სამინისტროს მითითებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის რაოდენობის, სახეებისა და შეფასების ნორმების შესახებ.

ცუდად ფლობს რუსულ ენას აგრეთვე მასწავლებელი ა. ცანდეკოვა (ზოგადი საშუალო განათლებით). მეტყველებისას უშვებს მრავალ შეცდომას. გაკვეთილის გეგმაში, მაგალითად, წერს ასეთ კითხვებს: I. Чья имя в наших сердцах? „Чья знаня наших руках“?

IIIა კლასში მასწავლებელი არ იყო მზად გაკვეთილისათვის, გაკვეთილის გეგმა ფორმალურად ჰქონდა შედგენილი. მეტისმეტად დიდი დრო დაუთმო მასწავლებელმა ინდივიდუალურ გამოკითხვას, მოსწავლეებისათვის დასმული ყველა შეფასების ნიშანი არ გამოუცხადებია და არ გაუკეთებია შესაფერისი კომენტარი.

უფერულად ჩატარდა სალექსიკონო მუშაობა, გაკვეთილზე ყურადღება არ მიექცა აღმზრდელობითი მომენტს.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საშინაო დავალებათა და საკლასო სამუშაოთა რვეულები, მოსწავლეებს არა აქვთ სალექსიკონო რვეულები.

უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხი სკოლაში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ განხილული იყო გასული წლის 28 ხოემბერს პროფკავშირულ კრებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ მასწავლებლები არ ასწორებენ საშინაო დავალებათა და საკლასო სამუშაოთა ნაწერებს და მიკითებული იყო საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების დაუშვებლობაზე. ამასთან, კრებაზე ყურადღება მიექცა აგრეთვე მოსწავლეთა ნაწერების გასწორების ხარისხსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შენიშვნები ყურად არ იღეს ამ საგნის მასწავლებლებმა.

სკოლაში არ ხორციელდება საკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი რუსული ენის სწავლებაზე: სკოლის დირექტორი დახელოვნების კურსებზე იყო წასული და ამის გამოც რუსული ენის არცერთი გაკვეთილი არ აღმოაჩნდა მოსმენილი, სასწავლო-აღმზრდელობითი დარგში დირექტორის მოადგილეს კი მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ სამი გაკვეთილი, რომელთა ანალიზი რვეულებიდან ამოგლეჯილ ფურცლებზე დაეწერა.

კონტროლის უქონლობა იგრძნობა საკლასო ჟურნალების წარმოებაშიც; მასწავლებლები მათში არ წერენ საშინაო დავალებას, ყოველთვის არ შეაქვთ საკონტროლო წერის შეფასებების ნიშნები; ასე

მაგალითად, IX კლასის ჟურნალში რუსულ ენაში საკონტროლო წერის ნიშნები შეტანილი არ არის სასწავლო წლის დასაწყისიდან შემოწმების დღემდე, ე. ი. 5 მარტამდე. არის მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევები (მაგალითად Vა კლასში).

რუსული ენის სწავლება დაბალ დონეზეა აგრეთვე მარტყოფის რვაწლიან სკოლაშიც. მასწავლებლები მ. მღვდელაძე, ბ. ცინდელიანი და ე. ანჯაფარაშვილი საჭირო ყურადღებას არ უთმობენ სალექსიკონო მუშაობას, საკლასო და საშინაო დავალებათა რვეულებს: Vა კლასის 14 მოსწავლიდან სალექსიკონო მუშაობის რვეული ჰქონდა მხოლოდ 4-ს, მაგრამ ისინიც არცერთხელ არ იყო შემოწმებული.

მასწავლებლები არ აკეთებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ ტიპობრივ შეცდომათა ანალიზს, არ ამოწმებენ, როგორ ასწორებენ მოსწავლეები საკონტროლო წერით სამუშაოებში დაშვებულ შეცდომებს.

უპასუხისმგებლოდ ეკიდება შეფასებას მასწავლებელი მ. მღვდელაძე: ასე მაგალითად, IVა კლასის მოსწავლე რ. გ.-ს რვეულში ყველა სამუშაოში „2" უწერია, ჟურნალში კი „3"-ები. ასეთ მდგომარეობას აქვს სისტემატური ხასიათი. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საკონტროლო ნაწერებში „2"-ები წერია, ჟურნალებში კი— —„4"-ები.

Vბ და VIბ კლასების მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრებში მასწავლებელმა ბ. ცინდელიანმა შეუნიშნავად დატოვა ბევრი შეცდომა, რაც, თავისთავად, იწვევს ნიშნის ამაღლებას.

მასწავლებლები მ. მღვდელაძე და ბ. ცინდელიანი არასაკმაოდ ფლობენ რუსულ ენას, რის გამოც მეტყველებისას უშვებენ შეცდომებს; მაგალითად, Vბ კლასში გაკვეთილზე ბ. ცინდელიანმა მოსწავლეებს მისცა ასეთი კითხვები: **Сколько времени в году? „Каких деревьев вы знаете?"** ახალი მასალის ახსნისას ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე, თანაც შეცდომით წაუკითხა კლასს ფ. ტიუტჩევის ლექსი.

მასწავლებელი მ. მღვდელაძე არასაკმაოდ იყო მომზადებული გაკვეთილისათვის IVა კლასში, რის გამოც უფერულად, არამხატვრულად, გამომეტყველებითი კითხვის წესების დაცვის გარეშე, თანაც შეცდომებით წაიკითხა ახალი მასალის ტექსტი.

ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა შესახებ აღნიშნულ მასწავლებლებს მიეთითათ სკოლის პედსაბჭოს 1973 წლის დეკემბერში, მაგრამ შემდეგ ქმედითი, თანმიმდევრული კონტროლი არ განხორციელდა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება სართიჭალის მეორე საშუალო სკოლაში.

ამ საგნების მასწავლებლები ი. გეგელაშვილი, მ. სუარიძე და ნ. სელეზნიოვა საკმაოდ კვალიფიციურნი არიან და შეუძლიათ დამაკმაყოფილებლად ასწავლონ, მაგრამ ისინი საჭირო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებას, იჩენენ უპასუხისმგებლობას და ლიბერალიზმს. საკონტროლო ნამუშევრების გასწორებისას გეგელაშვილი და სუარიძე ნაწერებში შენაშვნის გარეშე ტოვებენ ბევრ შეცდომას, სელეზნიოვა კი 20 და მეტ შეცდომიან ნამუშევარს აფასებს „3“-ზე.

აღნიშნული მასწავლებლები შეცდომების გასწორებას ან საერთოდ არ აწარმოებენ, ან ფორმალურად ასრულებენ ამ მეტად მნიშვნელოვან მოვალეობას.

წერითი მუშაობისათვის გამოყენებული არ არის სათანადო მეთოდური მითითებანი რეკომენდებული ყველა სახე (განსაკუთრებით „Изложения и пересказы“).

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საკლასო ჟურნალები... სელეზნიოვას, მაგალითად, VIIა, VIIIა და VIIIბ კლასების ჟურნალებში ერთი საკონტროლო წერის ნიშანიც კი არა აქვს შეტანილი შემოწმების დღემდე. V კლასების ჟურნალებში არ არის აგრეთვე შეფასებანი რუსულ ენაში.

თქმა აღარ უნდა, რომ ასეთი ნაკლოვანებანი მხოლოდ მასწავლებელთა მუშაობისადმი სრული უკონტროლობით აიხსნება. რუსულ ენაში არც ერთი გაკვეთილი არ აღმოაჩნდათ მოსმენილი არც სკოლის დირექტორს გ. ციცქიშვილს და არც მის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ლ. კახიძეს.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ვარქეთილის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაც.

მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარებისათვის არასაკმაო მუშაობას ატარებს მასწავლებელი ნ. ბაკაშვილი; ასე მაგალითად, Xბ კლასის 19 მოსწავლიდან ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ დაწერა საკონტროლო კარნახი დამაკმაყოფილებლად, თუმცა მეოთხედური შეფასების ნიშნად არცერთ მათგანს „2“ არ უწერია. ამასთან, ასიც

აღსანიშნავია, რომ საკონტროლო წერის ტექსტი თვით მასწავლებლის მიერ იყო შერჩეული.

ამის შემდეგ გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ამ კლასში რუსულ ენაში ტარდება ფაკულტატიური მეცადინეობა, რომელსაც ყველა მოსწავლე ესწრება. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი თელეთის საშუალო სკოლის X კლასშიც.

რატომღაც ამ სკოლაში, ისევე როგორც სართიჭალის მეორე სკოლაშიც, ზოგჯერ არ იწერება საკონტროლო ნაწერების ნიშნები. ასე იქცევა, მაგალითად, მასწავლებელი ტ. ანფიმოვა, რომელსაც V კლასში ეს შეფასებანი არა აქვს შეტანილი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ სკოლებში არასაკმაოდ სარგებლობენ, ან საერთოდ არ სარგებლობენ თვალსაჩინოებით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით; არაა რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები.

ამ საგნების მეთოდგაერთიანებანი ვერ ასრულებენ მათ ძირითად მიზანს—განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება და ხელი შეუწყონ მასწავლებელთა თვითგანათლებას.

გარდაბნის რაიონში, როგორც გამოირკვა, არასაკმაო მუშაობა ტარდება სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ცნობილი დადგენილებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ასეთი მდგომარეობიდან რაიონის განათლების განყოფილებამ, მისმა მეთოდურმა კაბინეტმა, სკოლების ხელმძღვანელებმა და აღნიშნული საგნების მასწავლებლებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ.

## უცხოური (ინგლისური, გერმანული) ენების სწავლება

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება უცხოური ენების სწავლების დონის ასამაღლებლად.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება (გერმანული) ენა წავკისის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. თავზარაშვილი). ამ საგნის მასწავლებელი ლ. მირიანაშვილი (დამთავრებული აქვს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთო-

დებსა და ხერხებს. მოწყობილი აქვს გერმანული ენის კაბინეტი. გაკვეთილს კაბინეტში ატარებს, ამასთან, ძირითადად გერმანულ ენაზე; იყენებს სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს. მოსწავლეთა თითქმის მთელ შემადგენლობას აბამს მუშაობაში. მოსწავლეებს ესმით მასწავლებლის საუბარი და მომზადების დამაკმაყოფილებელ დონეს ამჟღავნებენ როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში. ლ. მირიანაშვილი კარგად არჩევს წერითი მუშაობის სახეებს და მტკიცედ ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს „მითითებებით".

სკოლაში შექმნილია უცხოური ენის ორი წრე, რომელთაც ლ. მირიანაშვილი ხელმძღვანელობს. ზეპირმეტყველების წრე სისტემატურად მონაწილეობს სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, თარგმანის წრე კი — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა რესპუბლიკური სასახლის თეორიულ კონფერენციებში და მიღებული აქვს დიპლომები. სკოლაში არის მოსწავლეთა მიერ შესრულებული საინტერესო ნამუშევრები და ალბომები გერმანულ ენაზე.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე კოჯრის საშუალო სკოლის (დირექტორი გრ. გრძელიძე) უცხოური (ინგლისური) ენის მასწავლებელი ნ. ისახანოვა (დამთავრებული აქვს უცხოურ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი). იგი ფლობს საგანს, იგი მისი სწავლების საშუალებებს, ცდილობს, ინგლისურ ენაზე ჩაატაროს გაკვეთილი. მუშაობს მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად, მაგრამ არ იყენებს სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს, კერძოდ, სამეტყველო სიტუაციებს, რის გამოც ვერ ახერხებს მოსწავლეთა უფრო აქტიურ ჩაბმას გაკვეთილის მსვლელობაში. ისინი ვერ ახერხებენ დაგროვილ სიტყვათა მარაგის საუბარში გამოყენებას.

წარმატებით მუშაობს ამავე სკოლის უცხოური ენის მასწავლებელი თ. ქოროღლიშვილი (დამთავრებული აქვს ქ. თბილისის უცხოურ ენათა პედინსტიტუტი). თვითონ იგი დამაკმაყოფილებლად ფლობს ენას; VI კლასის მოსწავლეები მკვირცხლად და გონივრულად პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, იციან ლექსები, სიმღერები. კლასის ყველა მოსწავლე ვაჟი აქტიურობდა გაკვეთილის მსვლელობისას. აქვთ სიტყვათა საკმაო მარაგი და საუბარში მათი გამოყენების ცოდნა. მასწავლებელი აჩვევს ბავშვებს უცხოურ ენაზე აზროვნებას.

აღნიშნული პედაგოგები, საერთოდ, დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონის ასამაღლებლად, მაგრამ

არ იცავენ წერითი მუშაობის სახეებს და ხშირად ერთსა და იმავე სამუშაოს აძლევენ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლაში საჭირო პირობები არ არის შექმნილი საგნის სწავლებისათვის. უცხოურ ენას კლასკაბინეტიც კი არა აქვს და ამ საგნის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალები და ტექნიკური საშუალებანი სკოლის დირექტორის მოადგილის კაბინეტშია მოთავსებული.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე მარტყოფის საშუალო სკოლის უცხოური ენის ახალგაზრდა მასწავლებელი ნ. ნატროშვილი (დამთავრებული აქვს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი).

მაგრამ გარდაბნის რაიონის შესწავლილ სხვა სკოლებში უცხოური ენების სწავლება არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

სოფელ შინდისის 8-წლიან სკოლაში უცხოურ (გერმანულ) ენას, 27 წელია, ასწავლის ფილოსოფიური განათლების მქონე მ. ფანცხავა, რომელსაც წესიერად კითხვაც კი არ შეუძლია. კითხვის დროს ვერ იცავს ფონეტიკური ხასიათის წესებს, ერთმანეთისაგან ვერ არჩევს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს. მეტყველებისას უშვებს მიუტევებელ შეცდომებს. აქვს თვალსაჩინო მასალები, დაუმზადებია თემატური ალბომებიც, მაგრამ, რადგანაც ენას ვერ ფლობს, მათ დანიშნულებისამებრ ვერ იყენებს. მასწავლებლის მომზადების დაბალი დონის გამო, ბუნებრივია, დაბალია მოსწავლეთა ცოდნაც. ისინი კითხვის წესებშიც კი ვერ ერკვევიან, არადამაკმაყოფილებელია მათი წერის კულტურაც. საკონტროლო წერები რაოდენობით საკმარისია, მაგრამ სხწერ თემებად სულ ლექსების ზეპირად წერაა გამოყენებული.

ცუდად მუშაობს ახალი სამგორის საშუალო სკოლის უცხოური ენის მასწავლებელი ქ. მამუკაშვილი (დამთავრებული აქვს თბილისის უცხოურ ენათა ინსტიტუტი). მან ენა დამაკმაყოფილებლად იცის, მაგრამ არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, გაკვეთილზე მას სახელმძღვანელოც კი არ აღმოაჩნდა და მოსწავლეს გამოართვა იგი. ახალი მასალა „მერცხლები" მშრალად, უინტერესოდ — კითხვისა და თარგმანის მეთოდით ახსნა. მოსწავლეებს გამოკითხვისას მასწავლებელი თვითონვე პასუხობს მის მიერვე დასმულ კითხვებზე, რის გამოც VIII კლასის 15 მოსწავლიდან არც ერთმა არ იცის კითხვა და საერთოდ, დაბალია საგანში მათი მომზადების დონე.

სკოლაში უცხოური ენის კაბინეტისათვის გამოყოფილია პატარა ოთახი, მაგრამ ისიც მოუწყობელია: რამდენიმე სურათია კედელზე ჩამოკიდებული, დანარჩენი მასალები კი უწესრიგოდ ყრია ფანჯრის რაფაზე.

მარტყოფის საშუალო სკოლის უცხოური ენის მასწავლებლები ნ. გოგიძე და ა. შალამბერიძე (ორივეს დამთავრებული აქვს ქ. თბილისის უცხოურ ენათა პედინსტიტუტი), მიუხედავად იმისა, რომ ცოდნა აქვთ, არ მუშაობენ თავიანთი შესაძლებლობის შესაფერისად: ისინი არ იცნობენ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს, ამიტომ გაკვეთილს ვერ აგებენ თანამედროვე მოთხოვნითა შესაბამისად. მასწავლებლები თვითონ კითხულობენ, სვამენ კითხვებს და პასუხობენ. მოსწავლეები მექანიკურად იმეორებენ მათ ნათქვამს, რის გამოც ვერ იძენენ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს. აღნიშნული პედაგოგები გაკვეთილებს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებენ. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ამ საგანში IX კლასში. მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ კითხვაც კი არ იცის.

რაიონში ქმედითი ღონისძიებანი უნდა გატარდეს უცხოურ ენებში ზემოხსენებულ და სხვა ანალოგიურ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

## მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მათემატიკის მასწავლებლები მუშაობენ. იმ მასწავლებლებს, რომელთაც უმაღლესი განათლება არა აქვთ, დამთავრებული აქვთ გადასამზადებელი კურსები.

მაგრამ, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა მასწავლებელი როდი ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს საჭირო სიღრმით. ამიტომ არის, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს გაკვეთილზე თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას; მოსაწყენად, უინტერესოდ ასწავლის საგანს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და ვერ ნერგავს მათში სწრაფი, ლოგიკური აზროვნების ჩვევებს. ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, უკარგავს მოსწავლეებს საგნის შესწავლის ინტერესს, რაც საბოლოო ანგარიშში, თავს იჩენს მათ დაბალ მომზადებაში.

სართიჭალის მეორე საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ე. კიკნაძე (დამთავრებული აქვს პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი) მხოლოდ მერხებს შორის ჩამოვლით ამოწმებს საშინაო დავალების შესრულებას. წინა მასალის გამოკითხვის თუ განმტკიცების პროცესში არ აბამს კლასს მუშაობაში, მხოლოდ დაფასთან მდგომ მოსწავლესთან მუშაობს, თანაც ისე, რომ ე. წ. „მოკარნახე“ კითხვების დასმით ელოდება პასუხის მიღებას, ამოცანის პირობის შესწავლამდე ავალებს კლასს მის ამოხსნას. დამოუკიდებელ სამუშაოს აძლევს ერთ ვარიანტად, არ განსაზღვრავს, მანამ კარნახობს ამოცანის ამოხსნის გზას. მასწავლებელი არ აანალიზებს დაშვებულ შეცდომებს.

სართიჭალის მეორე საშუალო სკოლის VIII კლასის მასწავლებელმა მ. ძამანაშვილმა (დამთავრებული აქვს თბილისის სახ. უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი) დაფასთან გაიძახა მოსწავლე, სახელმძღვანელოდან წაიკითხა ამოცანის პირობა, არ შეუსწავლიათ იგი და ისე დაავალა მოსწავლეს დაფაზე მსჯელობის დაწერა. ის წერს მასწავლებლის კარნახით, კლასი იწერს და მთელი გაკვეთილი ეთმობა ერთადერთი ამოცანის ამოხსნას.

ასევე მოიქცა აგრეთვე შინდისის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მასწავლებელი მ. ძამანაშვილი: მან $y=x^2-5x+6$ ფუნქციის გრაფიკის ამოხსნას მოანდომა ერთი გაკვეთილი.

მარტყოფის საშუალო სკოლის VIII და IX კლასების მასწავლებლებმა კ. ბანეთიშვილმა და გ. ლეკიშვილმა გეომეტრიის გაკვეთილებზე მასალა თხრობით გადასცეს, არ გამოუყენებიათ წინასწარ მომზადებული ნახაზები და სქემები.

სამწუხაროდ, ზოგი მასწავლებლის მომზადება ისე დაბალია, რომ თვით ისინი ვერ ფლობენ საპროგრამო მასალასაც კი; ასე მაგალითად, ახალი სამგორის საშუალო სკოლის VII კლასის მასწავლებელმა ივ. ჯანიკაშვილმა (დამთავრებული აქვს ცხინვალის პედინსტიტუტი) არ გაასწორა დაფაზე მოსწავლის მიერ დაწერილი $tg60° = \frac{\sqrt{3}}{2}$, შემდეგ $tg60°=tg30°$-ს., მეტიც: საგნის სწავლების მდგომარეობის შემსწავლელის კითხვაზე მოსწავლეებისადმი—რა შეცდომა დაუშვია მოსწავლეს—უპასუხეს—არაფერიო. მათი ეს პასუხი დაადასტურა მასწავლებელმაც.

იმავე მასწავლებლის V კლასის მოსწავლეებმა ზუსტად ვერ განსაზღვრეს არაწესიერი წილადი. დამსწრის კითხვაზე—როგორი წილადია $\frac{5}{3}$ მასწავლებელმა ივ. ჯანიკაშვილმა უპასუხა (მისი მეტყველება დაცულია): „ეს წილადი არ არის, ამიტომ წესიერია თუ არაწესიერი არ ითქმის". იგივე მასწავლებელი ახალი მასალის ახსნისას „წრის" ნაცვლად ხმარობს „წრეწირს".

იმავე სკოლის X კლასის მოსწავლეები ვერ განმარტავენ ფუნქციის ცვლილებისა და განსაზღვრების არეს, ვერ ხსნიან უმარტივესი სახის ტრიგონომეტრიულ განტოლებას $\cos x = \frac{\sqrt{2}}{2}$ (მასწავლებელი რ. კოზაევი—დამთავრებული აქვს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი).

სართიჭალის საშ. სკოლის IX კლასის მასწავლებელი თ. ადეიშვილი წინა მასალის—„ვექტორის კოორდინატები სიბრტყეზე"—გამოკითხვისას დაკმაყოფილდა მხოლოდ ორი მოსწავლის ზერელე პასუხით. მან ახალი მასალა—„კუთხისა და რკალის ცნების განზოგადება, მათი რადიანული გაზომვა" გადასცა ლექციური მეთოდით. კლასის წინასწარ მომზადების (მასწავლებელთა ყურადღების მობილიზება, მიზნობრივი განმეორება და სხვ.) გარეშე. გაკვეთილზე კლასი სრულიად ინერტულ მდგომარეობაში იყო.

ამიტომ, ბუნებრივია, დაბალია მოსწავლეთა მომზადება: საკმარისია ითქვას, რომ IX კლასში საკონტროლო სამუშაოდ მივეცით მოსწავლეებს იგივე მაგალითები, რაც ადრე საკონტროლო სამუშაოდ შეესრულებინათ. შედეგები ასეთია: ადრე, მასწავლებელს დაეწერა „5"—1, „4"—2, „3"—14, „4"—4. ჩვენ მიერ ჩატარებული წერის შედეგად კი აღმოჩნდა (სულ წერა 21-მა მოსწავლემ) არცერთი—„5" და „4", „3" კი მიიღო 2-მა, „2"—13-მა და „1"—6-მა მოსწავლემ.

რაიონში შესწავლილ მათემატიკის მასწავლებელთაგან არადამაკმაყოფილებლად იციან საგანი, მისი სწავლების მეთოდები და ხერხები თელეთის საშუალო და შინდისის რვაწლიანი სკოლების მათემატიკის მასწავლებლებმა ბ. იობაშვილმა და გ. ჯავახიშვილმა.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლობას იჩენს და დროულად არ ასწორებს მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს; ასე მაგალითად, სართიჭალის მე-2 საშ. სკოლის მასწავლე-

ბელ თ. ადეიშვილს 19 თებერვალს ჩატარებული საკონტროლო ნაწერები 13 მარტსაც კი არ ჰქონდა გასწორებული.

ადგილი აქვს საკონტროლო საწერად მაგალითებისა და ამოცანების ზერელედ შერჩევისა და გასწორების შემთხვევებს: თელეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. კოკაია ვერ ამჩნევს ან განგებ უვლის გვერდს მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს. სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. ბერიძიშვილმა ვერ შენიშნა მოსწავლის მიერ დაშვებული ასეთი შეცდომები: $x=\frac{\log a}{\log x}=1$; ე. ი. $x=1$; $\sqrt{3}+2\cos x=0{,}3=4\cos^2 x$, $\cos x=\frac{\sqrt{3}}{2}$; $x=\frac{n}{6}$.

ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი მათემატიკის სწავლებაში შეპირობებულია იმითაც, რომ ამ საგნის სწავლებაზე ყოველთვის როდი ხორციელდება ქმედითი, კვალიფიციური შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. ჩვენ მიერ შესწავლილი სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განხილული არ არის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა, და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული, № 3, 1974 წ.).

## ფ ი ზ ი კ ა

კარგად მუშაობს თელეთის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ა. ბესიაშვილი (დამთავრებული აქვს თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი). მან გასაგებად ახსნა VI კლასში „წყალსადენის მოწყობილობა. ატმოსფერული წნევა“, გამოიყვანა საჭირო სქემები, განამტკიცა ახალახსნილი მასალა და დაუკავშირა თანამედროვეობას, გაამდიდრა პრაქტიკული ხასიათის საკითხებით.

მაგრამ, ამასთან ერთად, რაიონის სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება ამ საგნის სწავლებაში, რაც იმით აიხსნება, რომ შესწავლილი სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილი არ არის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით და თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ფიზიკა არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ვარკეთილის საშ. სკოლაში (მასწავლებელი ბ. ლონლაძე, დამთავრებული აქ. ს. გორის პედინსტიტუტი). იგი ავადმყოფობდა და ათი მარტიდან მას ცვლიდა ნ. მათიაშვილი (სპი-ს სატრანსპორტო ფაკულტეტი, 1974 წ.) მისი გაკვეთილების მეცნიერული დონე ძალზე დაბალია. მოსწავლეებამდე ვერ დაყავს სახელმძღვანელოში მოცემული მასალა, არ მუშაობს ამოცანების ამოხსნაზე, არ იყენებს ტექნიკურ საშუალებებს, რის გამო მოსწავლეთა მომზადების დონე უაღრესად დაბალია.

VIII კლასში წინა მასალა—„სიმძიმის ძალა, სხეულთა წონა“— არ იცოდა მოსწავლეთა უმრავლესობამ, თხრობისას მოსწავლეები უშვებენ შეცდომებს, რომლებიც გაუსწორებელი რჩება. „$R^2$ მანძილია“, „სხეული გაჩერდა რაღაც ფორმაში“, „არ შეიცვლიდა დეფორმაციას“ და სხვ.

ახალი მასალა—„ხახუნის ძალა, უძრაობისა და სრიალის ხახუნი“ აიხსნა 10 წუთში. ახსნისას არ განმარტებულა ხახუნის ძალა, უძრაობის ხახუნის ძალა, წევის ძალა, მშრალი ხახუნი, ხახუნის კოეფიციენტი. მოსწავლეთათვის გაუგებარი დარჩა ხახუნის ძალის მიმართულება, უძრაობის ხახუნის ძალის დამოკიდებულება წნევის ძალასთან, თუ რას ნიშნავს M = 1 და სხვა.

კლასში არ შესრულებულა არც ერთი ნახაზი, არ გამოყენებულა არავითარი თვალსაჩინო მასალა და ტექნიკური საშუალება. არ ჩატარებულა ცდა; არ ამოხსნილა თემის შესაბამისი არცერთი ამოცანა. ასეთივე გაკვეთილები ჩატარდა IX კლასებშიც (მასწ. ნ. მათიაშვილი). აღსანიშნავია, რომ ნ. მათიაშვილი მუშაობს დროებით. შემოწმებით გამოირკვა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს არ უმუშავია კეთილსინდისიერად ძირითად მასწავლებელ ბ. ლონლაძესაც. X კლასში პირველი სექტემბრიდან დღემდე ამოხსნილი იყო 20 ამოცანა (10-ით ნაკლები). სკოლის ფიზიკის კაბინეტი ძალზე ღარიბია, აქვთ სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა 10%, მაგრამ, რაც აქვთ, იმასაც არ იყენებენ.

სკოლაში არ არის მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოები. ე. ი. წრე არ მუშაობს. არ ჩატარებულა არც ერთი ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაო და საკონტროლო წერა.

ჟურნალების წარმოება არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არის მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევები.

ახალი სამგორის საშ. სკოლის VIII კლასში მასწავლებელ შ. გონგლიაშვილს (დამთავრებული აქვს გორის პედინსტიტუტი 1954 წ.) შემოწმების დღეს გამოსაკითხი მასალა ჰქონდა „სხეულის მოძრაობა რამდენიმე ძალის მოქმედებით" რაც კლასმა სუსტად იცოდა. გამოკითხვით გამოირკვა, რომ კლასის მომზადების დონე დაბალია. ახალი მასალა—„სხეულის ვარდნა გაზში ან სითხეში. სხეულთა დახრა მოსახვევში მოძრაობის დროს"—ახსნილი იქნა ყოველგვარი თვალსაჩინოების, ცდისა თუ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების გარეშე. მასალიდან არ გამოიყო მთავარი. დაბალია მასალის შესწავლის მეცნიერული დონე. იგი არ გამდიდრებულა ცხოვრებისეული საკითხებითა და მაგალითებით. არ ამოხსნილა შესაბამისი ამოცანები არც სახელმძღვანელოდან და არც კრებულიდან. მსგავსი გაკვეთილები ჩატარდა IX—X კლასებშიც.

ფიზიკის კაბინეტში აქვთ ხელსაწყოთა 60%. მათი გამოყენება თითქმის არ ხდება. X კლასში ჩატარდა მხოლოდ ერთი ლაბორატორიული სამუშაო. საკონტროლო წერები არ ჩატარებულა. საკლასო ჟურნალში არ არის ფიქსირებული გამოყენებული კინოფილმები. IX კლასში დასტურდება მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის 6 შემთხვევა.

ფიზიკა შედარებით დამაკმაყოფილებლად ისწავლება მარტყოფის საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. ბიჭიაშვილი, დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი რადიოფიზიკის სპეციალობით 1969 წ.).

IX კლასში გამოსაკითხი მასალა—„ომის კანონის მოლეკულურკინეტიკური ახსნა" გამოკითხა ორ მოსწავლეს. შეფასების ნიშნები ობიექტურად დაწერა.

ახალი მასალა—„ელექტრული დენი სითხეებში" კარგად იქნა ახსნილი. გამოიყენა კინოფილმი „ელექტროლიზის გამოყენება ტექნიკაში", თუმცა დიქტორის ხმის გარეშე უნდა ეჩვენებინა იგი და კადრების შესაბამისი ახსნა-განმარტებები თვითონ მიეცა. მოსწავლეებმა მასალა გაიგეს.

ფიზიკის კაბინეტი ღარიბია. აქვთ ხელსაწყოთა 20%. არც ერთი ლაბორატორიული სამუშაო არ არის ჩატარებული VII, VIII, X კლასებში. არ ჩატარებულა საკონტროლო წერები, არ მუშაობს წრე, ამოხსნილი ამოცანების რაოდენობა აქაც ცოტაა.

საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის ძალზე ბევრი შემთხვევაა: VIII$^{\text{ა}}$ კლასში—20

(მასწ. ე. ტაბლიაშვილი), X კლასში—5 და VII კლასში—12 (მასწ. ბიჭიაშვილი).

სართიჭალის მეორე საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი რ. ჯაშიაშვილი სკოლაში არ იყო. მისი კლასის ($X_3$) გამოკითხვით გამოირკვა, რომ მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნები არაობიექტურადაა გამოყვანილი. კლასში სამი ფრიადოსანია, არის ოთხოსნებიც, მაგრამ მათი მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ დამაკმაყოფილებელ შეფასებაზე მეტს ვერ იმსახურებენ. მათ არ იციდნენ გაკვეთილი, არც გავლილი მასალიდან იციდნენ განმარტებები, ფორმულები, ნახაზები, მარტივი ლოგიკური ამოცანები და ელემენტარული ცნებები. მათი საკლასო-საშინაო რვეულების შემოწმებით დადგინდა, რომ მასწავლებელი კლასში არ მუშაობს კეთილსინდისიერად, ამოხსნილი ამოცანების რაოდენობა ძალზე ცოტაა. ლაბორატორიული და წერითი საკონტროლო სამუშაოები თითქმის არ ჩაუტარებია. ამ კლასში მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის 11 შემთხვევაა.

ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი იმითაც არის შეპირობებული, რომ არასაკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი ეწევა ამ მეტად მნიშვნელოვანი საგნის სწავლებას. საკმარისია ითქვას, რომ შესწავლილ სკოლებში განხილული არ არის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანება ფიზიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 3, 1974წ.).

## ქ ი მ ი ა

რაიონის სკოლების ქიმიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებლად მუშაობს თავისი პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, სერიოზულად ემზადება გაკვეთილებისათვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

ასე მუშაობს, მაგალითად, ახალი სამგორის საშ. სკოლის მასწავლებელი თენგიზ ბუხრაშვილი (დამთავრებული აქვს თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი). დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ IX კლასში ჩატარებულმა გაკვეთილმა. მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს

დამაკმაყოფილებელი ცოდნა აქვს ქიმიაში: ისინი დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლევიან ისეთ კითხვებზე, როგორიც არის: 1. რატომ ეწოდება დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის პირველი ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებს ტუტე მარილები? 2. რა განაპირობებს ნატრიუმისა და კალიუმის ქიმიურ თვისებებს? 3. რა გამოყენება აქვს სოდას? 4. რომელ პროცესს ეწოდება კირის ჩაქრობის პროცესი?

ახალი მასალის თემა იყო: „წყლის სიხისტე და მისი თავიდან აცილების საშუალება". მასწავლებელმა საკითხი მოსწავლეებისათვის გასაგები ენით გააშუქა. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა რა განაპირობებს წყლის სიხისტეს, განაასხვავა ერთმანეთისაგან მუდმივი და გარდამავალი (დროებითი) სიხისტე, ისაუბრა სიხისტის თავიდან აცილების საშუალებებზე და სხვა. საკითხის გაშუქების თეორიულ მხარეს თან სდევდა სადემონსტრაციო ცდების ჩატარებაც.

მასწავლებელ თ. შ. ბუხრაშვილის მუშაობის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მას პროგრამით გათვალისწინებული ყველა პრაქტიკული სამუშაო ჩატარებული არა აქვს, მცირე რაოდენობით აქვს შესრულებული ლაბორატორიული სამუშაოები, არ ატარებს საკონტროლო ვარჯიშს და სწავლებაში არასაკმაო ყურადღებას აქცევს ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ვარკეთილის საშ. სკოლის მასწავლებლის ლევან პეტრიაშვილის მუშაობამ (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედინსტიტუტი). მართალია, მის მიერ ჩატარებული გაკვეთილების მოსმენა არ მოხერხდა, რადგან შემოწმების დღეს მას გაკვეთილები არ ჰქონდა, მაგრამ პირადად მასთან საუბრით დადასტურდა, რომ მასწავლებელი კარგად ფლობს საგანს და საგნის სწავლების მეთოდებს. მოსწავლეების რვეულების გადათვალიერებით გამოირკვა, რომ იგი სათანადო ყურადღებას აქცევს სავალდებულო ამოცანების ამოხსნის საკითხს, ასევე სისტემატურად ასრულებს განათლების სამინისტროს მოთხოვნილებას ქიმიაში საკონტროლო წერების ჩატარების შესახებ, ყურადღებას აქცევს სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

მასწავლებელ ლ. პეტრიაშვილის მუშაობის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ პედაგოგი არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს და ლაბორატორიულ ცდებს. საქმე ის არის, რომ სკოლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ექ. ცოფურაშვილი) ქიმიის კაბინეტს 15 კვმ. ფართობის მქონე ოთახი გამოუყო, სადაც შეუძლებელი იყო სათანადო მუშაობის გაშლა. ამჟამად, განათლების

სამინისტროს ბრიგადის მათითებით, ამ საგანს გამოეყო შესაფერისი ფართის მქონე ოთახი, რომელშიც უკვე მოეწყო ქიმიის კლას-კაბინეტი.

სართიჭალის საშ. სკოლის მასწავლებლის, ვერა ნახუცრიშვილის მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. მას გავლილი არა აქვს ახალი პროგრამით ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

ამ სკოლის VII კლასის მოსწავლეთა ცოდნაც არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი; ასე მაგალითად, მათ არ იცოდნენ, რომ ლაბორატორიაში წყალბადის მისაღებად ჩვეულებრივ იყენებენ კიპის აპარატს და არც ის განუმარტავს, თუ რატომ ეწოდება კიპის აპარატს ორმაგი მოქმედების აპარატი; უჭირთ ელემენტების ქიმიური სიმბოლოების წერა, ქიმიური ტოლობების შედგენა და ა. შ.

ასახსნელი მასალის თემა იყო: „წყალბადის ქიმიური თვისებები“. მასწავლებელს წინასწარ არ ჰქონდა ჟანგბადი დაგროვილი და მან გაკვეთილზე მოინდომა გაზომეტრში ჟანგბადის დაგროვება, რაც ვერ შეძლო, თუმცა 12 წუთი მან ამ მიზნით დახარჯა. ყოველივე ამან დაარღვია გაკვეთილის მსვლელობის ნორმალური რიტმი. ამის გამო, მასწავლებელი გაკვეთილის ახსნისას ნერვიულობდა და დაუშვა მთელი რიგი შეცდომები: სპილენძის ჟანგის შავი ფერის ფხვნილის შესახებ აღნიშნა, რომ იგი ლურჯი ფერის ფხვნილიაო. ასევე, ძალზე ბუნდოვნად ისაუბრა იმაზე, რომ წყალბადს უნარი აქვს შეუერთდეს არა მარტო ჟანგბადს, არამედ მას უნარი აქვს ჟანგბადი ჩამოაცილოს სხვა ელემენტებს.

ასევე არ დატოვა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება X კლასში ჩატარებულმა გაკვეთილმაც. გაკვეთილის თემა იყო: „აცეტატის ბოჭკოს მიღება“, გაკვეთილს ესწრებოდა 19 მოსწავლე, წინა მასალა კი იცოდა მხოლოდ ორმა მოსწავლემ და მათი ცოდნაც არ იყო დამაჯერებელი. მოსწავლეთა საერთო ცოდნის დონეც არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. ასე მაგალითად, მათ არ იცოდნენ, რომ ცხიმები სამატომიანი სპირტის, გლიცერინისა და კარბონმჟავების რთული ეთერებია, რომ ბუნებრივი ცხიმები წარმოქმნილია ისეთი მჟავებით, რომელთა მოლეკულაში არის ნახშირბადის ატომების წყვილი რიცხვი და არა განმარტოვებული ნახშირწყალბადების ჯაჭვი; ვერ დაწერეს ვერცხლის ჟანგის ამიაკ-წყალხსნარისა და ალდეჰიდის ნარევის გაცხელების დროს მიმდინარე რეაქციის ტოლობა და

ვერ დაასახელეს, რომ ამ რეაქციას „ვერცხლის სარკის" რეაქცია ეწოდება და იგი დამახასიათებელია ალდეჰიდებისათვის.

ასახსნელი მასალის თემა იყო: „ამინები და ანილინი". მასალის ახსნამაც ვერ დატოვა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება. დამაჯერებლად ვერ იქნა განმარტებული, თუ რატომ არის ანილინი უფრო ნაკლებად ძლიერი ფუძე, ვიდრე ნაჯერი რიგის ამინები? ასევე ბუნდოვანი დარჩა ზინინის რეაქციის (ანილინის მიღების ხელმისაწვდომი ხერხი) ქიმიური მექანიზმი და ა. შ.

როგორც სკოლაში არსებული სასკოლო დოკუმენტებიდან (პედსაბჭოს ოქმები, საკლასო ჟურნალები და სხვ.) ჩანს, მარტყოფის საშუალო სკოლაში სერიოზული ნაკლოვანებანია ქიმიის სწავლებაში (მასწავლებელი ნ. ჭელიძე, სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მზალო ტაბლიაშვილი (დამთავრებული აქვთ—პირველს თსუ და მეორეს პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი). მარტყოფის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ „...საგნის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. ამიტომ არის, რომ მოსწავლეთა ნაწილის მომზადება ვერ პასუხობს მოთხოვნას, მოსწავლეებს უჭირთ ამოცანების ამოხსნა. მასწავლებელი ე ტაბლიაშვილი ნაკლებად ზრუნავს კაბინეტის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის..." (სტილი დაცულია).

ეს მდგომარეობა საკითხის ადგილზე შემოწმებითაც დადასტურდა. სრული ქაოსია საკლასო ჟურნალში დასამუშავებელი მასალის შეტანის საკითხშიაც. ასე მაგალითად, VII კლასში მესამე მეოთხედისათვის პირველი შეტანილი მასალა 17 იანვრის თარიღითაა თემა: „ჟანგბადის ფიზიკური და ქიმიური თვისებები" (აღნიშნული მასალა გავლილი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ნოემბრის მეორე ნახევარში). მომდევნო ჩანაწერი ჟურნალში გაკეთებულია 27 იანვარს, ე. ი. 10 დღის შემდეგ (თემა: „ოზონი, ალოტროპია, ჰაერის შედგენილობა"). ამ მასალაზე მისვლამდე მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ შემდეგი საკითხები: ჟანგვა-ჟანგეულები—1 საათი, ჟანგბადის გამოყენება—1 საათი, ჩატარებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობა თემაზე: „ჟანგბადის მიღება და თვისებები". რაც შეეხება ჟურნალში ჩაწერილ საკითხს —„ოზონს, ალოტროპიას, ჰაერის შედგენილობას", პროგრამის მიხედვით ოზონი უნდა გადაცემულიყო ორ საათში—პირველ საათზე ალოტროპია, ხოლო მეორე საათზე კი ჰაერის შედგენილობა", მასწავლებელს კი ეს რთული, ორ საათზე

დაგეგმილი მასალა ერთ საათში მიეცია მოსწავლეთათვის შესასწავლადა.

მომდევნო ჩანაწერი გაკეთებულია 31/I—თემა: „წვა, ნელი ჟანგვა, ჟანგის გამოყენება". ეს მასალაც პროგრამის მიხედვით 2 საათზეა დაგეგმილი, მასწავლებელს კი იგი 1 საათში უსწავლებია და ა. შ. უკანასკნელი ჩანაწერი გაკეთებულია 21/II 75 წელს—თემა: „წყალბადი ბუნებაში, მისი გამოყენება", რის შემდეგაც ჩანაწერები საკლასო ჟურნალში წყდება. აღნიშნულ მასალაზე მეშვიდეკლასელები უნდა ყოფილიყვნენ დაახლოებით იანვრის მეორე ნახევრისათვის. ამგვარად, ჩამორჩენა ამ კლასში არის 14—15 საათი.

ანალოგიურ მგომარეობას აქვს ადგილი VIII კლასის ჟურნალის წარმოებისას, ას მაგალითად, 29/XI თემა: „ატომების ელექტრონული გარსის აღნაგობა". ამის მომდევნო ჩანაწერი გაკეთებულია 31/I-ს თემაზე: „ელექტრონების მოძრაობა ატომებში". აქ არ ჩანს ის 10-საათიანი მასალა, რომელიც უნდა გადაცემულიყო 29/XI-დან 31/XII-მდე. შემდეგი ჩანაწერი გაკეთებულია ერთი კვირის შემდეგ, კერძოდ, 7/II თემაზე: „იონური კავშირი, მომდევნო ჩანაწერი კი 10 დღის შემდეგ, თემაზე: „კოვალენტური კავშირი"—აქაც ჩამორჩენაა დაახლოებით 12—14 საათი; ანალოგიური მდგომარეობაა IX კლასშიაც.

შესწავლილი სკოლებიდან არც ერთს არა აქვს ქიმიის კაბინეტი. მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა ღარიბია. მართალია, ყველა აღნიშნულ სკოლას აქვს ქიმიის კლას-კაბინეტი, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელების მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა მათ მიზნობრივ გამოყენებას.

კაბინეტებში არა აქვთ ამწოვი კარადები და აფთიაქი. ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინო მასალებით კაბინეტების აღჭურვას, ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას, მოსწავლეები არ იცნობენ კლასკაბინეტების გამოყენების წესებს და სხვ.

რაიონის სკოლების ხელმძღვანელებმა, სათანადო საგნის სპეციალისტებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ ქიმიის სწავლების საკითხი და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ამ საგნის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების შესასრულებლად.

## ბ ი ო ლ ო გ ი ა

გარდაბნის რაიონის სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი გარკვეულ მუშაობას ატარებს ამ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად.

ძირითადად დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ვარკეთილის საშ. სკოლის ბიოლოგის ხოსროშვილის მიერ (დამთავრებული აქვს თელავის პედინსტიტუტი) ჩატარებულმა გაკვეთილმა. VIII კლასში თემა იყო: „კანის აგებულება და მნიშვნელობა". მოსწავლეებს გაკვეთილის მასალა ათვისებული ჰქონდათ, ისინი დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლეოდნენ შემდეგი ხასიათის კითხვებზე: 1. რა მნიშვნელობა აქვს ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში მცხოვრებთათვის კანის მუქ შეფერილობას? 2. რა საშუალებებს იყენებენ გაშეშების დაავადების ასაცილებლად, როცა ჭრილობა მიწით დაისვრება, გამაფრთხილებელ აცრას თუ სამკურნალო შრატს და სხვ.

ახლად ახსნილი გაკვეთილის თემა იყო: „კანის მნიშვნელობა ორგანიზმის ტემპერატურის რეგულაციაში". ახალ მასალაზე საუბარი დაიწყო შემდეგი ხასიათის კითხვების დასმით: 1. როგორია ჯანმრთელი ადამიანის ნორმალური ტემპერატურა? 2. რა გადახრები შეინიშნება ადამიანის ტემპერატურაში დღეღამის განმავლობაში? 3. რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმისათვის მუდმივ ტემპერატურას? მასწავლებელმა, დასმულ კითხვებზე რომ მოსწავლეთა პასუხი მოისმინა, თვითონ დააზუსტა შემდეგ ისინი და მოუთხრო მოსწავლეებს კანის შესახებ, როგორც ისეთ ორგანოზე, რომელიც აწარმოებს სითბოს გადაცემას. იმისათვის, რომ საკითხი მოსწავლეებისათვის უფრო უკეთ ყოფილიყო გასაგები, მასწავლებელმა ყურადღება მიაქცია სითბოს იმ რაოდენობაზე, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ორგანიზმში. თხრობის პროცესში მან მოსწავლეებს დაუსვა შემდეგი ხასიათის კითხვები: 1. რატომ არ ხდება ორგანიზმის გადამეტხურება? მოსწავლეების პასუხი დასმულ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი იყო. შემდეგ მასწავლებელმა განუმარტა კლასს, რომ ორგანიზმის მიერ სითბოს გამოყოფა დამოკიდებულია გარემოს ტემპერარარაზე და ადამიანის მუშაობის თავისებურებაზე. დასასრულ მასწავლებელმა გააკეთა შემდეგი ხასიათის დასკვნა: კანის უმთავრეს ფუნქ-

ციას წარმოადგენს სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება და სითბოს გამოყოფის მეოხებით სისხლის და ლიმფის შედგენილობის მუდმივობის შენარჩუნება.

მასწავლებლის მუშაობის ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ შემოღებული არა აქვს მოსწავლეთა საშინაო დავალების რვეულები. გარდა ამისა, ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს მათ დამოუკიდებელ მუშაობასაც. ასე მაგალითად, პროგრამაში მითითებულია, რომ აღნიშნული გაკვეთილის შესწავლისას საჭიროა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება (დამოუკიდებელი სამუშაოს შინაარსი სახელმძღვანელოში არის მოცემული). მაგრამ პედაგოგს ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია; ამასთან, საჭირო იყო საშინაო დავალებად მოსწავლეებისათვის მიეცა მოემზადებინათ პასუხები შემდეგი ხასიათის კითხვებზე: 1. რა იწვევს სითბურ და მზის დარტყმას და რა საშუალებებს უნდა მივმართოთ ასეთ დროს? რა დახმარება უნდა გავუწიოთ ადამიანს დამწვრობის ან მოყინვის შემთხვევაში? პედაგოგმა არც ეს გააკეთა. როგორც ეტყობა, ამ სკოლაში არ არის დანერგილი ბიოლოგიის გაკვეთილის კლასკაბინეტში ჩატარების პრაქტიკა, თუმცა კლასკაბინეტი ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს; ასე მაგალითად, სკოლის მუშაობის შემოწმების დღეს ბიოლოგიის კლასკაბინეტში ჩატარდა ქართული ენის გაკვეთილი, ბიოლოგიის გაკვეთილი კი — საკლასო ოთახში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ახალი სამგორის, მარტყოფის საშუალო და რვაწლიანი სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლები თენგიზ ბუხრაშვილი, გ. სამჭკუაშვილი და ზინაიდა ყურაშვილი.

უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა მარტყოფის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის მანანა ახალკაციშვილის მიერ ჩატარებულმა გაკვეთილმა X კლასში. გაკვეთილის თემა: „მცენარეთა სელექცია და პოლიპლოიდია, მცენარეთა შორეული ჰიბრიდიზაცია". აღნიშნული მასალა პროგრამის მიხედვით 2 საათზეა გათვალისწინებული, მასწავლებელს კი ერთ საათში გადაუცია". სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ X კლასის 25 მოსწავლიდან გაკვეთილი იცოდა მხოლოდ სამმა. ამასთან, მოსწავლეებმა გამოავლინეს განვლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა, ასე მაგალითად, მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ შორეული ჰიბრიდების ნაყოფიერების აღდგენის მეთოდებსა და ამ მიმართებით საბჭოთა გენეტიკოსის კარპიჩენკოს მიერ ჩატარებული ცდების შედეგებზე, ვერ

განმარტეს, რას ეწოდება კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ჯიშები და ა. შ.

ახალი მასალა იყო „ი. ვ. მიჩურინის მეთოდები". მასწავლებელმა ძლიერ მკრთალად მოუთხრო მოსწავლეებს მიჩურინის მიერ დამუშავებულ მენტორის იმ ხერხებზე, თითქმის არაფერი არ უთქვამს იმაზე, რომ ი. ვ. მიჩურინი, როგორც გამოჩენილი მეცნიერ-პრაქტიკოსი, ამასთან ერთად, იყო პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი; კერძოდ, მიჩურინმა არ მიიღო ამერიკელთა წინადადება, რომ გადასულიყო აშშ-ში სამუშაოდ. ეს ფაქტი პატრიოტული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდისათვის ვერ გამოიყენა მასწავლებელმა.

მასწავლებელი მ. ახალკაციშვილი არ მუშაობს გეგმის მიხედვით, კერძოდ, მისი გაკვეთილის გეგმები მეტად უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე მაგალითად, გაკვეთილების გეგმების რვეულში სულ რამდენიმე ჩანაწერი აღმოჩნდა: 19/XI-74 წლის თარიღით, 2/XII-74 წ., 6/XII-74-74 წ., 6/II-75 წლის თარიღით.

მთელ რიგ შემთხვევებში ორსაათიანი მასალის გადაცემა ერთ საათში აქვს დაგეგმილი; ასე მაგალითად, პროგრამის მიხედვით, „გენეტიკის ზოგადი ცნება", „გენეტიკა და ევოლუციური თეორია" 2 საათიანი მასალაა, მასწავლებელმა კი იგი ერთ საათში გადასცა. ასევე, „მცენარეთა სელექცია და პოლიპლოაცია, „მცენარეთა შერეული ჰიბრიდიზაცია" 2 საათიანი მასალაა, მასწავლებელმა კი ერთ საათში გადასცა და ა. შ.

ასეთი შეუსაბამობანი მასწავლებელმა ახსნა იმით, თითქოს მას ჩამორჩენა აქვს პროგრამული მასალის გავლაში, მაგრამ, თავისივე გეგმის მიხედვით, 7 მარტს ახსნილი მასალა „ი. მიჩურინის მუშაობის მეთოდები" უნდა აეხსნა 14 მარტს; მასწავლებელი კარგად არ იცნობს იმ თვალსაჩინოებას, რაც მას ბიოლოგიის „სათავსოში" აქვს. ასე მაგალითად, „სათავსოში" მას ჰქონდა მიჩურინის საუკეთესო ჯიშების მოდელები, თუმცა მასწავლებელმა არც ეს მოდელები აჩვენა მოსწავლეებს გაკვეთილის ახსნის დროს და არც სათანადო ტაბულები გამოიყენა.

მასწავლებელი, მართალია, ატარებს საკონტროლო წერებს, მაგრამ აქაც ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: II მეოთხედის ბოლოს, კერძოდ, 26/XII-ს მას X კლასში ჩაუტარებია საკონტროლო

წერა. წერის ნიშნები ჟურნალში შეუტანია III მეოთხედში, კერძოდ, 14/I-75 წელს.

მასწავლებელი არ იცნობს მეთოდურ სახელმძღვანელოს „ზოგადი ბიოლოგიის გაკვეთილები", სადაც მთელ რიგ საკითხებთან ერთად განხილულია ისიც, თუ როგორ უნდა ატარებდეს ბიოლოგიის მასწავლებელი საკონტროლო წერებს და რა სახით უნდა ადგენდეს ვარიანტებს წერისათვის.

ასევე, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალი სამგორის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი ბაბო ციბაძე.

შესრულების კონტროლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული სკოლების ბიოლოგიის მეთოდგაერთიანებებისა და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე არ არის განხილული და საჭირო ღონისძიებანი დასახული რესპუბლიკის სკოლებში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების შესასრულებლად (განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული, № 9, 1974 წ.).

## ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა

ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ახალი სამგორის საშუალო სკოლის დირექტორი, თამარ ალექსანდრეს ასული აფციაური (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტი) და მარტყოფის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ესმა გიორგის ასული ჯანჯიბუხაშვილი (დამთავრებული აქვს თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტი). იგი ხელმძღვანელობს სკოლაში არსებულ კარგად მოწყობილ ისტორიის კაბინეტს. ისინი ფლობენ როგორც თვით საგანს, ისე მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, გულმოდგინედ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ლოგიკური თანმიმდევრობით ხსნიან კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს. საჭიროების შემთხვევაში, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების გამოყენებით, კიდევ უფრო ეფექტურსა და საინტერესოს ხდიან გაკვეთილებს, რის შედეგადაც მოსწავლეებს საპროგრამო მასალის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა აქვთ.

ახალი სამგორის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწავლებელი თ. აფციაური) მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად პასუხობდნენ წინა მასალის „საქართველოს დაპყრობა მონგოლების მიერ" ირგვლივ დასმულ კითხვებზე, განმარტავდნენ კოხტასთავის შეთქმულებას, 1259 და 1260 წლების აჯანყებისა და მისი დამარცხების მიზეზებს, საჭირო

ყურადღებას აქცევდნენ დემეტრე II-ის თავდადების ფაქტს, გლეხთა
მდგომარეობას მონღოლთა ბატონობის პერიოდში და მათი ბატონობის
შედეგებს. მოფიქრებულ პასუხს იძლეოდნენ მოსწავლეები [illegible]
განვლილი საპროგრამო მასალიდან: ქრისტიანობის სახელმწიფო რე-
ლიგიად გამოცხადების, დავით აღმაშენებლის რეფორმების, თამარის
გამეფებისა და სხვათა შესახებ.

მასწავლებელმა მოსწავლეთათვის გასაგებად გადასცა ახალი მა-
სალა — „საქართველო XIV საუკუნეში“. კარგად იყენებდა თვალსაჩი-
ნოებას — რუკასა და დაფას, ხშირად ითვალისწინებდა ისტორიული
ტერმინების ახსნას. მოსწავლეებმა კარგად გაიგეს გიორგი ბრწყინვა-
ლეს მიერ საქართველოს მონღოლთა ასწლიანი ბატონობისაგან გან-
თავისუფლების, მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე თემურ-ლენგის სა-
ქართველოში შვიდი შემოსევისა და სხვ. საკითხები.

მარტყოფის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მას-
წავლებელი ე. ჯანჯიბუხაშვილი) კარგად იცოდნენ პარტიის VIII
ყრილობაზე მიღებული პარტიის მეორე პროგრამისა და მშრომელ
გლეხობასთან მუშათა კლასის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის
არსი.

მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად პასუხობდნენ კითხვებზე
განვლილი პროგრამული მასალიდან: რა ამოცანები წამოაყენა ვ. ი.
ლენინმა აპრილის თეზისებში, რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა
საბჭოების II სრულიად-რუსეთის ყრილობას, რა აზრს ავითარებდა
ვ. ი. ლენინი ორხელისუფლებიანობის პირობებში რევოლუციის მშვი-
დობიანი განვითარების შესაძლებლობის შესახებ და სხვ.

ახალი მასალის ახსნის დროს მასწავლებელი მოუთხრობდა მოსწავ-
ლეებს მიმზიდველად, გასაგებად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.
იგი სისტემატურად ითვალისწინებდა ისტორიული ტერმინების ახსნის
საჭიროებას. გაკვეთილის პროცესში მასწავლებელი წარმატებით
წყვეტს არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ხა-
სიათის ამოცანებსაც.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ისტორიას ახალი სამგორის
საშუალო სკოლის მასწავლებელი ელისო ჩოქური (დამთავრებული
აქვს თსუ ისტორიის ფაკულტეტი). შემოწმებისას IX კლასში წინა
მასალის — „საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა“ — მთავარი
საკითხების: სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ
ფრონტზე, მოსკოვსა და ქვეყნის სხვა უმნიშვნელოვანეს ცენტრებში,
„რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, უკრაინის, ბელორუსიის,
ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-

ლიკების შექმნის შესახებ მოსწავლეთა უმრავლესობამ დამაკმაყოფილებლად იცოდა, მაგრამ განვლილი საპროგრამო მასალის შედარებით დაბალი ცოდნა გამოავლინა: მათ საფუძვლიანად არ იციან ბოლშევიზმის წარმოშობა, რუსეთ-იაპონიის ომისადმი რუსეთის სხვადასხვა კლასის დამოკიდებულება, სამი ივნისის მონარქია, ორხელისუფლებიანობის კლასობრივი არსი და მისი შექმნის მიზნები. შედარებით კარგად ჩამოაყალიბეს ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები; რა საკითხები განიხილა ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობამ და რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მას.

ახალი მასალის—„საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა“ ახსნა მასწავლებელმა დაიწყო ძველთან კავშირში. მოსწავლეებისათვის გასაგები საუბრით ახსნა პროლეტარიატის დიქტატურის არსი და ამოცანები, ახალი სახელმწიფო აპარატის მშენებლობა, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი სოციალისტური ეკონომიკის, კულტურის მშენებლობაში და სხვა. საჭიროების დროს ითვალისწინებდა მოსწავლეებისათვის უცხო ტერმინების განმარტებას.

ახალი მასალის სრულყოფილად ახსნის მიზნით საჭირო იყო მასწავლებელს ყურადღება გაემახვილებინა საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობისა და „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხების უფლებათა დეკლარაციის“ შესახებ.

იმავე მასწავლებელმა ე. ჩოქურმა უკეთესი გაკვეთილი ჩაატარა VIII კლასში, სადაც მოსწავლეებმა წინა მასალის—„1861 წლის რეფორმის მომზადება“ უფრო მტკიცე ცოდნა გამოავლინეს: განვლილი პროგრამული მასალიდან იცოდნენ—ბოროდინოს ბრძოლა და მისი ისტორიული მნიშვნელობა, დეკაბრისტების აჯანყება; ლენინის შეხედულება დეკაბრისტთა აჯანყების ისტორიული მნიშვნელობისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შესახებ; კარგად დაახასიათეს ცარიზმი, როგორც ევროპის ჟანდარმი; საჭირო გეოგრაფიული პუნქტები მოსწავლეებმა აჩვენეს რუკაზე.

ახალი მასალის—„ბატონყმობის გადავარდნა რუსეთში“ გადაცემისას მოსწავლეებისათვის გასაგებად იყო ახსნილი 1861 წლის 19 თებერვლის „დებულებების“, 1861 წლის რეფორმის ბურჟუაზიული შინაარსისა და ბატონყმური ნიშნების, მემამულეებისა და ცარიზმის ბატონობის საფუძვლის—მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნების საკითხები. საჭიროებისას გამოყენებული იყო თვალსაჩინოება—

რუკა. ახალი მასალის სრულყოფილად ახსნის მიზნით მასწავლებელს ყურადღება უნდა გაემახვილებინა ნ. გ. ჩერნიშევსკის, როგორც ქმაგლეხთა ინტერესების დამცველის შესახებ და მოეტანა ვ. ლენინის სიტყვები რეფორმის მნიშვნელობაზე, რომ ეს იყო ნაბიჯი რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე.

მასწავლებელი ზოგჯერ გაუმართავ კითხვებს სვამდა კლასის წინაშე, ზოგჯერ უშვებდა ფაქტობრივ შეცდომას და უზუსტობას; მაგალითად, საბჭოები რუსეთში წამოიშვა და განმტკიცდა 1905 წლის რევოლუციის დროს; პროლეტარიატის დიქტატურა იყო რუსეთში მანამდე, სანამ მოწინააღმდეგე კლასები არსებობდა, შემდეგ აღარ იყო საჭირო და სხვ.

მასწავლებელი ე. ჩოქური საგანს ფლობს, მაგრამ საჭიროებს მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების დაუფლებას, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფას.

საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების საქმეში არსებობს გარკვეული ნაკლოვანებანი: მარტყოფის საშუალო სკოლაში მასწავლებელი რევაზ სტეფანიშვილი (დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახ. პედინსტიტუტი) ვერ ახერხებს სახელმძღვანელოს დაუხმარებლად გაკვეთილის მასალის გადაცემას, ლოგიკური თანმიმდევრობით ვერ ხსნის პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად საკითხებს, საჭიროებ ს შემთხვევაში ვერ იყენებს თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალებს. მოსწავლეთა ნაწილმა ვერ განმარტა საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოებრივი ცნობიერება, იმპერიალიზმი და მისი ძირითადი ნიშნები, ვერ განასხვავა სოციალისტური დემოკრატია ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან. ამომწურავი პასუხი არ იყო გაცემული სოციალისტური ეკონომიკის დროს თვითღირებულების, ფასის, მოგებისა და რენტაბელობის, აგრეთვე გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული შერწყმის შესახებ ავტომატიზებული კომუნისტური წარმოების პირობებში. ზოგჯერ ვერც მასწავლებელი ახერხებს ზუსტი განმარტების მიცემას.

ახალი მასალის—„კომუნისტური შრომისა და განაწილებისაგან“ ახსნა მასწავლებელმა დაიწყო ძველ მასალასთან კავშირში, განმარტა შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპი, როგორც სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი; კომუნიზმის მშენებლობის პროცესში შრომის გადაქცევა ადამიანის ორგანიზმის უპირველეს საარსებო

მოთხოვნილებად და შრომის ხასიათი სოციალიზმის დროს. ამით დაამთავრა ახალი მასალის ახსნა. ეს მასალა კლასს 9 წუთში გადაეცა.

მასწავლებელს არაფერი უთქვამს შრომის ნაყოფიერების როლისა და მისი გადიდების ფაქტორებზე, შრომის მორალურ და მატერიალურ სტიმულირებათა ერთიანობაზე; არ განუმარტავს, რატომ ვუწოდებთ საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით განაწილებას მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კომუნისტურ გზას, ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, თუ როგორ გაიზრდება მთლიანად საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა კომუნისტური მშენებლობის—ჩვენი პარტიის მესამე პროგრამის განხორციელების შემდეგ და სხვა.

შედარებით უკეთესი აღმოჩნდა იმავე მასწავლებლის გაკვეთილი X კლასში სსრ კავშირის ისტორიაში. აქ მოსწავლეები დამაკმაყოფილებელ პასუხებს იძლეოდნენ გაკვეთილისა და განვლილი პროგრამული მასალიდან.

მასწავლებელი რ. სტეფანიშვილი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სწავლების მეთოდურ მხარეს, სრულყოფილად არ იყენებს თვალსაჩინოებას, ზოგჯერ არასაკმაოდ ემზადება გაკვეთილისათვის, რაც ხელს უშლის საგნის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისა და მოსწავლეებში ამ საგნისადმი სიყვარულისა და ინტერესის გაღვიძებას.

ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად განათლების განყოფილებამ, მისმა მეთოდურმა კაბინეტმა, სკოლების ხელმძღვანელებმა და ამ საგნების მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანებებით (განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 5, 1975 წ.).

## სასკოლო კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციების მუშაობისა და მოსწავლე ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი საქმიანობის ზოგი საკითხის შესახებ

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს გარკვეული წვლილი შეაქვთ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივ-სახალხო ამოცანის განხორციელებაში; ასე მაგალი-

თად, ეს ორგანიზაციები თავიანთ სამუშაო გეგმებში ითვალისწინებენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა კომკავშირული კრებების და პიონერთა შეკრებების მომზადება, პროფტექნიკური განათლების სისტემის სკოლების მუშაკებთან და მოსწავლეებთან, ბრძოლისა და შრომის გმირებთან, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, საბჭოთა არმიაში გასაწვევ და არმიიდან დემობილიზებულ ახალგაზრდებთან, რაიონის მოწინავე ადამიანებთან საქმიანი კავშირის დამყარებას, შეხვედრების, დისპუტების, ვიქტორინების, სხვადასხვა დანიშნულების დილა-საღამოების მოწყობას, თეატრების სპექტაკლების განხილვას, ზეპირი ჟურნალების ჩატარებას თემაზე „ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია“ და სხვ.

ამ მხრივ შესწავლილი სკოლებიდან გამოირჩევა სართიჭალის მეორე საშუალო სკოლა (კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ეთერ ყუშიტაშვილი და უფროსი პიონერხელმძღვანელი ციური სულთანიშვილი). პიონერთა ოთახში არის ატრიბუტები, სტენდები, შექმნილია საბრძოლო დიდების მუზეუმი. ორგანიზატორის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულია კომკავშირელთა ლექტორიუმი, რომელშიც ლექციებით თვით კომკავშირლები გამოდიან. ჩვენი იქ სკოლის მუშაობის შესწავლის დროისათვის დამუშავებული იყო თემები: „სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“, ვ. ი. ლენინის ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ“ და „ბრძოლა გამოვუცხადოთ წარსულის გადმონაშთებს“. სკოლას კავშირი აქვს თბილისის 117-ე საშუალო სკოლასთან. ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავს მიუძღვნეს კინოფესტივალი, უჩვენეს ფილმები: „ზოია რუხაძე“, „განთავისუფლება“, „ბრძოლა ბერლინისათვის“, „ჯვარცმული კუნძული“ და სხვ. მოსწავლეთათვის პერიოდულად ეწყობა ექსკურსიები, ლაშქრობები... ჩატარდა დისპუტი თემაზე: „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა“. მოსწავლეებმა შეისწავლეს სართიჭალის ისტორია და ამზადებენ სტენდს. წითელი კვალისმაძიებელთა რაზმმა აღწერა შინმოუსვლელთა ოჯახები, ეხმარებიან მათ და სხვ.

ანალოგიური მუშაობა ტარდება თელეთის საშუალო სკოლაში (უფროსი პიონერხელმძღვანელი ნელი მოსიევა). სკოლის კომკავშირული (ალკკ კომიტეტის მდივანი ლუიზა კიკოლაშვილი) და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობა მიმართულია სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის, საქ. ალკკ XVII და საქართველოს ალკკ XXX ყრილობათა გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

[illegible] მიმდინარეობს ლენინური ჩათვლა დევიზით —„სწავლობთ კომუნიზმს", „ვაშენებთ კომუნიზმს". ამკავშირულ კრებებზე განხილულია საკითხები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიასადმი, საბჭოთა ხალხისადმი და ჩვენი ამოცანები", „საქართველოს ალკკ კომკავშირული აქტივის კრების მასალები და ჩვენი ამოცანები". კომკავშირის კომიტეტი თავის სხდომაზე აძლევს საბჭოურ რაზმის ხელმძღვანელებს პიონერულ კლასში შესასვლელად. სკოლა საქმიან კავშირშია ქ. თბილისის 84-ე და 122-ე სკოლებთან, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან აწყობს მოსწავლეთა შეხვედრებს მოწინავე ადამიანებთან და სხვ.

ახალი სამგორისა და გამარჯვების საშუალო სკოლების როლი მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში შეუნიშნავი არ დარჩენიათ ზემოხსენებული შრომის —„ახალი სასოფლო რაიონის სოციალური პრობლემების" ავტორებს. ნაშრომის 157-ე და 158-ე გვერდებზე ისინი ეხებიან სამგორის ველზე ხევსურების გადმოსახლების საკითხს, იმ პირობებს, რომლებშიც განხორციელდა ეს ღონისძიება და ავითარებენ აზრს იმის შესახებ, რომ „...სრულიად ახალ გარემოში მოქცევამ განსხვავება შექმნა ხევსურებსა და კახელებს შორის. ამან კი გამოიწვია უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენა—სრული შეუთანხმებლობა და შეურიგებლობა ამ ორი კუთხის ხალხს შორის. ამას პირველ წლებში ისეთი სერიოზული მნიშვნელობა მიუღია, რომ დღესაც კი, ამდენი ხნის განმავლობაში, ერთგვარი ანარეკლი კვლავ გვხვდება, და რომ არა სკოლა, რომელმაც გუშინდელი ბავშვები, დღევანდელი ახალგაზრდა მოქალაქეები დაამეგობრა, ალბათ, ეს უთანხმოება დიდხანს გაგრძელდებოდა".

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 5 ათასზე მეტმა მოსწავლემ აქტიური მონაწილეობა მიიღო მეხუთე შრომითი მეოთხედის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გეგმის შესრულების საქმეში და შრომის ანაზღაურების სახით მიიღეს 200 ათასი მანეთი. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ახალი სამგორის, სართიჭალის 1-ლი და მე-2, ვარკეთილის, გამარჯვების, კალინინის, აქტაკლის, ყარაჯალარის, თელეთის, კუმისის, თბილსრესის, მარტყოფის, ახალსოფლის, თაზაკენდის, საცხენისის, შინდისისა და სხვა სკოლების მოსწავლეებმა. ამასთან, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მოწესრიგებული არ იყო ვარკეთილისა და მარტყოფის სკოლების მოსწავლეთა შრომის აღრიცხვა და მისი ანაზღაურება. ეს გარემოება ზომების დაუყოვნებლივ მიღებასა და შემდგომში საჭირო დასკვნების გაკეთებას საჭიროებს.

მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, ამ საქმიანობის ერთიან, კომპლექსურ, ღრმად მოფიქრებულ ღონისძიებათა დასახვა და განხორციელება ჯერ კიდევ არ გამხდარა ყველა ჩვენ მიერ შესწავლილი სკოლის ხელმძღვანელების, პედაგოგიური კოლექტივების, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციებისა და მშობელთა ფართო საზოგადოებრიობის ერთიანი საბრძოლო ამოცანა.

ამიტომ არის, რომ მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სამართალმცოდნეობის, მოსწავლეთა აქტივობის განვითარების, კერძოდ, სკოლის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივის, საერთოდ კი მთელი სოციალური გარემოს როლის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ათეისტური აღზრდის საკითხებს ჯერ კიდევ არ ექცევა საკმაო, მათთვის შესაფერისი ყურადღება.

სკოლის ზოგი მუშაკი ანგარიშს არ უწევს ე. წ. „წვრილმანებს" და ივიწყებს დიდი საბჭოთა პედაგოგის ა. ს. მაკარენკოს მრავლისმეტყველ პედაგოგიურ შეგონებას: „ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ ზრდით ბავშვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ელაპარაკებით ან დარიგებას აძლევთ, ანდა უბრძანებთ მას. თქვენ ზრდით მას თქვენი ცხოვრების ყოველ მომენტში, თვით მაშინაც კი, როდესაც თქვენ შინ არა ხართ. როგორ იცვამთ, როგორ ლაპარაკობთ სხვა ადამიანებთან და სხვა ადამიანის შესახებ, როგორ სიხარულსა და მწუხარებას ეძლევით, როგორ ეპყრობით მეგობრებსა და პატარებს, როგორ იცინით და როგორ კითხულობთ გაზეთს, ყველაფერს ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის".

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ სკოლას, მთელ გარემოს, ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში რომ ასეთ დიდმნიშვნელოვან, განმსაზღვრელ როლს ასრულებს,—სხვაგვარად კი მათდამი დამოკიდებულების არც იურიდიული და არც მორალური უფლება არა გვაქვს,— —აღმოჩნდება, რომ ბევრი, ძალიან ბევრი რამ მოვლას საჭიროებს?.. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამჟამად, როცა რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად.

უპირველეს ყოვლისა, საფუძვლიან გაუმჯობესებას მოითხოვს სასკოლო მუშაობის დაგეგმვის ის ნაწილი, რომელიც აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს ითვალისწინებს. ეს საშური საქმეა და,

ჩვენის აზრით, იგი შემდეგი სახით უნდა წარიმართოს: სკოლა მტკიცედ ხელმძღვანელობდეს აღზრდის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპებით, მეთოდებით, კონკრეტულად განისაზღვროს ღონისძიებანი, თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად, აღზრდის ყოველი კომპონენტისათვის ამასთან, თითქმის ყველა სასკოლო გეგმა—სკოლის წლიური, მშობელთა კომიტეტის, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური, გაკვეთილის ყოველდღიური, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორის, უფროსი პიონერხელმძღვანელისა და სხვა ერთმანეთთან იყოს შეთანხმებული და საბოლოო ანგარიშში ურთიერთს ავსებდნენ.

ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სწორედ ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე არ არის ზემოხსენებული რაიონის შესწავლილ სკოლებში. საკმარისია ითქვას, რომ მარტყოფის საშუალო სკოლაში (დირექტორი ფ. ილურიძე), რომელსაც, როგორც ყოველთვის, ამჟამად, სასკოლო მშენებლობის მეორე რიგის წარმოებისას, განსაკუთრებით ესაჭიროება მშობელთა საზოგადოებრიობის მხარდაჭერა და დახმარება, მშობელთა კომიტეტი, საერთოდ არ არის შექმნილი და მისი სამუშაო გეგმაც, ბუნებრივია, არ არსებობს.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია. ზემოხსენებული ნაშრომის ავტორები, მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებში ოჯახისა და ადგილობრივად შექმნილი კონკრეტული სიტუაციის წინააღმდეგობას რომ ეხებიან, ასკვნიან, რომ „...თუ ამ სოფლეაის (ლაპარაკია ახალი სამგორისა და გამარჯვების შესახებ ს. დ.) ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ საერთოდ თვალსაჩინოდ მაღალი ზნეობრივი დონეა, ეს უნდა მიეწეროს ძველი ოჯახის გავლენას და მშობლების ოჯახში ბევრი ისეთი ტრადიციული წეს-ჩვეულების შემორჩენას, რაც ახალგაზრდისათვის ადამიანთა ურთიერთობის პირველ სკოლად უნდა იქნეს მიჩნეული".

რაღა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით ავტორებს მოსწავლეთა ზნეობრივი სახის ფორმირებისას სკოლის როლის მიგიწყებაში, მაგრამ ოჯახის მნიშვნელობას აქ სრულიად სამართლიანად აქვს ხაზი გასმული და ეს ერთხელ კიდევ მოაგონებს სკოლების ხელმძღვანელებსა და პედკოლექტივებს სათანადო დასკვნების გამოტანის საჭიროების შესახებ.

ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებისას ყველა მასწავლებელს როდი ეხერხება საჭირო ყურადღება მიაქციოს აღმზრდელობითი ხასიათის მომენტებს წინა მასალის გამოკითხვის თუ ახალი მასალის ახსნისას; ასე მაგალითად, სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლამარა ფალიანმა ისე გამოიკითხა აკ. წერეთლის ლექსები „პოეტი" და „ჩანგური", რომ ყურადღება არ გაუმახვილებია ერის წინაშე მწერლის პატრიოტულ მოვალეობაზე, ამის შესახებ დიდი ილიას და აკაკის გამონათქვამებზე. იგივე მასწავლებელი ისე ესაუბრა მოსწავლეებს IX კლასში ოთარაანთ ქვრივის შესახებ, რომ მათი ყურადღება არ მიაქცია გმირის ხასიათის ისეთ თვისებებს, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, გეგმიანობა, პირდაპირობა, ოჯახისა და შვილისადმი თავდადება, დამოკიდებულება ე. წ. მაღალი წრის ადამიანებისადმი და სხვ. მასწავლებელს ისიც დაავიწყდა, რომ მოეგონებინა მოსწავლეთათვის ილიას აზრი ქართველ დედაზე, როგორც ოჯახის, ერისა და ქვეყნის ბურჯზე... დაავიწყდა ისიც, რომ ილია იმოწმებდა გენიალური კარლ მარქსის სიტყვებს: „როგორი დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორი ოჯახია, ისეთი სახელმწიფოა".

ახალი სამგორის საშუალო სკოლის VI² კლასის ბიოლოგიის მასწავლებელმა ბაბო ციპაძემ ტყეების აღდგენისა და მცენარეთა საფარის დაცვის საკითხებზე მოსწავლეთა თხრობა ვერ გამოიყენა აღმზრდელობითი მიზნებისათვის. არაფერი თქმულა ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებებზე, ამ საქმეში მცენარეთა საფარის მნიშვნელობაზე, ჩვენს მოვალეობაზე ბუნების დაცვის საქმეში და ა. შ.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საერთოდ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამ მიმართულებით.

ეტყობა, სკოლების ხელმძღვანელებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს ჯერ კიდევ მთელი შინაარსით არ ესმით ამ საკითხის უაღრესობამდე დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობა.

თუ არა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით, აბა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ახალი სამგორის, თელეთის საშუალო და მარტყოფის რვაწლიან და ზოგ სხვა სკოლაში არასაკმაო მუშაობა ტარდება მეოთხე რესპუბლიკური კონკურსის შესახებ „ვინ უკეთ მოაწყობს, გაამწვანებს და გაალამაზებს თავისი სკოლისა და

სხვა საბავშვო დაწესებულებების შემოგარენს" საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 31 მაისის № 428 ბრძანების შესასრულებლად.

თუ არა საქმისადმი ასეთი მანკიერი დამოკიდებულებით, აბა რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მარტყოფის, სართიჭალის მე-2, ახალი სამგორის, თელეთისა და ვარკეთილის საშუალო სკოლებში (დირექტორები ფ. ილურიძე, გ. ციცქიშვილი, თ. აფციაური, ელ. ბადრიძე, ე. ცოფურაშვილი) მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს სასკოლო მეტყევეობის არსებობას!..

მხოლოდ უკონტროლობითა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გარდაბნის რაიონის შესწავლილი სკოლები არასაკმაო მუშაობას ატარებენ თბილისისა და რუსთავის გარშემო მწვანე ნარგავთა ზოლის შექმნის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად.

ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებას აქვს უეჭველად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ღონისძიებათა განხორციელება ამჟამად დედამიწის მთელი მოსახლეობის დიდმნიშვნელოვანი საზრუნავია. მასში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა ნიშნავს, არამარტო თეორიულად აზიარო ისინი პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ესთეტიზმისა და შრომითი აღზრდის იდეებს, არამედ თუნდაც მცირე პრაქტიკული წვლილიც შეიტანო იმ დიად საკაცობრიო იდეათა განხორციელებაში.

ზოგი შესწავლილი სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივი არასაკმაოდ ეხმარება სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს; ასე მაგალითად, მარტყოფის საშუალო სკოლაში ორი უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს, ამასთან, ორივე ახალი, დამწყები მუშაკია. ამიტომ არის, რომ ვერ ადგენენ სამუშაო გეგმებს, არ იციან, როგორ იმუშაონ აქტივთან, სკოლაში შექმნილი არ არის შემოქმედებითი კლუბები, სამუშაო შტაბები, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ლენინური ჩათვლები... შედეგებიც არ აყოვნებს: სკოლის 111 კომკავშირელიდან (ალკკ კომიტეტის მდივანი ნუნუ ეპიტაშვილი) ვერ აბარებს 20, 323

პიონერიდან კი ოროსანია 60 (უფროსი პიონერხელმძღვანელები მ. ლუქაშვილი, ნ. კორახაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ჩანს აქ კომკავშირელ და პიონერ-მოსწავლეთა [illegible] დული როლი და, მაშასადამე, კოლექტივზე ძლმზრდელობითი მნიშვნელობის ზევავლენა!..

ყოველთვის სწორი, სასკოლო პრაქტიკით გამართლებული ღონისძიებანი არ ხორციელდება მოსწავლეთა შორის შევნებული დისციპლინის განსამტკიცებლად.

არის მოსწავლეთა მიერ „ქცევის წესების“ უხეში დარღვევის შემთხვევები“. ეს გარემოება ზოგჯერ იმითაც არის შეპირობებული, რომ თვით მოზრდილებიც არ აძლევენ მათ ერთმანეთისადმი თავაზიანი, ზრდილი დამოკიდებულების მაგალითებს; ასე მაგალითად, სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის დამლაგებელმა ო. ბაგაშვილმა მოსწავლეთა თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა თავის ამხანაგს, იმავე სკოლის დამლაგებელს ტ. ბროლაშვილს.

მოსწავლეთა შორის სისტემატური, ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობის ნაცვლად ვხვდებით შიშველი ადმინისტრირების რეციდივებს. იმავე სკოლის დირექტორის გ. ციცქიშვილის 1974 წლის 10 აპრილის ბრძანებით X კლასის მოსწავლეებს ნ. დ-ს, ნ. ძ.-ს და გ. რ-ს „ქცევის წესების“ უხეში დარღვევისათვის (ფანჯრის სათლელით თავიანთ ხუთ ამხანაგს დაუჭრეს ჩანთები) გამოცხადებული აქვთ სასტიკი საყვედური და დაევალათ ზარალის ანაზღაურება. ამავე ბრძანებით კლასის ხელმძღვანელს დაევალა საკითხი განიხილოს მოსწავლეთა საკლასო კრებაზე. აქ დავიწყებულია საკითხის დასმა კომკავშირულ ორგანიზაციაში, და, რაც მთავარია, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე (ხომ ცნობილია, რომ კახეთში აქა-იქ დღემდე შემორჩა შურისძიების მიზნით ვაზის თუ ბაღის გაჩეხვა. მოსწავლეთა ეს მოქმედება კი თავისი შინაარსით ასეთივე ხასიათისაა!.. ეს მითუმეტეს აუცილებელი ჩანს, რადგან, როგორც აღნიშნული ბრძანებით დასტურდება, დასახელებული X³ კლასის მოსწავლეები ადრეც ყოფილან შემჩნეულნი „მოსწავლეთა ქცევის წესების“ დარღვევაში.

არის აგრეთვე ბრძანებით მოსწავლეთა დასჯის სხვა შემთხვევაც: მიმდინარე წლის 11 თებერვალს X კლასის მოსწავლეებს „კლასის ბიუროს მდივანს“, მამასახლის ე. ო.-ს, მორიგეებს

ნ. პ.-ს მ. ძ.-ს, მ. მ.-ს და ა. ძ.-ს ისტორიის გაკვეთილიდან გაპარვისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური. X კლ. ხელმძღვანელს თ. ბერიძიშვილს დაევალა, კლასის მოსწავლეთა კრებაზე განიხილოს ყველა იმ მოსწავლის საკითხი, რომლებიც ამ დღეს გაიპარნენ ისტორიის გაკვეთილიდან.

როგორც საკითხის შესწავლიდან ირკვევა, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მიზნით საჭიროა სკოლების ხელმძღვანელებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა, პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გარკვეულად გააუმჯობესონ მუშაობა: გახადონ პიონერული შეკრებები, კომკავშირული კრებები და სკოლის სხვა მრავალფეროვანი ღონისძიებანი პიონერთა და მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სკოლებად.

### მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობის ზოგი საკითხის შესახებ

გარდაბნის რაიონის ყველა შესწავლილ სკოლაში მუშაობენ სხვადასხვა საგნის მოსწავლეთა საგნობრივი წრეები. ამასთან, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მათი ამოცანები, მუშაობის შინაარსი და ორგანიზაციის ფორმები. წრეობრივ მუშაობაში გამოყენებულია სხვადასხვა, პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით გამართლებული ფორმა: მხატვრული კითხვა, საუბრები, ექსკურსიები, ცდადაკვირვებები, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობა, რეფერატებისა და მოხსენებების წაკითხვა, დისპუტები, წაკითხულის გარჩევა, გაზეთზე, წიგნზე მუშაობა, გამოფენების მოწყობა, ხელნაწერი ჟურნალის გამოშვება, ალბომების შედგენა და სხვ.

საინტერესო მუშაობას ატარებენ მარტყოფისა და სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლების ქართული ლიტერატურის წრეები (ხელმძღვანელები მ. კახურაშვილი, ა. დოხტურიშვილი). მარტყოფის საშ. სკოლის წრე უშვებს გემოვნებით გაფორმებულ ლიტერატურულ ალმანახს „პირველ სხივს", რომელშიც ლამაზი, მკაფიო კალიგრაფიით ჩაწერილია მოსწავლეთა ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები და თარგმანები. ალმანახის გამოშვება და მასში მოთავსებული მასალების განხილვა მოსწავლეთა აქტივიზაციის დონის ამაღლების მტკიცე საფუძველია.

შინაარსიან მუშაობას ატარებს სოფ. წავკისის საშუალო სკოლის გერმანული ენის წრეების ხელმძღვანელი ლ. მირიანაშვილი (დამთავრე-

ბული აქვს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1957 წელს). ზეპირმეტყველების წრე სისტემატურად იღებს მონაწილეობას სკოლის ღონისძიებებში; თარგმანის წრე კი აქტიურად მონაწილეობს პიონერთა და მოსწავლეთა ბ. ძნელაძის სახ. რესპუბლიკური სასახლის თეორიულ კონფერენციებში და მიღებული აქვს დიპლომები. სკოლაში არის მოსწავლეთა მიერ შესრულებული საინტერესო ნამუშევრები და ალბომები გერმანულ ენაზე.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ რაიონის სკოლებში არასაკმაო ყურადღება ექცევა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობას. ეს გარემოება, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნული საგნების შესწავლით მოსწავლეთა დაინტერესებაზე.

ნორჩ ნატურალისტთა წრე, მაგალითად, ახალი სამგორის საშუალო სკოლაში ფორმალურად არსებობს; მას ხელმძღვანელობს გეოგრაფი ა. ციბაძე, რომელიც თავს ვერართმევს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, ალბათ იმიტომაც, რომ არ იცის წრის მუშაობის ფორმები და შინაარსი.

ნატურალისტთა წრე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე მარტყოფის საშუალო სკოლაშიც; იგი იფარგლება მხოლოდ თეორიული საქმიანობით და მოწყვეტილია ცოცხალ, პრაქტიკულ მუშაობას.

## მეთოდური მუშაობა

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებას, მათი პედაგოგიურ-მეთოდური კულტურის შემდგომ ამაღლებას.

რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტ მანანა გიორგობიანს მოფიქრებულად აქვს შედგენილი ამ საგნის მასწავლებელთა მეთოდური სექციის სამუშაო გეგმა. მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით ჩატარდა ხუთდღიანი სემინარი. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს რამდენიმე ღია გაკვეთილი. მათი დეტალური გარჩევის შემდეგ რვა მოწინავე პედაგოგი გამოვიდა მოხსენებით, რომლებშიც განხილული იყო ჩატარებული ღია გაკვეთილების თემები. მოხსენებები შინაარსით დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მ. გიორგობიანი გულმოდგინედ ემზადება პროგრამით გათვალისწინებული თემების შესასწავლად და ამ გზით პედაგოგებს აძლევს საქმიან, სერიოზულ შენიშვნებს, რომლებიც ეხება გაკვეთილების იდეურ, აკადემიურ და მეთოდურ მხარეებს.

მაგრამ მასწავლებელთა მეთოდურ დახელოვნებაში, მათი კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებაში, ნაკლოვანებებს, ზოგჯერ აშკარად სერიოზულს, არსებითი ხასიათისასაც, მაინც აქვს ადგილი.

მარტყოფის საშუალო სკოლაში ცალკეული საგნების მეთოდგაერთიანებანი (რომელთაც აქ ძველებურად მეთოდკომისიებს უწოდებენ) დაგვიანებით, იანვარში შეიქმნა.

მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე დასამუშავებელი საკითხები არადამაკმაყოფილებლად არის შერჩეული. უცხოური ენის მეთოდგაერთიანების თემატიკა ცუდად არის შედგენილი, არასწორად არის განსაზღვრული საკითხის დამუშავების დრო: მოხსენებათა მოსმენა ისეთ თემაზე, როგორიცაა, მაგალითად, სწავლების მეთოდების შერჩევა ინგლისური ენის სწავლებისას და „კითხვის მეთოდიკა ინგლისურ ენაში“ გათვალისწინებულია სასწავლო წლის ბოლოსათვის, კერძოდ, 25 მაისისათვის. ასეთივე ფორმალური ხასიათი ეძლევა ამავე მეთოდგაერთიანების გეგმაში დასამუშავებლად შეტანილ საკითხს „კინოსურათების ჩვენება და მაგნიტოფონის გამოყენება უცხოური ენის სწავლებისას“, რადგან სკოლას არც ერთი აქვს და არც მეორე.

არასაკმაო ღონისძიებანი ხორციელდება მასწავლებელთა გადამზადებისათვის; ასე მაგალითად, რაიონის სკოლებში მუშაობს ქიმიაბიოლოგიის 8 მასწავლებელი. მათგან გადასამზადებელი კურსები გავლილი აქვს მხოლოდ 37 კაცს. ასეთი მდგომარეობა, განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მუშაკების განმარტებით, იმით აიხსნება, რომ ამ საგნების მასწავლებელთათვის არ ეწყობა კურსები რუსულ ენაზე (ქართული სკოლების ქიმია-ბიოლოგიის 42 მასწავლებლიდან კი კურსები უკვე 37-მა დაამთავრა).

მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის დაბალი დონის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ დღემდე არ არის გაგებული ფაკულტატიური მეცადინეობის არსი: ნაცვლად იმისა, რომ ამგვარი მუშაობისათვის შეირჩეს სათანადო მატერიალური ბაზის მქონე სკოლა, გარკვეული საგნის შესწავლით დაინტერესებულ, აკადემიურად წარმატებულ მოსწავლეთა კონტინგენტი, მაღალკვალიფიციური, შემოქმედი პედაგოგის ხელმძღვანელობით, ამ მიზნისათვის გათვალისწი-

ნებული საათები გამოყენებულია არამიზნობრივად, ხშირ შემთხვევაში მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვის შესავსებად და ა. შ.

გარდაბნის რაიონის ზოგი ქართული საშუალო სკოლა მცირერიცხოვანი კონტინგენტის მქონეა და, ამა თუ იმ საგანში მასწავლებელთა არასაკმაო რაოდენობის გამო, სასკოლო მეთოდგაერთიანება არ ეწყობა. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უნდა იქნეს გათვალისწინებული და ასეთ შემთხვევაში კურსი ავიღოთ სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებათა შექმნაზე.

ამასთან, გვინდა ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხსაც მივაქციოთ როგორც განათლების განყოფილების, ისე მეთოდური კაბინეტის, სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება: გარდაბნის რაიონში, ისევე როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონშიც, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა კუთხის მშრომელი ადამიანები ცხოვრობენ; სკოლებიც ამის მიხედვით გვაქვს ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე სწავლებისა, ეს გარემოება შესაბამის ღონისძიებათა დასახვასა და გატარებას მოითხოვს სკოლებში სწავლებისა და აღზრდის პროცესის სრულყოფისათვის. ამ მუშაობამ ასახვა უნდა პოვოს მეთოდგაერთიანებათა სამუშაო გეგმებშიც. ამ მხრივ, მიუხედავად გარკვეული დადებითი მუშაობისა, ჯერ კიდევ სკოლებში ბევრია გასაკეთებელი. ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების აღზრდის შესახებ სკკპ ცკ-ის დადგენილების განსახორციელებლად.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეთოდური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებითა შემცველი საკითხების წინა პლანზე წამოწევით უნდა დავიწყოთ.

## სასკოლო მუშაობის ზოგი საკითხის შესახებ

გარკვეული ნაკლოვანებანი შეინიშნება ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტების საქმეში. სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში არაიშვიათად ერთი და იგივე, უფრო მეტად ჰუმანიტარული ციკლის საგნების სპეციალისტები არიან. ამის გამო

ვერ ხორციელდება კვალიფიციური შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა გარკვეული ციკლის საგნების სწავლებაზე გარემოება კი უარყოფითად მოქმედებს სკოლის მუშაობის საერთო მდგომარეობაზე; ასეთი ვითარებაა, მაგალითად, ახალი სამგორის, მარტყოფისა და თელეთის საშუალო სკოლებში, სადაც დირექტორი და მათი მოადგილეები ისტორიკოსები არიან.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა შრომითი სწავლების მასწავლებლებით სკოლების დაკომპლექტების საქმეში. ამ საგანს თითქოს ყველა შესწავლილ სკოლაში ზოგადი საშუალო და არასპეციალური განათლების მქონე კადრები ასწავლიან.

სკოლების ხელმძღვანელები და რაიონის მეთოდური კაბინეტი არასაკმაო მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა დამწყებ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური ზრდისა და დაოსტატებისათვის.

* *
*

სოფლის სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებამ ახალი ეტაპი შექმნა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების განვითარების ისტორიაში. იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ამ ფუძემდებლური გადაწყვეტილებით არის გათვალისწინებული, კუთვნილი ადგილი უჭირავს ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ცენტრალურ ფიგურაზე—მასწავლებელზე ზრუნვას.

მიუხედავად იმისა, რომ გარდაბნის რაიონის სოფლის სკოლების მასწავლებლებს, საერთოდ, არ აკლიათ ყურადღება და ზრუნვა, აქა-იქ ხარვეზები მაინც გვხვდება; ასე მაგალითად, დღემდე ზოგი სკოლის მასწავლებელი დაკმაყოფილებული არ არის კანონით დაწესებული კომუნალური მომსახურებით; ასე მაგალითად, თელეთის საშუალო სკოლის მასწავლებლებს გათბობისა და განათებისათვის ხარჯები არ ნაზღაურდებათ, ბინის ქირისათვის კი თვეში 4 მანეთისა და 85 კაპიკს იღებენ—მაგრამ 6 თვეა, ესეც კი არ მიუღიათ. სხვაგან უფრო განსხვავებული, ხელსაყრელი წესი მოქმედებს: შინდისის რვაწლიან სკოლაში რუსული ენის მასწავლებლს ბინის ქირა აუნაზღაურეს ფაქტიურად გაწეული ხარჯის მიხედვით, გათბობა-განათებისათვის კი 6 მანეთი.

საცხოვრებელი ფართით დაუკმაყოფილებლობის გამო ვარკეთილის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა მიატოვა სკოლა და სხვა უწყებაში დაიწყო მუშაობა. ამის გამო, სკოლის მუშაობის შესწავლისას, გაკვეთილები ამ საგანში ცდებოდა. ჩვენ მიერ შესწავლილ 5 საშუალო, ორ რვაწლიან და ორ დაწყებით სკოლაში მომუშავე 51 არაადგილობრივი, ჩასული მასწავლებლისათვის დღემდე მხოლოდ ერთი ორბინიანი მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლია აშენებული და მისი 20 კვმ-იანი ოთახიც სხვა უწყების მუშაკს აქვს დაკავებული.

ასეთი მდგომარეობა, როგორც ჩანს, პედაგოგთა კადრებისადმი ზრუნვის საქმეზე სადირექტივო ორგანოების მითითებათა შესრულებაზე კონტროლის შესუსტებამ წარმოშვა.

* *

*

არასაკმაო ღონისძიებანი ტარდება გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ნორმალური მუშაობის პირობების შესაქმნელად. თითქმის არც ერთ სკოლაში, სადაც გახანგრძლივებული დღის ჯგუფებია, არ არის მოწყობილი მოსწავლეთა დასვენების ოთახი. ბავშვები, ჩვეული რივ, ისევ მერხებს უსხედან გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც. მოუგვარებელია მოსწავლეთა კვების საკითხი და სხვ. ამ მხრივ დამახასიათებელია თვით სკოლის პედკოლექტივის მიერ მდგომარეობის გულახდილი აღიარება; მარტყოფის რვაწლიანი სკოლის პედსაბჭოს ოქმში ამ საგანზე შემდეგი იკითხება: „სამივე ჯგუფში მოუგვარებელია მოსწავლეთა კვება. სკოლის დირექციამ, სასოფლო საბჭომ ვერ შეძლო ჯერჯერობით ამ საქმის მოგვარება, რადგან სოფლის კოოპერაცია და მისი გამგეობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვებს ცხელი საკვებით.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა მშობლებთან შეთანხმებით უნდა მიაღწიონ იმას, რომ კარგად მოაწყონ ოჯახებიდან პროდუქტების მოტანა ცელოფანის პატარა ტომრებში მოთავსებით და მასწავლებელმა ერთდროულად, რეჟიმის შესაბამისად, სანიტარული ნორმების სრულყოფილი დაცვით მოაწყოს ბავშვთა კვება“ (მართლწერა დაცულია).

ისეთ ეკონომიურად დაწინაურებულ სოფელში, როგორიცაა მარტყოფი, რომელსაც აქვს მსხვილი, თანამედროვეობის მოთხოვნათა

მიხედვით მოწყობილი მძლავრი მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, ასეთი მდგომარეობა პირდაპირ გაოცებას იწვევს.

მოუგვარებელია აგრეთვე სკოლამდელ და სკოლიდან საცხოვრებელ ბინებამდე მოსწავლეთა გადაყვანის საკითხი: საკუთარი ტრანსპორტი, ამ მიზნით საბჭოთა მეურნეობას გამოყოფილი არა აქვს, სარეისო ავტობუსების მძღოლები კი ბავშვებს მანქანებს არ უჩერებენ. როგორც ჩანს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ან დავალება არა აქვს მიცემული შესაბამისი ორგანიზაციებისადმი, ან ისინი არ ასრულებენ ხელმძღვანელთა მითითებებს.

სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობას რესპუბლიკის სხვა სოფლის რაიონებშიც აქვს ადგილი.

ასეთი ვითარება, თქმა არ უნდა, იმითაც არის შეპირობებული, რომ საჭირო საქმიანი ურთიერთობა არ ხორციელდება ზოგ სკოლასა და ოჯახს შორის. ამ ფაქტის დასადასტურებლად თუნდაც მარტყოფის საშუალო სკოლის მაგალითი კმარა: შემოწმების დროისათვის სკოლაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი მშობელთა კომიტეტი და ეს მაშინ, როდესაც სკოლას განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც უშენდება ცალკე კორპუსი—სპორტული, სააქტო დარბაზები და კვების ბლოკი, ესაჭიროება მშობელთა და არა მარტო მშობელთა, არამედ სოფლის მთელი საზოგადოების ზრუნვა და მხარდაჭერა!..

* * *

ჩვენ მიერ შესწავლილ სკოლებში მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია. არასაკმაო მუშაობა ტარდება მასწავლებელთა ატესტაციის დიდმნიშვნელოვანი საქმის მაღალ დონეზე განსახორციელებლად. მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები ახალი სამგორის, თელეთის, სართიჭალის მე-2 საშუალო, მარტყოფისა და შინდისის რვაწლიან სკოლებში. ისეთი პირადი საქმეები რომელშიც ინახებოდეს ყველა საჭირო დოკუმენტი, არ აღმოჩნდა. (ატესტატი ან დიპლომი, ბრძანება მოცემულ სკოლაში დანიშვნის შესახებ, მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი ცნობები, ახალი დახასიათება, პირადი ბარათი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობები, ახლად დაწერილი ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი ზომით 6×9).

ასეთი მდკომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ ამ საქმის მოგვარება დაკისრებული აქვთ კანცელარიის მუშაკებს, რომლებიც, როგორც ეტყობა, თავს ვერ ართმევენ ამ დავალების შესრულებას. შემოწმების კონტროლი არც აქ არის სათანადო სიმაღლეზე

ანალოგიურ მდგომარეობაშია მასწავლებელთა პირადი საქმეებიც: სკოლის დირექტორები და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათი მოადგილეები არ ამოწმებენ მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას. ისინი სასწავლო წლის მეოთხედში ჩატარებული მუშაობის შეჯამებისას არ აანალიზებენ, თუ რა მდგომარეობაშია მოსწავლეთა პირადი საქმეები. შეტანილია თუ არა მათში ახალი ცნობები და დახასიათებები.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის გარემოება, რომ მარტყოფის საშუალო სკოლის 1-ელ კლასში ჩარიცხული 26 მოსწავლიდან პირად საქმეში დაბადების მოწმობა არ აღმოაჩნდა 5 ბავშვს. ასევე, დაბადების მოწმობა არა აქვს მოსამზადებელი კლასის 6 მოსწავლეს. ანალოგიური მდგომარეობაა შინდისის რვაწლიან და ზოგ სხვა სკოლაშიც.

თელეთის, ახალი სამგორისა და სართიჭალის მეორე საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირად საქმეებში არ ინახება ახალი ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. I—III და V—X კლასების მასწავლებლებსა და კლასების ხელმძღვანელებს მოსწავლეთა პირად საქმეებში დროულად არ შეაქვთ მოსწავლეთა დახასიათებები.

სათანადო ზედამხედველობა და კონტროლი არ ხორციელდება საკლასო ჟურნალების წარმოებაზე, განსაკუთრებით შეინიშნება, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილის მიერ არ ივსება ჟურნალის ის გრაფა, რომელიც წარმოადგენს ცნობას მოსწავლეზე მიცემული საშინაო დავალების შესახებ. ჟურნალებში არის მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის, ჩანაწერების უსუფთაოდ წარმოებისა და ნიშნების ჩასწორების შემთხვევები. პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე საკლასო ჟურნალების წარმოების შესახებ არაფერია ნათქვამი, არ ისახება და არ ტარდება ამ მხრივ აუცილებელი, გადაუდებელი ღონისძიებანიც კი.

არსებითი ნაკლოვანებებია 8-წლიანი და საშუალო სკოლების მოწმობა-ატესტატების მიღების, აღრიცხვისა და გაცემის საქმეში. ასე მაგალითად, 1973—1974 სასწავლო წელს მარტყოფის საშუალო სკოლის ოვა კლასი დაამთავრა 38-მა მოსწავლემ (აქედან 8-მ საშემოდგომო გამოცდის შედეგად მიიღო მოწმობა ჟურნალი, რომელშიც

აღნიშნული მოწმობების გაცემა აღინიშნება, ზონარგაუყრელი, შეუმოწმებელი და ხელმოუწერელია, იგი შევსებულია სხვადასხვა ხელით და უსუფთაოდ). ჟურნალში შეუტანელია ზოგი მოსწავლის დაბადების წელი. ორი მოსწავლის 8 კლასის დამთავრების შეუვსებელი მოწმობა ახლაც სკოლაში ინახება. სკოლას არ აღმოაჩნდა 1973—1974 სასწავლო წელში კურსდამთავრებულ მოსწავლეებზე გასაცემად გამოტანილი მოწმობებისა და ატესტატების რაოდენობის ზედნადები. საგამოცდო ოქმებთან ატესტატების გაცემის ჟურნალის ჩანაწერების შედარებით არ ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა მოწმობებისა და ატესტატების არაკანონიერად გაცემის შემთხვევებს, მაგრამ ასეთი მდგომარეობის დაშვება მაინც არ შეიძლება.

## პედაგოგიური საბჭოების მუშაობა

ნაკლოვანებანი, რომელთაც გარდაბნის რაიონის სკოლების მუშაობაში აქვს ადგილი, ერთგვარად იმითაც არის შეპირობებული, რომ ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას სკოლების უმნიშვნელოვანესი სათათბირო ორგანოების — პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. საბჭოების სხდომებზე განსახილველი საკითხები ჯერ ზოგადი, ტრაფარეტული ხასიათისაა და, როგორც ასეთი, არ ითვალისწინებს მოცემული საკითხისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ღონისძიებებს. ასეთი მდგომარეობა ამკვიდრებს მუშაობაში ფორმალიზმის, სქემატიზმისა და ცოცხალი პრაქტიკული პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობისადმი არაგულისხმიერ დამოკიდებულებას.

ზოგი სკოლის ხელმძღვანელი ივიწყებს მთავარს სკოლის საქმიანობაში: არ სწავლობს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების, საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, ცალკეული საგნების სწავლების, მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობისა და სასკოლო ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს და სასწავლო წლის მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ზერელე განხილვით კმაყოფილდება.

ასეთი მდგომარეობა იწვევს იმას, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგავს პოლიტიკური მებრძოლის სახეს და, როგორც სამართლიანად წერდა მიმდინარე წლის 22 ივნისის გაზეთი „პრავდა“, ნაკლოვანებების დანახვისას თავი ისე უჭირავს, თითქოს ვერაფერს ვერ ამჩნევს, ობივატელურ პოზიციას ადგას: „რა ჩემი

საქმეა, ამაზე სხვებმა იფიქრონო". საქმისადმი ზუსტად ასეთი, ოპეკა-ტელური დამოკიდებულება მოგვაგონა ახალი სამგორის საშუალო სკოლის პედსაბჭოს № 3 ოქმში ჩაწერილმა შემდეგმა სიტყვებმა: „არის შემთხვევა, რომ მოსწავლე წესრიგს არღვევს ქუჩაში ან სკოლის ეზოში, მასწავლებელი ხედავს და შენიშვნას არ აძლევს, თავს მოვალედ არ თვლის, რადგან კლასის ხელმძღვანელი არ არის, ეს კი პედაგოგს არ შეეფერება.

ეს კრიტიკული შენიშვნა კარგად მოხვდებოდა მიზანში, რომ ის უმისამართო არ იყოს. ოქმის ჩანაწერებიდან არ ჩანს, კერძოდ რომელი მასწავლებელი ჰყავს ორატორს მხედველობაში.

ანალოგიური ხასიათის ჩანაწერებს ვხვდებით ზოგი სხვა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებშიც. ასე მაგალითად, მარტყოფის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ერთ-ერთ ოქმში შემდეგი იკითხება (მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით):

„მორიგე მასწავლებლები ხშირად თავს არიდებენ მოვალეობის შესრულებას, ყურადღებას არ ვამახვილებთ ბიბლიოთეკის მუშაობაზე, ნუ ვაგვიანებთ, ნუ ვაცდენთ უმიზეზოდ, ავადმყოფობის შემთხვევაში აუცილებლად წარმოვადგინოთ ბიულეტენი" (სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. მესხი).

„შრომის დისციპლინა ძალიან დაბალია ჩვენს მასწავლებლებში. პიონერთა მუშაობა არ ჩანს კომკავშირელთა მუშაობა არ ჩანს, წრეობრივი მუშაობა ჩამკვდარია იმიტომ, რომ დროს დაკარგვად მიგვაჩნია წრის წევრებთან მუშაობა" (მასწავლებელი მ. კახურაშვილი).

...პიონერ-მოსწავლეთა მოსწრება სკოლის მოსწრებაზე დაბალია, ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ საგანგაშოა ის, რომ კომკავშირელთა მოსწრება დაბალია.

შეგვამოწმეს, გაგვაკრიტიკეს (ლაპარაკია განათლების განყოფილების მიერ სკოლის მუშაობის შესწავლაზე)—ეს კარგია, კრიტიკა მაშინ არის ცუდი, როცა ის ცილისწამებაა" (?)—აცხადებს სკოლის დირექტორი ფ. ილურიძე.

როგორც იტყვიან, აქ კომენტარი უკვე სრულიად ზედმეტია!

არის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე საკითხების დაგვიანებით განხილვის, მისი არასწორად შერჩევისა და სხვ. შემთხვევები: მარტყოფის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ა. ნატროშვილი) პედაგოგიურმა საბჭომ აპრილის ბოლოსათვის დაგეგმა „ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავისათვის მზადების საქმეში მშობელთა მონაწილეობის საკითხის მოსმენა. „სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ციცქიშვილი) პედსაბჭოს სხდომამ ერთად

მოისმინა სკოლაში მათემატიკისა და ფიზიკის სწავლების მდგომარეობის საკითხი, რის გამო არც ერთი საგნის სწავლების ანალიზი არ არის სრულყოფილი.

სკოლების ერთი ნაწილის პედსაბჭოების სხდომებზე განხილული არაა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ბრძანებები და სხვ სახელმძღვანელო მასალები.

ასე რომ, გარდაბნის რაიონის შესწავლილი სკოლების პედსაბჭოების მუშაობა სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზოგი შენიშვნა სასკოლო მუშაობის დაგეგმვის შ ე ს ა ხ ე ბ

გარდაბნის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასკოლო მუშაობის დაგეგმვა ძირითადად განათლების სამინისტროს შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტებით ხდება. ზოგ შემთხვევაში შესასრულებელი საკითხები, შემსრულებელი და შესრულების ვადები დამაკმაყოფილებლად არის გათვალისწინებული. ამ მხრივ გამოირჩევა თელეთის საშუალო სკოლა: მის წლიურ სამუშაო გეგმაში, განათლების სამინისტროს სათანადო სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, განსაზღვრულია სკოლის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი 1974—1975 სასწავლო წლისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა სკოლაში ასეთი მდგომარეობა არ არის. სკოლის წლიური, კლასის ხელმძღვანელთა, მშობელთა კომიტეტის, ბიბლიოთეკების, გაკვეთილების ყოველდღიური და სასკოლო მუშაობის სხვა სახის გეგმები ძველი, დრომოჭმული სქემების მიხედვით დგება და იშვიათად მათში ვხვდებით ან საერთოდ არ ვხვდებით ღონისძიებებს იმ სიახლეთა დანერგვისათვის, რომელთაც უკანასკნელ ხანებში აქვს ადგილი სასკოლო მუშაობის პრაქტიკაში: მეტიც — გეგმებში არაიშვიათია ბუნდოვანი, ზოგადი ხასიათის საკითხების შეტანის შემთხვევები და ა. შ.

ახალი სამგორის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმის 1-ელი განყოფილება ასეა დასათაურებული: „საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება“ და ამ მიმართულებით ჩატარებული (?) ღონისძიებანი“, ჯერ ერთი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასახულ ამოცანათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადა-

სვლის დამთავრების ამოცანა. ამიტომ ეს სათაური გეგმაში აქ უნდა ჩამოყალიბებულიყო: „ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებისა და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად"; მეორეც, გეგმა „ჩატარებულ ღონისძიებათა" აღრიცხვა კი არაა, არამედ განსახორციელებელი, შესასრულებელი ღონისძიებანია".

გეგმაში ასეთი ზოგადი ხასიათის ღონისძიებანია გათვალისწინებული. „შეიქმნება ყოველგვარი პირობები, რათა ყველა მასწავლებელი მონაწილეობდეს მასწავლებელთა მეთოდურ საქმიანობაში". მასში არ ჩანს ღონისძიებანი ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესებისა და, საერთოდ, სწავლა-აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის; არის ცნობიერად გაუმართავი ადგილებიც; ასე მაგალითად: „მოსწავლეთა წერათი კულტურისა და რვეულების გაუმჯობესების მიზნით მოსმენილი იქნება პედსაბჭოს სხდომაზე წერითი სამუშაოების ხარისხიანობის შესახებ დაწყებით სკოლაში".

ზოგ სკოლაში, არაიშვიათად, ვხვდებით ცალკეული საკითხების შესრულების ვადების არასწორად განსაზღვრისა და მათი შეუსრულებლობის შემთხვევებს: მარტყოფის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმით მშობელთა კომიტეტის ნახევარწლიური გეგმის განხილვა-დამტკიცება იანვარშია გათვალისწინებული, მაგრამ მარტში არც კომიტეტი იყო შექმნილი და, ბუნებრივია, არც მისი სამუშაო გეგმა შედგენილი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნაკლოვანებანი, რომელთაც შეიცავს გაკვეთილების ყოველდღიური გეგმები: ხშირ შემთხვევაში განსაზღვრული არ არის გაკვეთილის მიზანი, ან იგი გაიგივებულია გაკვეთილის თემასთან, მითითებული არ არის სწავლების მეთოდებზე, ხერხებზე, იმ თვალსაჩინო მასალებზე, სახელმძღვანელო, პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურაზე, რომელთაც გამოიყენებს მასწავლებელი გაკვეთილზე და ა. შ.

ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს სასკოლო მუშაობის დაგეგმვის სხვა სფეროებშიც აქვს ადგილი და მათ აღმოსაფხვრელად გარკვეული მუშაობა მოუხდებათ როგორც განათლების განყოფილების, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკებს.

### შინასასკოლო კონტროლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შინასასკოლო კონტ-

როლის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სახელმწიფოებრივი კონტროლის პირველადი ფორმის, შემდგომ განმტკიცებას.

როცა შინასასკოლო კონტროლის მდგომარეობის ანალიზი გვინდა გავაკეთოთ, უპირველეს ყოვლისა, თვალი უნდა გადავავლოთ სკოლების ხელმძღვანელ კადრებს, გავიგოთ, რამდენად სწორად არიან ისინი შერჩეულნი და რეალურია თუ არა, მოვითხოვოთ მათგან ყველა დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

ამ მხრივ გარდაბნის რაიონშიც არასახარბიელო სურათი გვაქვს: ახალი სამგორის საშუალო სკოლის დირექტორი თ. აფციაური და მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში რ. მათიკაშვილი ისტორიკოსებია, მარტყოფის საშ. სკოლის დირექტორი ფ. ილურიძე ფილოსოფოსია, ერთ-ერთი მოადგილე ა. ელჩიევი—ისტორიკოსი, თელეთის საშუალო სკოლის დირექტორი ე. ბადრიძე და მისი მოადგილე ი. ჯინჭველაშვილი, აგრეთვე, ისტორიკოსებია და ა. შ.

სკოლების ხელმძღვანელი კადრების ამგვარი შერჩევა ძირითადად იმის მიზეზია, რომ არასაკმაო კონტროლი და ხელმძღვანელობა ეწევა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური დისციპლინების სწავლებას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის არასწორად არის განაწილებული ფუნქციები, რაც შინასასკოლო კონტროლის ღონისძიებათა მიზანშეუწონელ დაგეგმვაში იჩენს თავს: მარტყოფის საშუალო სკოლის დირექტორის ორი მოადგილიდან ერთი ისტორიკოსია, მეორე კი ქიმიკოსი. სკოლის წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, მათემატიკის, ქართულის, ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შემოწმება სკოლაში დავალებული აქვს დირექტორის მოადგილეს, რომელიც სპეციალობით ქიმიკოსია. ამასთან, მას მოსმენილი აღმოაჩნდა ქართული ენის მხოლოდ ორი გაკვეთილი, ქართული ლიტერატურის, ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილებს კი საერთოდ არ მოუსმენია ა/წ 10 მარტამდე.

სკოლების ხელმძღვანელთა შინასასკოლო კონტროლის ამსახველ მასალებში მთელი სისრულით არა ჩანს ყველა მხარე: როგორ სრულდება სკოლის შესახებ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, განათლების სამინისტროების, საერთოდ, სადირექტივო ორგანოების დადგენილებები, გადაწყვეტილებანი, ბრძანებები და განკარგულებები, სასკოლო გეგმიანობით განსახორციელებელი მრავალი ღონისძიება (ხშირად გეგმებში არ არის აღნიშვნა საკითხის შესრულების მდგომარეობის შესახებ), გაკვეთილის ანალიზებში არაფერია ნათქვამი გაკ-

ვეთილის მიზანზე, მის შესრულებაზე, იმ ტექნიკურ საშუალებებზე, ხერხებზე, მეთოდებზე, სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურაზე, რომლებიც გამოიყენა, თუ უნდა გამოეყენებინა მასწავლებელს და ა. შ.

ახალი სამგორის საშუალო სკოლაში შინასკოლო კონტროლის ერთ-ერთ ღონისძიებად გათვალისწინებულია საკონტროლო წერების ჩატარება ინგლისურ ენაში, რაც სწორი არ არის.

სკოლების ხელმძღვანელები არასაკმაო კონტროლს ახორციელებენ გაკვეთილების ცხრილის შედგენაზედაც კი, რის გამოც არაიშვიათად ვხვდებით მათში აუცილებელი პედაგოგიურ-მეთოდური პრინციპების გაუთვალისწინებლობის შემთხვევებს: ერთ დღეს არის თავმოყრილი ე. წ. ძნელად ასათვისებელი საგნები. ან ერთი ტიპის საგნები და ა. შ. ასე მაგალითად, თელეთის საშ. სკოლის V კლასში ორშაბათის ცხრილი ასეა წარმოდგენილი: მათემატიკა, გერმანული ენა, ქართული ენა, რუსული ენა; იმავე დღეს VI კლასში—რუსული ენა, ქართული ენა, ალგებრა, გეოგრაფია, გერმანული ენა და სხვ.

მარტყოფის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა. მესხს აქვს 26 საათი და კვირაში ერთ დღეს თავისუფალია, ასეთივე შეღავათით სარგებლობს აგრეთვე უცხოური ენის მასწავლებელი ზ. შალამბერიძე, რომელსაც 24-საათიანი კვირეული სასწავლო დატვირთვა აქვს.

ასეთი მდგომარეობა შეპირობებულია, ერთი მხრივ, საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების უცოდინარობით, მეორე მხრივ, საგნის სწავლების ხელმძღვანელობისადმი არასაკმაო პასუხისმგებლობით.

## განათლების განყოფილების საქმიანობის ზოგი საკითხის შესახებ

გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილება (ამხ. გ. ქვრივიშვილი) და მისი მეთოდური კაბინეტი (ამხ. გ. მ ჭარაშვილი) გარკვეულ მუშაობას ატარებენ სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთგვარი დადებითი შედეგებია მიღწეული საყოველთაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელებისა და სწავლა-აღზრდის ხარისხის შემდგომი ამაღლების საქმეში.

მიუხედავად ამისა, განყოფილების მუშაობის შესახებ საჭიროა გავაკეთოთ ზოგი შენიშვნა:

განყოფილება ძირითადად სწორად შერჩეული პედაგოგიური კადრებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ საქმე ის არის, რომ განყოფილებისა და მეთოდკაბინეტის 11 მუშაკიდან არც ერთი არაა დაწყებითი განათლების სპეციალისტი მაშინ, როცა ფილოლოგია სამი, ქიმია-ბიოლოგი კი ორი.

განათლების განყოფილებას არა აქვს ხუთწლიანი სამუშაო გეგმა, რომლითაც უნდა იყოს განსაზღვრული მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი ამ პერიოდისათვის. იგი მუშაობს წლიური, პერსპექტიული და კვარტალური სამუშაო გეგმებით.

ამ გეგმებში არ ჩანს ზოგი ღონისძიება, რომლებიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სპეციალური განხილვის საგანი გახდა; ასე მაგალითად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ძირითადი მიმართულებანი 1974—1975 სასწავლო წლისათვის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არასაკმაო მუშაობა ტარდება სკოლების ერთი, საკმაოდ სოლიდური ნაწილის, სასწავლო-მატერიალური ბაზის მოვლის, დაცვისა და განმტკიცება-გამდიდრებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ზოგი სკოლის ეზოს, შემოგარენის არასახარბიელო მდგომარეობა.

არასაკმაო ღონისძიებანი ხორციელდება სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასასვლელად. როგორც თვით სკოლები, ისე რაიონის ფილმოტეკა, საერთოდ, ღარიბია ტექნიკური საშუალებებით, მაგრამ, რაც აქვთ, ზოგჯერ ისიც გამოუყენებელია. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ზოგჯერ თვით მასწავლებლებმა არ იციან მათი გამოყენება. ამიტომ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა უნდა გახდეს განათლების განყოფილების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი.

სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველსაყოფად, სწავლა-აღზრდის პროცესის დონის შემდგომ ასამაღლებლად არასაკმაოდ არის გამოყენებული მშობელთა კომიტეტები და ფართო საზოგადოებრიობა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით არის შეპირობებული ისეთი მდგომარეობა, რომ დღემდე ვერ მოგვარდა გახანგრძლი-

ვებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა კვება ცხელი საუზმით.

მკვეთრად უნდა ამაღლდეს მინდობილი საქმისადმი ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობა და შესრულების შემოწმების კონტროლის დონე.

გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები და ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

* * *

გარდაბნის რაიონში განათლების სამინისტროს ბრიგადის მუშაობის შედეგები გაეცნო საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიონულ კომიტეტს.

საკითხი გარდაბნის რაიონში სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანებისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ უნდა განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის შემადგენლობა:

ა. აბაშიძე, ა. ასათიანი, ნ. ახვლედიანი, ჯ. დადიანი, ს. დვალი (ხელმძღვანელი), ს. დვალიშვილი, დ. მახარაძე, თ. მელქაძე, გ. ჩიქაელიანი, ალ. რამაზაშვილი, ი. უგულავა, გ. შაფაქიძე, თ. ხურცილავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 25 ივლისის ბრძანება № 514

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება, რომ დაიკარგა საშუალო განათლების ატესტატი სერია Ж № 702 001.

აღნიშნული ატესტატი ჩაითვალოს გაუქმებულად.

სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. დვალი

ჩდ·66/31

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 303—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტო-
რიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა
კანონმდებლობის ფაკულტატიური კურსის სწავლების შემდგომი გაუმჯობე-
სების ღონისძიებათა შესახებ . . .
2. ბრძანება № 414—სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადე-
ბის შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ გა-
ნათლების სამინისტროს 1970 წლის 28 სექტემბრის № 489 ბრძანების შეს-
რულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . .
3. ბრძანება № 416—1971—1974 წლებში საქართველოს სსრ სკოლამდელ
წესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯო
ბის ღონისძიებათა შესახებ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნ
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრ
დიუმის 1975 წლის 4 მარტის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით
5. ფაკულტატიურ მეცადინეობათა ორგანიზაციის შესახებ . . . . . .
6. ბრძანება № 448—სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის
დასახული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
ტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის
წავლის შედეგების შესახებ გარდაბნის რაიონში . . . .
6 ცნობა—ატესტატის გაუქმების შესახებ . . . . . . . . . . . .